

# ချောင် စာမြတ်၏



၃၁၀

მუნიციპალიტეტი

დ ა თ ვ ი

(სამი მოთხოვება)

გამომცემლობა „ზენაარი“  
2015

uak (UDC) 821.353.1-32

W-236

მწერლის ადრესატები ამჯერადაც „მკითხველი-ინტელექტუ-  
ალები“ არიან. ტექსტის „კოდირება“, მინიშნება, ალეგორია და ასე  
შემდეგ შემოქმედებითი მიზნის მიღწევის უმთავრეს ხერხად რჩება  
კვლავ. თვით ეროტიკულ სცენებსაც კი, ზოგიერთ მკითხველს თავი-  
დან შიშველ პორნოგრაფიადაც რომ შეიძლება მოეწვენოს, მკაცრად  
განსაზღვრული ფუნქცია აქვს და ნაწარმოების „ფსიქოლოგიურ“ ნი-  
უანსებში წვდომას, იდეის „გახსნას“ ემსახურება.

**მხატვრული რედაქტორი ალექო გაბელაია**

**გამოცემის რედაქტორი ზურაბ ქობალია**

**მხატვარი მურმან დემურია**

© „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის 1.

ტელ.: 599 343 727; ელ-ფოსტა: zurkob@gmail.com

ISBN 978-9941-9440-2-4


g

s

o

3

Ω



ბიჭს ჯერ თვალით არ ენახა უზარმაზარი,  
ბანჯგვლიანი ბებერი დაოვი, მაგრამ ისე მიიღო  
იგი, როგორც მემკვიდრეობას იღებენ ხოლმე...  
უ. ფოლქნერი, „დათვი“.

**არა**, დრო ზუსტად არ მახსოვს. ყველაფერი ეს ბაბუაჩემისა-  
გან ვიცი. იმან კიდევ – მისი მამისგან თუ ბაბუასგან, იმ ბაბუამ  
კიდევ, ალბათ – თავის მამისგან თუ ბაბუასგან და ასე... მაგრამ  
ეს ამბავი რომ ჭეშმარიტი და ნამდვილია, წყალი არ გაუვა. შე-  
მიძლია ხვალვე, აი, როგორც კი პირველი მამალი იყივლებს ან,  
თუნდაც მაშინ, მთვარიანი ლამის ბაც ფერს ოდნავ რომ შეეპარე-  
ბა დილის ნათელი, ყოველივე ამის კვალი თვალნათლივ გაჩვენოთ  
და გათქმევინოთ: „კი, ბატონო კეთილი და პატიოსანი, უტყუარი  
და ცხადზე უცხადესია, რასაც ბრძანებ და რასაც, შეიძლება, ცო-  
ტას მაინც რომ ამატებ, ისიცო; ნუ გვიწენთ და, ხომ იცით, ადა-  
მიანის, თუნდაც ყველაზე ბრძენისა და დინჯის, ბუნებაო“.

გინადირიათ თქვენ, ბატონო, როდისმე ხელში გჭერიათ თო-  
ფი?.. ოჟ, არა, ღმერთმა გვაშოროს! მე სულ სხვა რამეზე მოგახ-  
სენეთ. ეს იმიტომ ვთქვი, რომ ის, ვისაც, მთაში ნადირის მოლო-  
დინში ჩასაფრებულს, თავზე დასთენებია, ადვილად მიხვდება,  
რატომ ვახსენე მამლის ყივილი და... უფრო სწორად – „თუნდაც  
მთვარიანი ლამის ბაცი ფერი“ და „დილის ნათელი“...

**მოსული** ოდნავ გვერდულად, წინ წამოხრილი ზის. ცალი  
ხელით ჯოხს დაყრდნობია, მეორე ხელში სიგარეტი „კოსმოსი“  
უჭირავს. ჩვეულებრივ, თითებს შორის კი არა აქვს გაჩრილი,  
არამედ ცერა და სალოკი თითებით პეშვში მოუქცევია. გვერ-  
დით, სკამზე, ბროლის საფერფლე უდევს და, რომ აფერფლებს,  
იმასაც ცოტა უცნაურად: სიგარეტის ლულას თითს კი არ წაჰკ-

რავს, არამედ საფერფლის კიდეს ისეთნაირად დაჰკრავს, თითქოს უკაუნებდეს და მის იდუმალ, ჩვეულებრივი ადამიანისათვის ყურმიუნვდომელ ხმას უსმენდეს.

სუფთად გაპარსული პირისახის დახვეწილი ნაოჭები მოწინებას იწვევს. ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს წინა მხარეს აკეცილი კოლხური ფართო თეთრი ქუდი, რომლის ქვემოდანაც ღრმად ჩამჯდარი კუშტი თვალები იმზირება. ხანდახან მათში, თითქოს, მწველი მოგონების აღი აკიაფდაო, რაღაც ნაპერნკალი გაკვესავს.

ტანზე კოხტად მორგებული პიუამა, რომელსაც გულის ჯიბესთან უცხოური წარნერა აქვს ამოქარგული, უნებურად გაფიქრებინებს, თითქოს აქ, ტიპიურ კოლხურ ეზოში მდგარი ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ბუხართან კი არ სხედხართ, არამედ სადღაც, საზაფხულო დასასვენებელ სახლში იმყოფებით. მაგრამ განწყობას მყის უკუაგდებს ბუხარში დანთებული ცეცხლი (გვიანი შემოდგომაა და ოდნავ ცივა) და იქვე ანტიკვარული ნივთივით მდგარი ძველებური, დაბალი მაგიდა – ტაბაკი. ზედ დგას: დოქით ღვინო, მომცრო გრაფინით – ჭაჭის ორნახადი არაყი, ფართო ლანგარი, რომელზეც დალაგებულია ჩურჩელა, ტკბილისკვერი, ჩირი, სხვადასხვა ტკბილეული და ხილი. ირგვლივ შემოწყობილია რამდენიმე თეფში, დანა-ჩანგალი და სხვადასხვა ზომის ჭიქები.

– ჰოდა, ჩემო ბატონო, – ხრინწიანი ხმით განაგრძოს მოხუცი და ჩახველებს: ხმას იწმენდს. – იმას ვამბობდი, ეს ამბავი ისევე ნამდვილია, როგორც ა, ეს ცეცხლი, ბუხარში რომ ანთია, ანდა ეს ღვინო, ე მაგ დოქში რომ ასხია. შენ, შეიძლება, დღევანდელი ცხოვრების შემყურეს, ცოტა უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ ეს ჩვენი ქალაქი ადრე, როცა ჯერ კიდევ სოფლად მოიხსენიებოდა, უფრო დიდი და ვრცელი ყოფილა. 1875 წელს, როგორც ამას ცამეტი წლის შემდეგ ქართული უურნალი „მწყემსი“ იუწყებოდა, მაშინდელმა რუსულმა ხელისუფლებამ ჩვენი დასახლება ორად გაყო: მდინარის გაღმა – ჭალეს საზოგადოებად და აქეთ – ჯვარის საზოგადოებად (რასაც, სხვათა შორის, როგორც „მწყემსის“ პუბლიკაციიდან ჩანს, ჭალელთა უკმაყოფილება მოჰყვა). ხოლო მაშინ, როცა ჯვარი ქალაქად გამოცხადდა, ჩევალერის თემი ცალკე შეიქმნა და ჯვარს, ბუნებრივია, ეს ნაწილიც

ჩამოშორდა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ყველაფერზე, რამდენადაც შესაძლებელია, ზუსტი წარმოდგენა შეგექმნათ. უფრო სწორად – იმიტომ, რომ კარგად გაიცნობიეროთ ის ადგილები, სადაც ის ამბავი მოხდა, რომლითაც დაინტერესებულხართ და რის გამოც მოსულხართ აქ, ჩემთან. ისე კი, როგორც თავში მოგახსენეთ, ეს ამბავი ბევრად უსწრებს და ბევრად უფრო ადრინდელია, ვიდრე ჩემს მიერ მოხმობილი თარიღი.

საიდან დავიწყო ან რითი დავიწყო, მართალი გითხრათ, ვერ გადამიწყვეტია, რადგან ამბავი, რომელიც უნდა მოგითხროთ, ანდა, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით – რომელიც წინ უსწრებდა შემდგომ დატრიალებულ ტრაგედიას, ერთბაშად რომელიმე წელს, რომელიმე დღეს ან წელს დამთავრებულა ერთბაშად, თუკი, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვთქვათ: „დაიწყო“ ან „დამთავრდაო“. არც მხოლოდ ის ადამიანები ყოფილან მისი მონაწილენი, რომელთა დროსაც მომხდარა ასე ავადმოსაგონარი წყალდიდობა, წარლვნა, რომლის გახსენებაზეც უნებურად მყის დაგეხაგრება სხეული და, შუალამეც რომ იყოს, ზეზე წამოგაგდებს, ძილს გაგიტეხს, თავს აგატკიებს და შუბლს ერთი-ორჯერ მაინც მოგასრესინებს.

საოცრად მოულოდნელად და უცნაურად დაატყდა სოფელს ის უპედურება. ძლიერი, ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ერთიანად მოწმენდილ ცაზე უცაბედად ელვა რომ გაკრთება ან მეხი რომ გავარდება, ისე. თანაც, სწორედ მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, უფრო ზუსტად – ყველამ რომ ირწმუნა: რაც შიძი და ვაი-უი, რაც ჭირ-ვარამი გამოვიარეთ, როგორც იქნა, წარსულს ჩაბარდაო, როგორც იქნა, დადგა დრო, მშვიდად ვხნათ და მშვიდად ვთესოთ, მშვიდად ვთიბოთ და მშვიდად ვმწყემსოთ, მშვიდად ვსვათ და ვჭამოთ, უზრუნველად ვიძინოთ და ასე შემდეგ. ანდა, ვინ იფიქრებდა, რომ მდინარე, რომლისთვისაც განგებას სოფლის სიცოცხლის მთავარი არტერიის როლი დასაბამითგანვე დაეკისრებინა, ასეთ საშინელ, თანაც, თითქოსდა მოულოდნელ, ტრაგედიას დაატეხდა თავს ამ სოფელს და, მაშასადამე – საკუთარ შვილთ; სხვათა შორის, ის დათვიც ასე მოულოდნელად და უცნაურად მოადგებოდა სოფელს. თუმცა, შეიძლება ვთქვათ:

წაადგებოდა თავზე, ანდა: შემოვიდოდა, ან: წამოეპარებოდა თუ კიდევ სხვა რამ. როგორადაც უნდა ვთქვათ, მაინც მართალი იქნება. მართალი იქნება იმიტომ, რომ მართლაც ხან ასე იყო და ხან ისე, ხან კიდევ – ღმერთმა უწყის, როგორ. ახვიდოდი, მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს ყანაში და თავიდან ბოლომ-დე მიწასთან გასწორებული დაგხვდებოდა. ის ღმერთგამწყრალი ჭამით ხომ იმდენს ჭამდა, ერთ კარგა მოზრდილ ურემზე რომ არ დაეტეოდა, მაგრამ მერე მიდგებოდა გორაობა-გორაობით მთელ ყანას გადაბულრავდა, გადათელავდა.

ფარებში თუ შეიპარებოდა და ფარას თუ დაეცემოდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რისხვასავით დაატყდებოდა თავს, ყოველ სულს სათითაოდ ხერხემალს ჩაუმტვრევდა, ისე აკაფ-აკუნავდა და ათლოხნიდა, ითიქრებდი სადოქე-საქვევრე თიხა აუზელიაო. ყველაზე დიდა და საუკეთესოს კი ზურგზე მოიგდებდა და ისეთი ნელი, მშვიდი ძუნძულ-ბაჯბაჯით აუყვებოდა ფერდობს, თითქოს სოფლის წინაშე უაღრესად კეთილშობილური ვალი მოეხადოს.

ანდა, აგერ, ჰა, საღამოს ბინდუნდში გაიხედავდი და შუა მდინარეში უზარმაზარ ტკილს შეამჩნევდი. გაიკვირვებდი: ამ-ხელა ლოდი როდის ან როგორ ჩამოაგორა მდინარემო. კარგად დააკირდებოდი და შიშისაგან მუხლები აგიკანკალდებოდა ამხელა, მთასავით უზარმაზარი დათვის დანახვაზე. ჩამავალი მზისა თუ ახალამოსული მთვარის შუქზე თათებში ასხმარტალებული თვეზის გაკვესების დანახვასაც მოასწრებდი...

მართლაც უცნაური დათვი იყო. მაინცდამაინც აქ უნდა ჩამოსულიყო და სოფლის შუაგულში აეტეხა დგაფუნი – თითქოს ეს მდინარე იმ მთებიდან და იმ ტყეებიდან არ ჩამოედინებოდა, სადაც თავად გაჩერილიყო, ამდაგვარი გამხდარიყო და საიდანაც ისე კი არ გამოდიოდა, როგორც ამ მთებისა და ამ შიშისმომგრელი, იდუმალებით მოსილი ტყეების შვილი, არამედ, თითქოს-და, გამოეყოფოდა მას, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. თუ ვინმეს ეწერა, რომ ლაჯებში სიმწრის ოფლი სწორედ მაშინ უნდა გამოყოფოდა, ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა დათვი ტყიდან გამოაბიჯებდა და ორ ფეხზე წამომართული სოფლის ალმაცერად და გვერდულად გახედავდა. ის კი არ მოეჩვენებოდა, ტყიდან ვინმე ან რამე გამოვიდაო, არამედ იფიქრებდა, ამ მთას ნაწილი მოსწყდა თავის ტყიან-ბალახიან-ლოდებიანად

და ახლა ზე აზვირთებული, საშინელი გრუხუნით დაეშვება სოფ-ლისკენ, რათა თან ჩაიტანოს და გასრისოს ყოველივეო.

დათვი ყველაფრით უცნაური იყო, აგებულებითაც, იერითაც, საქციელითაც – დათვი იყო და არც იყო დათვი: რაღაც მანამ-დე არნახულ ურჩხულს უფრო ჰგავდა: ფერითაც – უანგისფერი ბეწვითაც და ხასიათითაც. თითქოს, სოფელში იმიტომ კი არ მოდიოდა, რომ ცხოველური ცხოვრების კანონი აღესრულებინა – შიმშილი მოეკლა და თავი გაეტანა, ანდა, თუნდაც, ემსუნაგა, არამედ იფიქრებდი, რაღაც დაუოკებელ სურვილს აუტანია და ჟინს იკლავსო.

**დათვის** გამოჩენის ამბავი ელვის სისწრაფით მოედებოდა ხოლმე მთელ სოფელს. სოფლელი მამაკაცები და ჭაბუკები, ვი-საც ოდნავ მაინც ერჩიოდა გული და ძალა, რითაც შეეძლო, იმით იარაღდებოდა. ცოტაც და, ყველანი მთისკენ ამავალ პილიკებ-თან, ფერდობზე, მოიყრიდნენ თავს, სადაც უკვე ადრე გამო-ჩენილ ძალლებს საშინელი გნიასი აეტეხათ. ყურთასმენა აღარ იყო, სიბრაზისა და გახელებისაგან ლამის ცა ჩამოეხიათ, მაგრამ ახლოს მისვლას, აბა, რომელი გაბედავდა?! შორიდან ისე ჩანდა, თითქოს, ერთი მთა მეორეს უახლოვდებოდა. ერთიც უანგის-ფერი იყო და მეორეც, რადგან ამ დროისთვის, როგორც წესი, შემოდგომა იდგა. თუ რომელიმე ახალბედა ძალლი თავისი გამო-უცდელობით წინ გადაუდგებოდა დათვს, ის არც შეჩერდებოდა, ტორის ერთი მოქნევით ჩვარივით მოისროდა ძირს ხერხემალ და ნეკნებჩამტვრულს. ძალლის პატრონს კი მხოლოდ ისლა დარ-ჩენოდა, ხელახლა გადაეტენა თოფი და ამჯერად ძალლისთვის, უკვე შედეგიანად, დახალა.

დათვისთვის, ყველა უჩვეულობასთან ერთად, კანიც უჩვე-ულოდ სქელი ებოძებინა ბუნებას. მარტო ამ სოფელში კი არა, მთელ ამ კუთხეში განთქმულ მონადირეებს სულ რაღაც რამდე-ნიმე ნაბიჯიდანაც უსვრიათ მისთვის, მაგრამ ან ტყვია სხლტე-ბოდა, ან ვერ ატანდა ტყავში. ოლონდ ეგ იყო, სიმწრისგან ერთს ისეთს დაიღმუილებდა, მთის ფერდებს ლოდები სწყდებოდა. ასეთ დროს საკმაოდ მაგარ ვაჟკაცებსაც კი უსკდებოდათ გული და, ვაი იმას, ვინც ახლოს იდგა და გაქცევას ვერ მოასწრებდა!..

რამდენჯერ ყოფილა, სხეულის რა ნაწილი რომლისა იყო, ვერ გაურჩევიათ და ხმლის ერთი მოქნევით ტანმსხვილ ხეებს სიმინდის ღეროსავით რომ სხეპლნენ, ისეთი ვაჟკაცები ერთ საძმო საფლავში ჩაუსვენებიათ. დადევნება არ იცოდა: თითქოს, სხვა გზა არ იყო, იძულებული ხდებოდა, თორემ ადმიანის ცოდვის დადება არ უნდოდა, მყის უკან მიტრიალდებოდა და ისევ ჩვეული, ნელი ძუნძულით გაუდეგებოდა ტყისკენ.

ერთადერთი საშველი ისლა რჩებოდა, რომ მამაკაცები საგზალ და ტყვია-წამალ ჩაწყობილ აბგებს გადაიკიდებდნენ მხარზე და თოფების ბათქაბუთქით ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით შევიდოდნენ ტყეში, კვალში ჩამდგარნი მიჰყვებოდნენ დათვს და დევნიდნენ მალლა, რაც შეიძლება შორს, შორს, საიდანაც, გაისამდე თუ არა, კარგა გვარიან ხანს უნდა დაზარებოდა ჩამოსვლა.

როგორც უკვე ვთქვი, თუ რამე გამოუვალი მდგომარეობა არ შეიქმნებოდა, დათვი ერიდებოდა ადამიანებს და მათთან შებმას გაურბოდა. მაგრამ კაცებს დამით კი არა, მეორე დღესაც, მზისითაც, დიდი სიფრთხილე სჭირდებოდათ, რათა ქარაფებსა და ორწოხებში სადმე არ გადაჩეხილიყვნენ.

მესამე თუ მეოთხე დღეს, ნაშუადლევის შემდეგ, მდინარის პირას შეგროვილი და მოდარაჯე ყმანვილები ერთ უივილ-ხივილსა და ალიაქოთს ასტებდნენ: „ნამოვიდა, ნამოვიდა!“

არა, დათვის გამო კი არ ატყუდებოდა ეს ალიაქოთი, არამედ მდინარეზე მოტივტივე ხის მორების გამორჩენით, – იწყებოდა ხეების დაცურება. გაზაფხულიდან შემოდგომამდე მალლა მთებში, მდინარისა და მისი შენაკადების ნაპირებზე, აგრეთვე შესართავებთან, წყალდიდობებისა თუ ღვარცოფების შედეგად უამრავი ხე-ტყე გროვდებოდა. სოფლელი კაცები, რომელთაც თოფებთან ერთად ნაჯახებიც მიჰქონდათ, უკან მობრუნებისას ტოტებს სხეპლნენ და მორებს დინებას გააყოლებდნენ. მერე მდინარეს ნაპირ-ნაპირ მოყვებოდნენ, რათა სადლაც გაჩერილი მორები ისევ არ ჩახერგილიყო.

ბავშვების ზეიმიც სწორედ მაშინ იწყებოდა. მოზრდილები წყალში შეცვივდებოდნენ, რათა მორები ხეების შესაქუჩებლად განკუთვნილ უბეში შეეცურებინათ. იმდენი შეშა გროვ-

დებოდა, მთელ სოფელს გვიან გაზაფხულამდე თავისუფლად ჰყოფნიდა.

დათვი კიდევ, თითქოს დაუოკებელი ჟინი მოიკლაო, იმ წელს ხელმეორედ მართლაც არ გამოჩნდებოდა. უფრო ზუსტად – ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. თითქოს, განგებას დაენე-სებინა მისთვის, მისულიყო სოფელში, ყველაფერი აეოხრებინა (ყოველ შემთხვევაში, ეცადა მაინც), ხალხი აენიოკებინა, ამით ვალი მოეხადა თუ თავისი დანიშნულება გაემართლებინა და მიუწირებულიყო. მერე ზამთარიც დგებოდა და, როგორც ყველა დათვი ამქვეყნად, ისიც იძინებდა, ალბათ, და თუ მაინცდამაინც გამოიღვიძებდა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თათები ელოკა და ეწოვა...

### **მერე გაზაფხული დგებოდა.**

ბუნება იღვიძებდა.

ხეხილი აყვავდებოდა.

გლეხიკაცი გუთანს ჰკიდებდა ხელს.

ხნულში მარცვალი იყრებოდა.

ახლდებოდა ყველაფერი, გუნება-განწყობილებაც კი.

ახალ ყლორტებს გამოისხამდა კაცის ოცნებაც, მისწრაფებაც.

ერთი სიტყვით კვლავ იწყებოდა ყველაფერი, კვლავ იწყებოდა...

გაზაფხულს ზაფხული მოჰყვებოდა...

ზაფხულს – შემოდგომა...

დედამინა ბრუნავდა...

ტრიიალებდა და ყოველ შემოტრიალებაზე, ახალ იმედთან და მხნეობასთან ერთად, გაურკვეველში ჩასაფრებული ხიფათის განცდაც თანდათანობით ძლიერდებოდა. ამიტომ, ალბათ, მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს საქმის არსს, ამ ამბის დასაწყისში რომ მოგახსენეთ: დათვი მოულოდნელად წაადგებოდა, შემოიპარებოდა თუ დაატყდებოდა თავს სოფელს-მეთქი.

გაზაფხულის პირველი ყვავილის შვებისმომგვრელი სურნელი, თავის განუმეორებლობასთან და ხიბლთან ერთად, გსურდა-არგსურდა, ნებსით თუ ენებლიედ. მყის იმ მძალე სუნსაც მოგაგონებდათ, რომელსაც ის უზარმაზარი და ბებერი დათვი, მიუხედავად თავისი ბენვის ბრწყინვალებისა და დიდებულებისა,

მაინც რომ ტოვებდა უკვე სასაფლაოს დამსგავსებულ ფარებში, საიდანაც ყველაზე საუკეთესო პირუტყვს გაიტაცებდა, ტოვებდა – ყანაში, მინდორში, ორლობესა თუ მდინარეში, – ყველგან, სადაც კი ფეხს დაადგამდა. ტოვებდა თავის უზარმაზარ, შიშის-მომგვრელ ნაფეხურებთან ერთად.

სახნისით გადახსნილი მიწის გულიდან, სიცოცხლისა და იმედის ოხშივართან ერთად, მზის სხივებს ეს მძალე სუნიც ამოჰქონდა. ეს სუნი მყის შეგახსენებდათ თავს ხეხილის ბაღების დამათრობელი სურნელების შეგრძნებისას, ზვრებში დასკდომამდე დატენილი და ქარვისფრად ქცეული მტევნების დანახვისას. ეს სუნი თითქოს კოურებად ქცეული, დახეთქილი ხელისგულები-დანაც დიოდა და გეგონებოდა, ვერა და ვერ მოიშორებდი, რაც უნდა გეხეხა, გეხეხა და გეხეხა ქვიშით. და, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ის სუნი, ის ძალა, რომელიც ასე ათასფრად რთავდა და ხატავდა გარემოს, ბუნებას, არამედ, პირიქით, განგებას იმისთვის გაეჩინა, რომ სწორედ მისი დაძლევითა და გადალახვით ქცეულიყო ირგვლივ ყოველივე ასე მრავალფეროვანი, თავისთავადი და მშვენიერი. და, რაც უფრო გექნებოდა უნარი მისი აღქმისა, მით უფრო მეტი ნიჭი გჭირდებოდა მასთან გამკლავებისა. და, რაც უფრო ძალუმად შეიგრძნობდი მას, მით უფრო უნდა გაგჩენიდა სურვილი მასზე გამარჯვებისა.

ასე და ამგვარად, ისე იყო, თითქოს შემოდგომით – თუ კი ისე არ მოხდებოდა, რომ დათვი ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე, უჩუმრად არ მიითვლიდა იმას, რაც სოფლის სახელით მისთვის მიეკუთვნებინა ბუნებას თუ თავად თავისივე სურვილით დაესაკუთრებინა და დაეჩემებინა – დგებოდა უამი ამ სურვილისა და ნიჭის გამოცდისა. ჯერჯერობით ძნელი იყო, გაგერკვია, ვინ იყო ამ ბრძოლაში გამარჯვებული ან დამარცხებული, რადგან, ერთი მხრივ, კი მიჰქონდა დათვს თავისი წასაღები, კი ანადგურებდა თავის გასანადგურებელს, მაგრამ სოფელსაც ხომ, რაც უნდა ყოფილიყო, მუდამ ჰქონდა ის, რისი წაღებაც შეიძლებოდა და განადგურებაც; მეორე მხრივ, იყო შემთხვევა, დათვს კუდამოძუებულს მოუსვია აქედან ისე, რომ სოფლის განაპირა ყანაშიც კი არ შეუყვია ცხვირი, მაგრამ არასოდეს ოდნავადაც არ ჩამკვდარა მასში სურვილი (ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა), უარი

ეთქვა თავის კანონიერ თუ უკანონო ნადავლზე.

და, ვინ იცის როდემდე გაგრძელდებოდა ასე, რომ სოფელში, ღმერთმა უწყის, საიდან მომავალი და სად მიმავალი, ბოშათა ბანაკი სრულიად მოულოდნელად არ გამოჩენილიყო.

**სიმღერითა** და ცეკვა-თამაშით, ჩემო ბატონო, ქართველ კაცს რას გააკვირვებ... – მოხუცი მუჭში ახველებს, ხმას ინ-მენდს. სიგარეტი „კოსმოსი“ კვლავ ცერა და სალოკ თითებს შორის მოუქცევია. დროდადრო ისევ უკაკუნებს საფერფლის კიდეს, თან დაძაბული აჩერდება სივრცეში რალაც წერტილს, თითქოს მეხსიერებიდან იდუმალ ხმათა და მოგონებათა გამოხ-მობა უნდოდეს. ისე ძალუმ ებერება ძარღვები საფერტელზე, უნებურად გაიფიქრებ: შეიძლება, მთლად ყველაფერი არა, მაგ-რამ, როგორც ჩანს, იმისი, რისი თქმაც ამჯერად უნდა, უშუალო მომსწრეა და ახლა მეხსიერებას ძალას ატანს, რათა ყველაფერი ზუსტად ისე გადმოსცეს, როგორც სინამდვილეში მოხდა – არც არაფერი მიუმატოს, არც არაფერი დააკლოსო.

– ჰოდა, ჩემო ბატონო, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ქარ-თველ კაცს რას გააკვირვებ, – იმეორებს მოხუცი და თვალებს წეურავს. – მაგრამ, როცა ძუძუებმოთახთახე ქალი წინ გამო-ვარდა და ხელი-ფეხი-გავა-წელი ერთბაშად აათამაშა-აამღერა, როცა ციბრუტივით დატრიალდა და ასფურცელა და ათასფურ-ცელა კაბის კალთები ზეცას შეასკდა, რაღა გასაკვირი იყო, რომ მზეს თავისი შუქი დაეკარგა და ამ უცაბედ სიბნელეში რაღაც წარმოუდგენელ, თვალგაუსწორებელ სითეთრეს ელვასავით გა-ეკვესა და სულის სიღრმეებიდან მომსკდარ, მაგრამ იმ წამს გა-უცნობიერებელ ლელვას თავდავიწყებით აეტაცებინე! ლამის გე-ფიქრა, რომ ეს ქალი კი არ ტრიალებდა ნახევარწრედ შეკრებილ და როკვად, ბეგერად და ჰანგად ქცეულ ბოშათა წინ, არამედ ცეცხლი, ხანძარი გაჩენილიყო, ამომსკდარიყო მიწიდან და, ცო-ტაც და, ყველაფერს – მთელ დედამინას, სულიერ-უსულონანად, გადაბუგავდა. მერე მეორე კოცონი აბრიალდა, შემდეგ – მესამე, მეოთხე, მეხუთე და ბოშათა მთელი ბანაკი მობორიალე კოცო-ნებს დაემსგავსა. ქვეყანას ხანძარი ეკიდა!

ქვეყანას ხანძარი ეკიდა! ჰოდა, ამგვარ სიმხურვალესა და

თავდავიწყებას რა გაუძლებდა და, როცა ყველაზე მოპრიალე ცეცხლმა, რომლის სიკაშვაშეს თვალს ვერ გაუსწორებდი, თქვა: მოდით, ვისაც გსურთ, გითხრათ ბედი თქვენიო, – აბა, ბიჭი იყავი და, დაგეჯერა! ეს სასწაულს დამატებული სასწაული იყო!

მერე იმ ღამეს, ვინ იცის, სოფლის რომელ კუნძულში იშიფრებოდა და იშიფრებოდა სოფლელთა ბედი, რომელი ყანის პირას და რომელი ბუჩქის ძირას გიზგიზებდა ენით აუნერელი სიმხურვალის კოცონი. თითქოსდა, ეს იყო რაღაც ბოლომდე დაუსიზმრებელი სიზმრის აცხადება, თუ პირიქით – მძიმე და ეკლიანი ცხოვრების წამიერ ტკბილ სიზმრად ქცევა.

არ ვიცი და, შესაძლოა, მაშინ არც იმდროინდელმა სოფლებმაც იცოდნენ, თუ რომელმა ბოშა ქალმა მაგიური ჩურჩულითა და ურუანგელით შეატოვა სოფლელთა ხელისგულს ასეთი, თითქოსდა – წინააღმდეგობრივი, წინასწარმეტყველება: ადრე თუ გვიან ეგ დათვი ადგილობრივი მკვიდრის ხელით ჩაძალდება, მაგრამ იმასაც ვხედავ, მაგ ურჩხულს აქაური იარაღით სიკვდილი, არ უწერიათ.

ამ ცნობამ ელვის სისწრაფით, შეიძლება ითქვას, ჭორზე უსწრაფესად მოიარა სოფლის ყოველი კუთხე-კუნძული და მეორე დილით, განთიადისას, როცა თითქმის ნახევარი სოფელი შეიყარა განაპირა ბორცვზე, რათა თვალი ედევნებინა, თუ როგორ უერთდებოდნენ ვარდისფრად აფერადებულ ჰორიზონტს სოფლიდან მიმავალ ბოშათა ჭრელა-ჭრულა კარვებიანი ოთხთვალები, ეს წინასწარმეტყველება ლამის რაღაც მყარ ნივთად ქცეულიყო, ხოლო აქ მოსულ სოფლელებს ისეთი განცდა ჰქონდათ, თითქოს ეს ნივთი ბოშებს მათთვის სოფელში ღამის გათევისა კეთილი მასპინძლობის საფასურად დაეტოვებინოთ.

და იყო კიდევ რაღაც, რაც დაეტოვებინათ ძუძუებმოთახთა-სე და თეძოებმოთამაშე ბოშათა ასულებს თუ, ხელისგულებიდან და თვალებიდან ცეცხლის ნაპერნკლებს რომ აკვესებდნენ, ისეთ შავ რკინად ქცეულ ვაჟკაცებს, რაც ისე ჩანდა, როგორც ჰაერი, მაგრამ ისე იგრძნობოდა, როგორს დილის ნიავი.

მერე – უბრალო დამთხვევა იყო, თუ ბოშებს საგანგებოდ მზის მიმართულებით აეღოთ გეზი – ზუსტად იმ ადგილიდან, სადაც ისინი ცას შეუერთდნენ, ვარდისფერი ნისლის ფარდა გა-

დაიხსნა და მზემ გამოანათა.

– ოოპ! – ამოიქშინა, ცხრა შვილი რომ ჰყავდა იმ კაცის, მე-ნისქვილის, ყველაზე უმცროსმა შვილმა და საკინძე ჩაიხია. ცხელოდა.

**არ პიცი,** ამ ამბიდან, ესე იგი, ბოშათა სტუმრობიდან რამ-დენი ხნის შემდეგ, რადგან ეს ჩემთვის არც ბაბუაჩემს უთქ-ვამს და, როგორც ჩანს, არც მისთვის მოუყოლია თავის ბაბუას, იმისთვის კიდევ – იმის ბაბუას და ასე შემდეგ, მაგრამ ერთი რამ, ალბათ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: თითქმის ისეთნა-ირად ამოდიოდა მზე ამ სოფელში, როგორც ბოშათა გაცილე-ბის დღეს ამოვიდა, და, მიუხედავად დილის ნიავისა, მანც ისეთ-ნაირად ცხელოდა, როცა ერთ თითქმის ჩვეულებრივ სალამოს, ცხრა შვილი რომ ჰყავდა, იმ კაცის საკინძეჩახეულმა, უმცროსმა ვაჟმა სთხოვა თავის ერთ-ერთ გაუთხოვარ დას: „თუ გიყვარდე, ეგ საკინძე ამომიკემსე ერთი, კოხტადო“.

მაგრამ აქ გვეყოს უნდა კეთილსინდისიერება (მითუმეტეს, თუ დასაძრახი და სამარცხვინო არაფერია ამაში) და ისიც უნ-და ვალიაროთ, რომ საკინძეჩახეული ბიჭის გადაწყვეტილებაში, რომელიც მის მიერ ნათქვამ სიტყვებში ჯერ კიდევ გაუშიფრავი ბედივით იდო, ამ ჩვეულებრივად ამოსულ მზეზე, ამ ჩვეულებ-რივად მქროლავ მსუბუქ ნიავზე და ქოხის ჩველებრივად ჩახუ-თულ ჰაერზე არანაკლები წვლილი ედო იმ – ცოდვა გამზელილი სჯობია და – ცოტა არ იყოს, ზერელედ ამოლესილ ლობიოსაც, რომელიც საქმაოდ მოზრდილი ქოთნიდან გადმოელო მისთვის დედამისს, და მიუხედავად იმისა, რომ ქალს, რამდენადაც შე-ეძლო, სამართლიანად გაენაწილებინა, მენისქვილის ნაბოლარა ბიჭს მაინც სევდიანად გაეფიქრა: „კბილებშუა ხომ არ ჩამრჩა, ნეტავ, მუცლამდე არც კი ჩაუღწევიაო?!“ მერე ლობიოში მოხ-ვედრილი ტყემლის კურკა გამოელო პირიდან და ისეთნაირად დაჰკვირვებია, თითქოს ხელისგულზე გზის მაჩვენებელი ნატ-რისთვალი დებოდა.

არც ის იქნებოდა სწორი, გვეთქვა: უმცროსი ბიჭის გადაწყ-ვეტილება მის მშობლებს იმაზე უფრო მეტად გაუკვირდათ, ვიდ-რე ის, ვთქვათ და, მას რომ განეცხადებინა: რამდენ ხანს ვატა-

რო ეგ საკინძეჩახეული (თუ კიდევ სხვა რამეს არ დაუმატებდა) პერანგი, ბოლოს და ბოლოს ახალს როდისღა მიყიდითო? ხოლო ბიჭმა, ოთახში უცაბედად გამეფებულ სიჩუმეს და მოჩირებული რამდენიმე წყვილი თვალის მზერას რომ ვერ გაუძლო, თავი დახარა, ხელისგულზე მოქცეულ ტყემლის კურკას თითქოს სინჯავსო, მეორე ხელის თითოთ დაუწყო წვალება და თქვა:

– წავალ, ერთი, ქვეყანას ვნახავ... ბედს ვეწიო იქნებ!

თუმცა, არც დამშლელი იყო ვინმე და არც მომწონებელი, მაინც, რატომდაც, მოუთმენლად, უცბად დაუმატა:

– რაც უნდა იყოს, მაინც ვერავინ გაექცევა თავის ბედისწერას!

და, ალბათ, არც ღირს იმის ხაზგასმა, რომ იმ ბიჭის გულაჩვილებულ დას ცდა და მონდომება არ დაუკლია, რამდენადაც თვით პერანგი იძლეოდა ამის საშუალებას, საგულდაგულოდ ამოეკემსა და გაელამაზებინა იგი.

ხოლო მეორე დილით, როცა საკინძეამოკემსილი ბედისმაძიებელი მზის ამოსვლამდე დაადგა გზას ზუსტად იმ მიმართულებით, საითაც მიეფარნენ თვალს ჭრელ-ჭრელ კარვებიანი ოთხთვალები, გოგომ მორიდებით იკითხა:

– ის ბოშები ზუგდიდში ცხოვრობენ?

– ზუგდიდს აქეთ მხარეს რა უნდა, ბოთევ?! – ჩაიბურდლუნა მენისქვილის ერთ-ერთმა ბიჭმა და, თუმცა არც მამის შეშინებია, არც დედის, მით უმეტეს – არც თავისი თმებგანენილი დაიკოსი, ერთი ლაზათიანად არ წაუთაქებია მისთვის თავზე, როგორც ამას სხვა დროს, მისი აზრით, სამართლიანობა, წესი და რიგი მოითხოვდა.

**ვერ** გეტყვით და, ალბათ, ამას ვერც ვერავინ გეტყოდათ მაშინაც: სოფლიდან გზის გაკვალვა ქარბორბალასავით, სრულიად მოულოდნელად შემოჭრილ ბოშათა ბანაკს ჩაეთვალა აქტივში თუ ცხრა შვილი რომ ჰყავდა, იმ მენისქვილის საკინძეჩამოხეულ ბიჭს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იმ გაკვალულ ბილიკს მერე ერთი და ორი ბედისმაძიებელი როდი მიჰყვა. და თუ თავდაპირველად ამ გაკვალულ გზას ისე ემჩნეოდა მენისქვილის ნაბოლარა ბიჭის და ამ გზით წასულ სხვა სოფლელთა ნაკვალევი, როგორც სოფელში დარჩენილი მათი და-ძმების კაბებსა და შარვლებს –

ნაკემსარები, მერე და მერე, დადგა დრო და, ეს გზაც ისე გა-დაიტკეპნა, გადაიბეგვა და ისეთივე ორგანული ნაწილი გახდა აქაურობისა, როგორც მის პარალელურად თუ პერპენდიკულა-რულად (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს) სოფლის შუ-აგულში გამავალი მდინარე, რომლისთვისაც სრულიად მისახ-ვედრი მიზეზის გამო მაგანა, ესე იგი, ნამგალი უწოდებიათ. ეს მდინარეცა და ეს გზაც სოფელს თითქოსდა მასაზრდოებელი ფესვებივით გაედგა აქეთ-იქით და, როგორც ხე ნიადაგიდან, ისე იწოვდა ამ სამყაროდან იმ მინიმუმს მაინც, რაც საჭირო იყო არსებობისთვის და იმ პროცესებისთვის, რაც, ასე თუ ისე, უზრუნველყოფდა, უფრო სწორად – შეუნარჩუნებდა ანტყოსაც და მომავლის იმედსაც. როგორც მაგანას შემოჰქონდა სოფელში შემოსატანი და გაჰქონდა გასატანი, ასევე ამ გზასაც გაჰქონდა და შემოჰქონდა თავისი გასატან-შემოსატანი. როგორც მდინარე ჩაპმულყო დასაპამითგან მუდმივ საწუთისოფლო მოძრაობაში, ასევე გზაც გაჩენიდანვე შეერთებოდა სოფლის ამ უცვლელ კა-ნონს – ღონისა და სიცოცხლის მომცემს. და ან, როგორც არ შეიძლებოდა ერთის შეჩერება, ისევე არ შეიძლებოდა მეორის გაწყვეტა (ან – პირიქით)...

ჰოო, დათვს კი, ჩემო ბატონო, როგორც ამბობდნენ და, ვგო-ნებ, ასეც იყო: ისე არ ანუხებდა იმ მეორე ფესვის გაჩენა, რო-გორც არასოდეს შეუწუხებია პირველის არსებობას. კვლავ ძვე-ლებურად, მოუღლოდნელად და, შეიძლება ითქვას, უცნაურადაც, მოადგებოდა სოფელს. კვლავ შეიძლებოდა გეთქვა: წაადგა თავს სოფელს, ანდა – შემოვიდაო, ან კიდევ – დაატყდაო, წამოეპა-რაო თუ კიდევ სხვა რამ. რაც უნდა გეთქვა, ისევ და ისევ სიმარ-თლე იქნებოდა. და სიმართლე იმიტომ იქნებოდა, რომ სინამდვი-ლეში ამგვარად ხდებოდა.

ასე ხდებოდა, სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, სოფლის განაპი-რას, მინდორში მოთამაშე ბავშვებმა ერთხმად არ ატეხეს ყვირი-ლი: „გამოჩნდა, გამოჩნდაო!..“

არა, არც ამჯერად ამტყდარა დათვის გამო ამგვარი ალი-აქოთი. არც მდინარეზე გამოჩენილა მოტივტივე მორები. ახლა ჯერ კიდევ ადრეული ზაფხული იდგა და, წესისა და რიგის მი-ხედვით, არც ერთი უნდა გამოჩენილიყო და არც მეორე.

ვიღაც მოდიოდა გზაზე!

თუმცა, კაცმა რო თქვას, არც ამაში უნდა ყოფილიყო რამე განსაკუთრებული და უცხო, რადგან ამ გზაზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვიღაცა თუ რაღაცა ყოველთვის მოდიოდა და მიდიოდა. იმ მინდორში მოთამაშე ფეხშიშველა და სანახევროდ ტიტლიკანა ბავშვებიც იშვიათად როდი ტეხდნენ ამგვარ ალიაქოთს, მაგრამ ეს დღე შემდეგ მომხდარმა ამბებმა და შემთხვევამ გამოარჩია. მერე დრომ, თავისთავად, ისე ამოატივტივა მეხსიერებიდან, აი, როგორც წიგნის კარადას მივადგებით ხოლმე და იქიდან იმ წიგნს ამოვარჩევთ, რომელიც რაღაც მიზეზის გამო დაგვჭირვებია.

ვიღაც მოდიოდა გზაზე და რაღაც უცხო მელოდიას ისეთნაირად, უდარდელად, დარღიმანდულად თუ ჯიუტად (იმ მინდორში მოთამაშე ბავშვებიდან მერე ზოგი ასე ამბობდა და ზოგი ისე) უსტვენდა, გეონებოდა, ერთი იმხელა გზა კიდევ აქვს გასავლელი, რაც აქამომდე გამოუვლიაო. მარჯვენა ხელში ოთხუთხა, მოზრდილი ჩემოდანი ეჭირა, მარცხენა მხარზე კი საკმაოდ გრძელულიანი თოფი ჩამოეკიდა. თოფის კონდახი ხანდახან ლამის კოჭებზე ეხეთქებოდა და ამ დროს ლულა, რაღაცნაირად, შავ-თეთრად, რომ პრიალებდა, მზის სხივებს ტყვიისფრად აკვესებდა. როცა იმ გორაკს მიაღწია, რომლის მომიჯნავე მინდორზე ბავშვები თამაშობდნენ და ახლა ცნობისმოყვარეობის გამო პირდალებულნი და გაშეშებულნი იდგნენ, კაცმა სტვენა შეწყვიტა, შედგა, სოფელს გადახედა, მიმოავლო თვალი, თითქოს უნდა დარწმუნებულიყო, ლირს სოფელში ასე, სტვენა-სტვენით, შესვლა, თუ უფრო სერიოზული და დინჯი კაცის იერი მიეღო. ვერც მოსულმა იცნო რომელიმე ბავშვი და ვერც ბავშვებმა – ის. შესაძლოა, იმ დროს, როცა კაცი, რომელიც მაშინ, როცა მენისქვილის ბიჭის (შეიძლება ითქვას – ბოშათა ბანაკის) კვალს გაჰყვა, ჯერ კიდევ უწვერ-უულვაშო ყმანვილი იყო და ეს ბავშვები, რომლებშიც, გამორიცხული არაა, მისიანებიც ერია, დაბადებულნიც კი არ იყვნენ.

**ზშსტად** ვერც ამას გეტყვით, ჩემო ბატონო, – არ ვიცი. ეს იქნებ თვითონაც არ მიკითხავს, როცა ბაბუაჩემი მიყვებო-

და ამ ამბავს; ის კი არა, შესაძლოა, მასაც არ მიექცია, მაინც-და მაინც, დიდი ყურადღება ამისათვის. გამორიცხული არც ის არის, რომ დრო-უამმა მასაც გადააკრა თავისი ბურუსისფერი მტკერი. და თუ ასეა, ალბათ, იმიტომ, რომ მერე და მერე არა ერთი და ორი შემოვიდა სოფელში მხარზე გადაკიდებული იმგვარი თოფით, რომლის კონდახსაც, ერთი შეხედვით, მოკრძალების აღმძვრელი უცხოური, გაუგებარი და, მაშასადამე, იდუმალი წარწერა ამკობდა. ასე თუ ისე, პირველად შემოსული კაცის ვინაობა „ქალაქელის“ ზოგად სახელში გაითქვიფა და განქარდა. თითქოს ამ სიტყვამაც კი ახალი შინაარსი შეიძინა: სამასი წელი რომ გეცხოვრა და აქედან ორას ოთხმოცდაცხრამეტი ქალაქში გაგეტარებინა, ქალაქელიაო, ვერავის ათემევინებდი, სოფელში მხარზე თოფგადაკიდებული თუ არ შეხვიდოდი, და რახან ამდენი ხანი გადაიკარგებოდი და მოანატრებდი სოფელს თავს (თუ საერთოდ გაახსენდებოდი!), რაღა ბედი გაგიწყრებოდა და ზუგდიდის ბაზარში ნაყიდი ფილთაქვით, ესე იგი, კაჟის თოფით მოევლინებოდი აქაურობას?!

— ოო?! — ამ ორი, სრულიად გასაგები ბგერით გამოუხატავს თავისი აზრი პირველად ამგვარად შემოსული კაცის პირველივე ნაცნობ სოფლელს და მერე ეს ორი ბგერა გადამდები სენივით მოსდებია ყველას, ვისაც ხელში დუჭერია მერომელიმევილაც ბედის მაძიებლის მიერ სოფელში შემოტანილი, მანამდე არნახული სიმშვენიერის და უფრო მეტი ეგზოტიკისმფრქვევი იარალი. თუმცა, უფრო ზუსტი იქნება, ალბათ, გვეთქვა: ამ ეგზოტიკას თავად თოფი კი არ „აფრეცვევდა“, არამედ — მის კონდახზე მყარად მიმაგრებულ მუქ-ვერცხლისფერ ფირფიტაზე ამოტვიფრული ასოები, რაც, სოფლელთა მტკიცებით, უთუოდ „ფრანციული“, ან „ნემეცური“, ან „ანგლიური“ უნდა ყოფილიყო. ვერ გეტყვით, რას ემყარებოდა ეს მოსაზრება, მაგრამ დღევანდელი რომელიმე პოლიტიკური პარტიის „უცილო“ ჭეშმარიტებასა-ვით რომ იყო სოფელში, ეს ფაქტია. ერთი შეხედვით, შეიძლება გეფიქრა, ეგ აზრიც იმ თოფივით შემოვიდა (თუ შემოიტანეს) სოფელშიო. თუმცა, ესეც უნდა ითქვას, ისეთებიც ყოფილან, რომლებიც ამტკიცებდნენ თურმე: ეს აზრი რომელილაც თანა-სოფლელს ეკუთვნის, უფრო ადრე რომ გაუდგა ბოშათა ბანაკის

(აგრეთვე – მეწისქვილის ნაბოლარა შვილის) ნაკვალევს, ვიდრე თვით იმ პირველი თოფის შემომტანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი მისი თანატოლივით ხელმოცარული დაბრუნდა უკანო. ხოლო მაშინ, როცა განაცხადა: ეს თოფი „ფრანციულია“ („ნემე-ცური“ თუ „ანგლიურიო“) – ამით უმაღ თავისი განსწავლულობის ხაზგასმა უნდოდა, ვიდრე ჭეშმარიტების დადგენაო.

ერთი სიტყვით, უკვე მაშინ ყველაფრიდან ჩანდა, რომ იმ ბოშა ქალის, ვინ იცის, როდის-როდის (ამ დროისათვის უკვე!), ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებს ასრულება ენერა. ოლონდ ეგაა, ამასთან დაკავშირებით ამ ამბის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ერთის მიხედვით, წუთისოფლის ტრიალში ჩაყოლილ თუ ჩათრეულ სოფლელებს, არა თუ ბოშა ქალის ჩურჩული (უფრო ინტიმურს რომ წააგავდა, ისეთი), არამედ, საერთოდ, ბოშათა ბანაკის მაშინდელი სტუმრობაც არ ახსოვდათო. მეორეს მიხედვით, ის მერომელიმევილაცა ბედის მაძიებელი მსარზე თოფგადაკიდებული ჯერ კიდევ გზაზე მოდიოდა, ბავშვებს ჯერ კიდევ არ აეტეხათ ყვირილი – „გამოჩნდა, გამოჩნდაო!“ – როცა სოფელში დიდ-პატარა უკვე გრძნობდა რაღაც ახლის მოახლოებასო. ხოლო იმ მერომელევილაცის დაბრუნება ამ წინათგრძნობის აცხადება იყო მხოლოდო. თანაც, ის კაცი ისე მიიღესო, თითქოს, იმ ბოშა ქალს საგანგებოდ თავად ეყიდოს მისთვის ეს იარაღი და ლოცვა-კურთხველით გამოეგზავნოს აქეთკენო. მესამე ვარიანტი კიდევ, რაღაც საშუალოა პირველსა და მეორეს შორის: მთლად ისე როგორ იქნებოდა, ვინმეს რომ არ გახსენებოდა იმ ბოშა ქალის ნათქვამიო.

**როგორც** გითხარით, პირველი უჩვეულო რამე იმავე წელს მოხდა: ისე გავიდა ზაფხული, შემდეგ – შემოდგომა და ისე გადაეხურა სოფელს ზამთარი, რომ დათვი ახლოსაც არ გაჰკარებია ყანებს და ფარეხებს, არც მაგანის წყალი აუმღვრევია და არც ბლავილით გაუხეთქია გული სოფლელებისათვის. უფრო მეტიც: დათვი არც მეორე წელს გამოჩენილა და არც მესამეს. შესაძლოა, გულმა რაღაც ავი უგრძნო და არჩია, კუჭი შიმშილით აწვოდა, ვიდრე ის, რომ არაფრად ჩაეგდო ხიფათის მაუნიებელი წინათგრძნობა. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ხნის გან-

მავლობაში თავის თავში ებრძოდა ამ ამაფორიაქებელ, მტკიცნეულ განცდას და ერთი სული ჰქონდა, სოფელში შემოსვლის ჟინი ძველებურად დაეცხრო.

ისე კი, სხვადასხვა ვერსია აქაც არსებობს. ზოგიერთი ორ-სამ წელიწადს კი არა, მეტსაც ასახელებს. ისიც შესაძლოა, რომ არც ამაში ყოფილიყო რამე უჩვეულო და ამდაგვარი რამ ადრეც ხდებოდა, მაგრამ დრომ, მაშინ რომ მომავალს უწოდებდნენ, თავისი ლოგიკის ძალით, ეს ეპიზოდიც გამოარჩია სხვა დანარჩენისაგან...

გაზაფხულის პირველი ყვავილის შვებისმომგვრელი სურნელი თავის განუმეორებლობასთან და ხიბლთან ერთად, ნებსით თუ უნებლიერ, კვლავ მოგაგონებდათ ხოლმე იმ მძალე სუნს, დათვი, მიუხედავად თავისი ბეწვის ბრწყინვალებისა, მაინც რომ ტოვებდა ბრძოლის ველს დამსგავსებულ ფარებში, მიწასთან გასწორებულ ყანაში, მინდორში თუ ორლობებში – ყველგან, სადაც ფეხს დაადგამდა. ტოვებდა თავის უზარმაზარ, შიშისმომგვრელ ნაფეხურებთან ერთად.

მზის სხივებს სახნისით გადახსნილი მიწის გულიდან სიცოცხლისა და იმედის ოხშივართან ერთად, ისევ და ისევ ამოჰქონდა ეს მძალე სუნი. იგი მყის შეგახსნებდათ თავს ხეხილის ბალების დამათრობელი სურნელის შეგრძნებასთან ერთად, ზვრებში დასკდომამდე დატენილი და ქარვისფრად ქცეული მტკიცნების დანახვისთანავე. ეს სუნი კოურებად ქცეული, დახეთქილი ხელისგულებიდანაც გდიოდათ და გეგონებოდა, ვერა და ვერ მოიშორებდი, რაც უნდა გეხეხა, გეხეხა და გეხეხა ქვიშითა...

და, რა თქმა უნდა, რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო იმაში, რომ სოფელელი მამაკაცები, როგორც მოსავალს სიმწიფე შეეპარებოდა, ისევ აისხამდნენ იარაღს, ისევ ჩაინყობდნენ აბგებსა და ზურგჩანთებში რამდენიმე დღის საგზალსა და ტყვია-წამალს, სარტყელში ნაჯახს გაირჩობდნენ, მერე ტყის პირას შეიკრიბებოდნენ, გაიშლებოდნენ და თოფების ბათქაბუთქით ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით აუყვებოდნენ ტყეს მაღლა. ბუნებრივია, სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა და, თუ სადმე, ახლო-მახლო, ამ არემარეში დათვი მართლა არ იყო ჩამოსული, ისიც საქმე იქნებოდა, თუ კი მის მძალე სუნს მაინც არეკავდნენ მაღლა, მთებ-

ში, რაც შეიძლებოდა შორს, იქამდე, საიდანაც არც დათვს და არც ქარს არ უნდა შესძლებოდა, იმ წელს მაინც, მისი ისევ სოფელში შემოტანა. დიახ, ისე გამოდიოდა, თითქოს რაღაც ტრა-დიციულ-სახალხო-სიმბოლურ, მაგრამ აუცილებელ რიტუალს ასრულებდნენ. და, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად ასეც იყო.

ისიც სიმბოლური გახლდათ, რომ ამ რიტუალის წარმატებით დასრულების მაცნენი სოფლის განაპირას, მაგანის პირას შეგროვილი და დადარაჯებული ყმანვილები იყვნენ.

„მოდის, მოდის!..“ – ისევ ატყდებოდა უივილ ყივილი, როცა დათვის კვალს თუ დათვის სუნს ფეხდაფეხ მიყოლილი და უკან მობრუნებული მამაკაცების მიერ მდინარეზე დაცურებული მორები გამოჩნდებოდა. სოფელი შვებით ამოისუნთქავდა, რადგან ეს უივილ-ხივილი იმის ნიშანიც იყო, რომ მამაკაცები საჭირო ადგილამდე მშვიდობით მისულიყვნენ, ისეთი რამე არ მომხდარა, მათვის ხელი შეეშალა, უკან მობრუნებისას მდინარის ხეობას ჩამოჰყოლოდნენ და მის ნაპირზე დაგროვილი მორები დაეცურებინათ. ხალხს ხალისი ემატებოდა, ვისაც ოდნავ მაინც შესწევდა ძალა და იმდენი ხელისმოსმა კი შეეძლო, რომ წყალში არ დამხვრჩვალიყო, მდინარეში შეცვივდებოდა... იმდენი შეშა გროვდებოდა მთელ სოფელს გვიან გაზაფხულამდე თავისუფლად ჰყოფნიდა.

**მეორე** უჩვეულო ამბავი, დათვი კვლავ რომ გამოჩნდა, იმ დროს მოხდა. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით: თვითონ დათვი გამოჩნდა უჩვეულოდო. ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს სოფლის განაპირას მცხოვრები ოჯახის ქოხის კარს ვიღაცამ ბრაგაბრუგი აუტეხა. ძილ-ღვიძილში მყოფ მასპინძელს გაჭირვების უამს კარზე მომდგარი მეზობელი ეგონა, კარი სასწრაფოდ გააღო და სანამ გონს მოვიდოდა, ლავინებჩამსხვრეული უკვე ქოხის კუთხეში ეგდო. გლეხს ქოხში რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, რაც ჰქონდა და ვინც დახვდა იქ, დათვმა ღრიალ-ღრიალით ჭვიშტრის ცომივით აზილა ერთმანეთში, შემდეგ ისე მიადგა მეორე გლეხის ქოხს და ისე შეუმტვრია კარი, თითქოს ძალიან საშური საქმე ჰქონდა და ეშინოდა, ვერ მოვასწრებო.

უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდის ზუსტი ვერსიაც არ არსე-

ბობს. ზოგის მიხედვით, დათვმა იმ ღამეს ნახევარი სოფელი მიბეგვა, დაასახიჩრა და დააქცია, ზოგიც ორ-სამ ოჯახს ასახელებდა, სხვას კიდევ მიაჩნდა, რომ იმ პირველი გლეხის სახლში ამტყდარმა ალიაქოთმა მყის ფეხზე წამოყარა მთელი სოფელი. ასე იყო თუ ისე, ერთ რამეში ყველანი ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: როგორც ჩანს, ასაკი მხეცებშიც კი თავისას შვრება და სიბერეში დათვი გაგიფდაო (თუ გაცოფდაო)! აბა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რა ჭირი დაეტაკებოდაო?!

მე რომ მკითხოს კაცმა, იყო ამაში რაღაც, ბედისწერის მაგვარი. დათვი ადრე არასოდეს დასხმია თავს ადამიანებს. მითუმეტეს, სახლში არავის შევარდნია. ამჯერად კი ისე მომხდარიყო, გვერდი აევლო მოზმუილე ძროხებისა და მოპეტელე თხებისათვის, არაფერს მორიდებია და პირდაპირ ადამიანებს ისე დასხმია თავს, თითქოს საბოლოო ანგარიშსწორების უამი დამდგარიყოს. სინამდვილეშიც, კაცმა რომ თქვას, ასეც მოხდა. ოლონდ ეგ იყო, თავი რომ გემტვრია, ვერ მიხვდებოდი, რა ჟინი, რა მოტივი, რა მიზეზი თუ სხვა რამ ედო სარჩულად ამ თავზეხელალებულ ანგარიშსწორებას, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუ ძალზე ბუნდოვანი არ გამომივა და ვიტყვი: – ამ ურთიერთმიმართებას, რა თქმა უნდა, რაღაც საბოლოო შედეგამდე ისედაც უნდა მივეყვანეთ. წინათგრძნობა და ინსტიქტი, მოგეხსენებათ, ნადირს ადამიანზე უფრო აქვს გამახვილებული. ჰოდა, ჩემო ბატონო, ალბათ ასეც უნდა ვიფიქროთ: გაგიფდებოდა, გაცოფდებოდა, აბა, რა იქნებოდა?!..

თურმე ამ არეულობაში თოფის ხმაც არავის გაუგონია. მხოლოდ ისღა დაუნახავთ, რომ უზარმაზარი მთა (რომელიც ეგრისის ქედს რაღაც სასწაულის ძალით მოწყვეტილიყო, სოფელში ჩამოგორებულიყო და, რაც გზაზე შეხვდებოდა, მიწასთან ასწორებდა ყველაფერს) ერთბაშად როგორ შედგა, მერე თითქოს ზე აინია, წამიერად გაირინდა და ერთბაშად ჩაზვავდა. დიდი თუ პატარა ჯერკიდევ აქეთ-იქით უთავბოლოდ გარბოდა, როცა მეორე უცხოური თოფის პატრონი პირველზე არანაკლებ უშიშრად მიახლოებია უკვე მართლაც მთასავით უძრავ დათვს და, ყოველ-შემთხვევისათვის, ერთი ტყვია კიდევ დაუხლია.

**სოფლის** სამი, ყველაზე საუკეთესო მონადირე დილიდან-ვე შეუდგა დათვის გატყავებას და საღამომდე ძლივს მორჩნენ თურმე. მერე ის ტყავი ოთხ კაცს აუღია და ძლივს ჩაუტანიათ სოფლის ცენტრში, სადაც იმ საღამოს თითქმის მთელი ჯვარი და ახლომახლო სოფლები შეკრებილა. უმსჯელიათ, უმსჯელიათ და ჯვარელებს ასე გადაუწყვეტიათ: დათვის ტყავი სოფლის ცენტრში, აი, იმ უზარმაზარ რცხილაზე გავაკრათ, რათა ყოველმა შემოსულმა იცოდეს ვისთან და რა ხალხთან აქვთ საქმეო! გადაუწყვეტიათ და კიდევაც მოქცეულან ასე.

ვერ გეტყვით, მერე რამდენი ხანი ეკიდა ის ტყავი აქ. რატომლაც ისე მოხდა, რომ დათვის მოკვლიდან იმ ტრაგედიამდე, რომელიც თქვენ ასე გაინტერესებთ, ზოგიერთი რამე, ისიც რატომლაც ძალზე ბაც ფერებში, თუა შემორჩენილი. ისე კი, თუ კარგად ჩავუკვირდებით, აქვს ამასაც თავისი ახსნა, მაგრამ, ბუნებრივია, თქვენ თვით ფაქტები უფრო გაინტერესებთ, ვიდრე მათი ჩემეული შეფასება, მათდამი ჩემი დამოკიდებულება.

**დათვის** სიკვდილით სოფელმა უზარმაზარი საფრთხე და საზრუნავი მოიშორა თავიდან, შვებით ამოისუნთქა. ანი არც ხვინა-თესვა უნდა დაზარებოდა კაცს, არც საქონლის მომრავლება და არც სხვა რამ, რადგან ის, რასაც გააკეთებდი, იშრომებდი და მოიწევდი, შენი იქნებოდა, უნებლიერ მონილე არ გამოგიჩნდებოდა. ასე რომ, სოფელს არა მარტო შვებით უნდა ამოესუნთქა, სულიც უნდა მოეთქვა, მოღონიერებულიყო და წელში გამართულიყო. და თუმცა, ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს, მე მგონი, რომ ეს ასეც იყო! ბუნებრივია, არც ამდენი აზრთა სხვაობა, კამათი იქნებოდა ამის გამო, ის ახალი, საშინელი უბედურება მოულოდნელად არ დასტეხოდა სოფელს თავზე, თანაც იმ დროს, როცა გეგონებოდა და, როგორც მერე გაირკვა, მართლაც ყველას ასე ეგონა, რომ არავითარი საფრთხე არსაიდან ჩანს, სოფელს მშვიდად შრომის, სმა-ჭამის, დროს ტარების გარდა, საზრუნავი არაფერი აქვსო; როცა გარეგნულად ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს იმ ერთი, უფრო ზუსტად – ორი გასროლით, ერთბაშად აღთქმულ ქვეყანაში მოხვედრილიყვნენ.

ერთ რამედ ღირდა სოფლელთა ის თავმომწონე ფარული ღი-

მილი, რითაც რომელიღაც შორი ქვეყნიდან ჩამოსულ კომერსანტს (როგორც თარჯიმნის მეშვეობით წარმოადგინა თავი) უმასპინძლეს. იგი თავისი ჭრელი პიჯაკით, ასეთივე გრძელებები-ანი ქუდით, გაპრიალებულ „ბაშმაკებში“ ჩატანებული „გალიფე“ შარვლით და იღლიაში გაჩრილი ჯოხით, რომელსაც მერე საუბრისას უფრო ხშირად იყენებდა, ვიდრე სიარულის დროს, ცირკის მსახიობს (ახლანდელი თვალსაზრისით) უფრო ჰგავდა, ვიდრე (მისივე სიტყვით) „მნიშვნელოვანი საქმის გამო“ ამ სიშორიდან ჩამოსულ საქმოსანს.

ვინც ამ ამბავს ესწრებოდა, ყურს არ დაუჯერეს თურმე და კიდევ ორჯერ გაამეორებინეს თარჯიმანს. არადა, ცოტა არ იყოს ცოტა ძნელი დასაჯერებელი იყო, არა მარტო ის, ამხელა გზა – ვინ იცის, რით და როგორ – გადმოელახა ტყავის გულისთვის, არამედ უფრო ის, ტყავის ამბავი იქ, იმ სიშორეზე ჩასულიყო. თუმცა უფრო დაუჯერებელი რამ მოგვიანებით თქვა, როცა სოფლელთა დაბნევა თავისებურად, ყოყმანის ნიშნად, მიიღო და სანაცვლოდ ისეთი თანხა დაასახელა, ვინც იქ იდგა, ყველას (თარჯიმანსაც კი) ფერი წაუვიდა.

უკვე, თავისთავად, გასაგები გახდა, რომ ასეთი რამის ერთ-ბაშად გადაწყვეტა არ შეიძლებოდა და კომერსანტი, რომელსაც, როგორც მერე მოვიდა ამბავი, ქალაქში ყველაზე კარგი სასტუმროთახებიანი დუქანი მთლიანად დაექირავებინა, მეორე დღისთვის დაიბარეს. თვითონ კი, როგორც ადრე ხდებოდა სოფლისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმების გადაწყვეტისას, დასხდნენ იმ ხის ძირას, რომელზედაც უკვე საქვეყნოდ ცნობილი (როგორც გაირკვა) დათვის ტყავი იყო გაკრული და მოპყვნენ მსჯელობას. ყველას, ვის სიტყვასაც ფასი ედო ხალხში, თვისი აზრი გამოუთქვამს. ჭრელპიჯაკიანის მიერ შეძლეული თანხა სოფელს მომავალში არნახულ, ზღაპრულ ფერებში ცხოვრების მომხიბლავ პერსპექტივას აძლევდა და, რა გასაკვირია, თუკი უმრავლესობას სწორედ ამისდა მიხედვით გაეკეთებინა არჩევანი.

სწორედ მაშინ ამდგარა ის მეჩონგურე ოსტატი, რომელიც თავისი ჭკუისა და გონიერების გამო სოფლის მამადაც კი ითვლებოდა თურმე და დიდი ტაქტით უთქვამს ასეთი რამ:

– არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ ჩვენ კი ასე

გვგონია, რომ ჩვენი დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ ამ ჩვენს დათვის ტყავს გავყიდით!

მაგრამ ეს საერთოდ, და მითუმეტეს მაშინ, აბა, რა საბუთი იყო. უფრო სწორად, რაღა ხელის ჩასაჭიდი საბუთი იქნებოდა. ხალხს, მოგეხსენებათ, ისეთი საბუთი უნდა, ყურს რომ ეამება ან თვალს ხიბლავს. აქ კი არც ერთი იყო და არც მეორე. ცოტა არ იყოს გაუგებარიც ჩანდა. იქნებ უბრძენესი რამეც იყო, მაგრამ ბევრი ფიქრის დროც არ ჰქონდათ. კომერსანტს, კაცს, რომელსაც ამხელა გზა გამოევლო, აბა, ამდენი სად ეცლებოდა, ხვალვე მიემგზავრებოდა: ის გზა, აქეთ რომ გამოევლო, იქითაც ხომ ჰქონდა გასავლელი. კომერსანტი იმიტომაა კომერსანტი, მით უმეტეს – იმიტომაა მილიონერი თუ მილიარდერი, რომ დროს ტყუილუბრალოდ არ კარგავს. და თუ კომერსანტი დროს ტყუილუბრალოდ არ კარგავს, მით უფრო საფიქრებელია, რომ არც ფულს დაკარგავდა უაზროდ და ტყუილუბრალოდ. ჰოდა, მეჩონ-გურე-ოსტატსაც, ყურს რომ ეამებოდა, ისეთი საბუთის მოხმობაც მაინცდამაინც არ გასჭირვებია:

– ყველასათვის ცნობილია, რომ კომერსანტებად მხოლოდ ჭკვიანნი და ანგარიშში რო არ ტყუვდებიან, ისეთი ადამიანები ხდებიან. – აქ ცოტა შეყოვნებულა და თვალი მიმოუვლია შეკრებილთათვის. – კომერსანტი, როგორც წესი, ნაკლებში ზედმეტს არ გადაიხდის. ამიტომ რა თანხაც უნდა შემოგვაძლიოს, ეს დათვის ტყავი იმ თანხაზე უფრო ძვირი იქნება ყოველთვის!

ასე გადაურჩა მაშინ დათვის ტყავი სოფლიდან გატანას! ანდა, ასეც შეიძლება ითქვას: ასე გადაურჩა სოფელი მაშინ უდათვისტყაოდ დარჩენას! იგი კვლავ მაღალ ხეზე გაშლილად ეკიდა და სოფელში საგანგებოდ მის სანახავად თუ სხვა საქმეზე მოსულთა აღტაცებას იწვევდა. აღტაცებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ სტუმარს მასპინძლებისადმი პატივისცემისა და რიდის გრძნობაც უჩინდებოდა: ხალხი, რომელსაც ამხელა დათვი მოეკლა და მერე ამ სიმაღლე ხეზე ჩამოეკიდა, ამქვეყნად შემთხვევის წყალობით მოსულს არ ჰგავდა.

**ზავხულის** ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში სწორედ ამ სის ძირას იკრიბებოდნენ იარაღასხმული და ზურგზე საგზალ-მოკიდებული მამაკაცები და აქედან იწყებოდა, ამჯერად უკვე – მართლაც მხოლოდ სიმბოლურ, ტრადიციულ რიტუალად ქცეული „აბა, ულა!“ – „ტყისკენ სვლა“ და „დათვის მთებში არეკვა“ (როგორც გინდა, დავარქვათ). ამასთან, რაც დრო გადიოდა, მით უფრო საზეიმო ელფერი ეძლეოდა მას და თანდათანობით შორდებოდა ის შინაგანი ხიფათით სავსე სულისკვეთება, რაც სამუდამოდ უსახლდებოდა სულში ყველას, ვინც დათვის ღრიალს, თუნდაც შორიდან, მოისმენდა: ამ სულისკვეთებას ახლა საკუთარი ხელით უზადოდ გამოთლილ საკრავზე მეჩონგურე ოსტატის მიერ შესრულებული გულისმომწურავი სიმღერის ჰანგები აღანთებდა. ეს ჰანგები სოფელს, თითქოსდა უკვე წმიდათაწმიდა, რიტუალის უამის დადგომას შეახსენებდა და მოჯადოებულივით მიიყვანდა ხოლმე სის ძირას... ისე მომხდარიყო, რომ დროს მეჩონგურე ოსტატისთვის დიდი ფუნქცია დაეკისრებინა. ჩონგურის ხმა მეხსიერების ყველაზე ღრმა ჯურლმულებში აღწევდა და მიყუჩებულ გრძნობებსა და განცდებს აღვიძებდა, ვერ გეტყვით, ჩონგურის ხმა შეარხევდა ჰაერს და მთებიდან ნიავი დაიძვრებოდა, თუ მეჩონგურე ფხიზლობდა ასე და სწორედ ისეთ დღეს შეარჩევდა, მთებიდან ნიავს რომ უნდა დაებერა – დათვის ტყავის ბენვი მინდვრის ბალახივით იწყებდა ძლივს გასაგონ შრიალს და დათვის მძაღე სუნი, რომელიც დათვის მართლაც დიდებულ ტყავს ჯერ კიდევ უდიოდა ხოლმე, გამჭირვალე ნისლივით ნელნელა მოედებოდა სოფელს, ყველას სახლში შეაღწევდა და დიდპატარას უკლებლივ გარეთ გამორეკდა... როგორც არაერთხელ ვთქვი, ამ სუნს ვერაფრით მოიმორებდი! თოფის წამლის სუნი იყო ერთადერთი საშუალება... იცით, ალბათ, რაგინდ საპონი ან სარეცხი ფხვნილი იხმარო, ვენახის შესანამლ შაბიაბნისა და კირის ნაყენის, ბორდოს სითხეს რომ ვეძახით, ლაქებს ვერაფრით მოიშორებ ხელიდან, თუ ღვინის ძმარი ან ტყემლის წვენი არ იხმარე, სწორედ ამგვარი სამუალების ფუნქცია დაკისრებოდა თოფის წამლის სუნსაც... ამიტომ იყო, რომ მერე და მერე იმათ, ვისაც არ ჰქონდა გაგონილი დათვის ამბავი და, ბუნებრივია, არ იცოდნენ, რატომ იქნა ჩამოკიდებული დათვის ტყავი სოფლის

ცენტრში მდგარ ყველაზე მაღალ, ყველაზე ტანმსხვილ ხეზე, და არც ის უწყოდათ, როგორ გადაურჩა იგი მაცდუნებელ წინადა-დებას – „სარფიანად“ გაყიდვას, ეგონათ: სოფლის ტრადიციული რიტუალი, რომელიც ერთი შეხედვით, მართლაც უფრო უჩვეულო ახირებას ჰგავდა, ვიდრე სოფლის არსებობისათვის აუცი-ლებელ წეს-ჩვეულებას, სწორედ იმიტომ იყო გამოგონილი, რომ ნიავს ტყიდან წამოერეკა თოფების ბათქაბუთქისგან გაჩენილი ნაცრისფერი კვამლი და სოფლისთვის მოეფინა.

## და ასე გრძელდებოდა...

შემოდგომას ზამთარი მოჰყვებოდა...

ზამთარს გაზაფხული ცვლიდა...

გაზაფხულს ზაფხული შეენაცვლებოდა...

**ერთი სიჭყვით,** დედამიწა ბრუნავდა და ყოველ შემოტ-რიალებასთან ერთად, უჩუმრად თუ თვალილულად, რაღაც აკ-ლებოდა და რაღაც ემატებოდა. წუთისოფელს იმიტომ ჰქვია წუთისოფელი, რომ ყველაფერს, რაც აქ ხდება, თვალს ვერ მი-ადევნებ; რომც მიადევნო, ბუნებრივია, ამ ყველაფერს ვერც ახ-სნას მოუძებნი, ბურუსს ვერ გაარღვევ. ამგვარი ბურუსით იყო მოსილი მეჩინგურე ოსტატის გაქრობაც. ლამის გეფიქრა: ცით იყო, ალბათ, მოვლენილი და კვლავ ცად ამაღლდაო, თორემ ადა-მიანის, მიწის შვილის ასე უკვალოდ გაქრობა წარმოუდგენელი იყო. რომ არა მისი ჯადოსნური ხელით გამოყვანილი ჩონგურები, თითო მაინც რომ იყო ყოველი სოფლელის სახლში, რომ არა ის სიმღერები, რომელსაც ხალხი ახლაც ისე მღეროდა, თითქოს მეჩინგურეს გუშინ საღამოს შექმნას, შესაძლოა, გეთქვა, არც არასოდეს ყოფილაო იგი ამქვეწად.

როგორც ჩანს, მზემ, ქარმა და წვიმამაც თავისი ქნეს: იმ ტყავსაც გაუხუნდა თანდათანობით თავისი ფერი და დაკარგა ის მძალე სუნი, წელიწდში ერთხელ მაინც მოსვენებას რომ უკარ-გავდა სოფლის მცხოვრებთ. ბუნებრივია, რომ ამასაც – ყვე-ლაფერ სხვასთან ერთად – აქვს თავისი წვლილი იმაში, რომ უნებურად თუ ბედისწერის შედეგად, სოფლის თანდათანობით, ერთი შეხედვით – ფუნქციამოშლილი, ტრადიცია დავიწყებას

მიეცა. „ერთი შეხედვითო,“ – ვამბობ იმიტომ, რომ მერე მომხდარმა ტრაგედიამ სულ სხვანაირად გამოაჩინა, თუ წარმოაჩინა, ბევრი რამ... ალბათ, იმასაც უნდა ანგარიშის გაწევა, რომ ყოველ დროსაც მოაქვს თავისი ახალი ტრადიციები, რომელიც, ასე თუ ისე, ძველის ადგილს იკავებენ. უბრალოდ, უკვე შემის ჩამოსატანადაც არ მიღიოდნენ შორს. ტყე ერთი ხელის გაწვდენაზე იყო და კლდე-ღრე ხეტიალს, ორმაგ-სამმაგ ოფლის ღვრას რაღა აზრი უნდა ჰქონოდა?! მდინარეს კი თითო-ორი მორი თუ ჩამოჰქონდა და ბოლოს ისიც შეწყდა. ახლა რომ გეთქვა: ამ წყალს თავის დროზე იმდენი შემა ჩამოჰქონდა, ჯვარელები მეზობელ სოფლებშიც კი ყიდნენო, არც დაგიჯერებდნენ. თუმცა, ისე ჩანდა, რომც დაეჯერებინათ, ამით არც არაფერი მიემატებოდა სოფელს და არც არა დააკლდებოდა რა. სოფელი ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდა: ხნავდა, თესავდა, საქონელს უვლიდა, ჭამდა, სვამდა... ხელსაც არავინ და არაფერი უშლიდა... და არც არსაიდან ჩანდა საფრთხე.

**პოდა,** იმას ვამბობდი, რომ... – მოხუცს აღელვება და-ეტყო და მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს გადაწვდა: – სოფელი ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდა: ხნავდა, თესავდა, საქონელს უვლიდა, ჭამდა, სვამდა, აშენებდა... ცხოვრება, რომ იტყვიან, წინ მიღიოდა. თითქოს ნანატრი დრო დამდგარიყო, არსაიდან ჩანდა საფრთხე. სიმშვიდე და მშვიდობა სუფევდა.

და ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ მაშინ, როცა სოფელს ეგონა: ყველა ოცნება აგვიხდა, ნანატრი დრო დაგვიდგა, არანაირი საფრთხე არ გვემუქრება არსაიდან, ვიცხოვრებთ, როგორც მოგვეხასიათება, ისეო, – სწორედ მაშინ მოევლინებოდა ისეთი განსაცდელი, სხვა ყველაფერი, რაც ადრე გადაუტანიათ და გადასულა მათ კისერზე, მასთან მონაგონი ეგონებოდათ...

**შემდგომში** ბევრი კამათი, აზრთა სხვაობა გამოიწვია იმან, თუ როგორ და რატომ გამოეპარა სოფელს ასეთი აშკარა საფრთხე. თუმცა, მომხდარზე მსჯელობა მერე ადვილია და ხშირად ისეთ კურიოზულ გაუფრთხილებლობასაც წარმოაჩენს, რომ

ძნელად თუ დაიჯერებს კაცი. საფიქრალია, მდინარეში წყლის დონე ისე ნელ-ნელა კლებულობდა, რომ ერთი შეხედვით რამის შემჩნევა, ალბათ, შეუძლებელიც იყო. მხოლოდ მაშინ გაფაციც-და სოფელი, როცა ერთ მშვენიერ დღეს მდინარის კალაპოტი საერთოდ ამოშრა. მაგრამ, როგორც ჩანს, ისე იყვნენ ამ დრო-ისთვის გადაჩეცულნი შიშს, რომ ეს გაფაციცება ცნობისმოყვა-რეობისა და გაკვირვების ფარგლებს არ გასცილებია. მართლაც, სასწაული იყო: ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა. არც ერ-თი წერილობითი თუ ზეპირი გადმოცემა, არც ერთი თქმულება და ლეგენდა მსგავს რამეზე არაფერს იტყობინებოდა. ვინ იცის, ვინმე რომ სერიოზულად ჩატიქრებოდა ამ ამბავს, ვინმე რომ შეშფოთებულიყო, იქნებ ჯერ კიდევ არ ყოფილიყო გვან, იქნებ ჯერ კიდევ შესძლებოდათ ტრაგედიის თავიდან აცდენა. მაგ-რამ ყველანი ისე იყვნენ გართულნი თავ-თავიანთი წვრილმან-მსხვილმანი საქმეებით, რომ ამ განამანისასა და წუთისოფლის დაუოკებელ სრბოლაში დავიწყებას მისცემოდა სოფლის მასაზ-რდოებელი უძველესი ფესვი – მდინარე მაგანა. თუმცა, გულწ-ფელად თუ ვიტყვით, ამ დროისათვის მთავარი ფესვის, მთავარი ძარღვის ფუნქცია, სოფლის მაშინდელი მცხოვრებლებისათვის, მას უკვე არც კი ჰქონდა. ეს ფუნქცია, თანდათან, ვინ იცის რო-დიდან, თავის თავზე აეღო უხსოვარ დროს (დღეს – უკვე!) ბო-შათა ბანაკის მიერ სოფელში შემოკვალულ თუ მრავალშვილიანი მეწისქვილის ნაბოლარა ბიჭის სოფლიდან გაკვალულ გზას, იმ გულანთებული და ცნობიერებადაუკებელი ბიჭის, რომელსაც, დიდი ეფიქრა თუ ცოტა ეფიქრა, გადაეწყვიტა, სოფელში სას-წაულის დამტრიალებელ ბოშათა ბანაკის კვალს დასდგომოდა.

**ბატასტროზა** გამთენისას დატრიალებულა. ჯერ იყო და, საშინელი გრიგალი ამოვარდნილა და ზოგიერთი მერე იმასაც ამბობდა, როცა ნიაღვარი მოვარდა, არც ერთი სახლი, არც ერ-თი ხე უკვე ისედაც აღარ იდგა, მიწასთან იყო ყველაფერი გას-წორებულიო. მერე მაგანის ხეობიდან უშველებელი რუხი მასა გუგუნით და ტრიალ-ბზრიალით გამოვარდნილა (ზოგიერთი ირ-წმუნებოდა: მთის სიმაღლე ბორბალივით მოგორავდაო). ვინც რაღაც სასწაულის ძალით გადაურჩა ამ საშინელ წარღვნას, მე-

რე იგონებდა თურმე: ჯერ გვეგონა, ის დათვი გაცოცხლდა ისევ და, ვნების ამდენი ხნის დაოკების შემდეგ, გააფთრებით დაიძრა სოფლისკენო.

ყველაფერი სულ რამდენიმე წუთში მორჩენილა. ხოლო ამ რამდენიმე წუთის შემდეგ სოფლის ნამოსახლარზე მდინარის უზარმაზარი კალაპოტი დარჩენილა, ამ კალაპოტს შუა მაგანა ისე მშვიდად მიედინებოდა, ისე სუფთა მინანწკარებდა, იფიქ-რებდი, არც არასოდეს ადიდებულაო. თითქოს არც სოფელი არსებულიყო აქ, ხოლო ის, რაც ადრე ჩანდა, მირაჟი იყო და მირაჟით გამქრალიყო. ირგვლივ და მდინარის გასწვრივ, სა-დამდეც თვალი მიგინვდებოდა, უამრავი ხის მორი დახორგილი-ყო და მერე ამის გამო მიმხვდარან, რა მოხდა: მიმხვდარან, თუ როგორ ნელ-ნელა იხერგებოდა ხეობა, როგორ გადაიკეტა მდი-ნარე, დაგუბებულმა წყალმა როგორ გაარღვია ჯებირი, როგორი გრიალით გამოხეთქა ხეობიდან და როგორ გადაუარა ნახევრად მძინარე სოფელს...

**მოზუს** სახე წამონთებია. სკამზე ოდნავ გვერდულად ზის. ცალი ხელით ჯოხს დაყრდნობია, ცალით კი ისევ ისე აფერფ-ლებს სიგარეტის ნამწვს ბროლის საფერფლეზე, გეგონება, უკა-კუნებსო. ხელი შესამჩნევად უკან კალებს.

საფერფლე სიგარეტის ნამწვითაა საესე.

– ჰო, ჩემო ბატონო, – მოხუცი ჩუმად ახველებს, ხმას იწ-მენდს. – ასე მოხდა ეს საშინელი, მაგრამ, მე რომ მკითხოს კაც-მა, ჭუის სასწავლი ამბავი. წარღვნა იყო, რა იყო, აბა?! ის გა-დარჩენილები ერთხმად ირწმუნებოდნენ მერე: ჩვენ ჯერ კიდევ აზრზე არ ვიყავით, მაგრამ მოვარდნილი ღვარცოფიდან ცხადად მოგვესმა – შენ რომ ჩემი ხმა გესმის ახლა, ისე – დათვის საში-ნელი ღრიალიო. ცრუმორწმუნები ამბობდნენ: ალბათ, დათვის ტყავში ჩაბუდებულმა სულმა დაიღრიალა, საფრთხე რომ იგრძ-ნოო (სხვა ვერსიით – დაუკმაყოფილებელი უინის გამო). სხვები კიდევ ვარაუდობდნენ: იმ დათვს მოდგმაც ეყოლებოდა და აზ-ვირთებულმა ნიაღვარმა, შეიძლება, რომელიმე თან გამოიყოლა, გამოიტაცაო.

ერთი-ორი ისეთიც ყოფილა, სულ სხვა რამის გამო რომ იფი-

ცებოდა ყველაფერს, მაგრამ მათი ნათქვამი იმდენად არარეალური ჩანდა, ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც ერთგვარად დაბნეული ამბობდნენ თურმე: კარგად არც ვიცი, სიზმარში ვიყავი თუ ცხადში, მაგრამ სანამ გაცოფებული ნიაღვარი მოვარდებოდა და საშინელი გრუხუნით გამოვარდებოდა ხეობიდან, ჩონგურის ხმა ისეთნაირად ჩამესმა, თითქოს ამ უბედურების ჟამის დადგომამდე მეჩონგურე ოსტატი სოფლის ცენტრში, დათვის ტყავჩამოკიდებული ხის ძირას ისევ ძველებურად იჯდა და უკრავდაო!..

**თქვენი** საქმე თქვენ უკეთ იცით, ბატონი, ცხადია, მაგრამ მე გირჩევდით, ამ ჩანაწერებისათვის სწორედ „დათვის ტყავი“ დაგერქმიათ. ასე უფრო გასაგები იქნებოდა იმათვის, ვისაც დრო არ დაენანებოდა და წაიკითხავდა ამ ამბავს, ამბავს, რომელიც იმ წარლვნის შემდეგ წლობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ასე უფრო უპრიანიც იქნებოდა, რადგან დრო-უაშსაც ამ ამბისთვისაც სწორედ იმ დათვის ტყავის ფუნქცია დაეკისრებინა.

ხვდებით, მე მგონია, იმასაც, რატომ ამბობდნენ ბაბუაჩემზე – ძალიან ჭკვიანი და წინდახედული კაცი იყოო. კი, იყო! ამას რა მტკიცება ან უარყოფა უნდა, მაგრამ დააკვირდით: მისთვის კიდევ, თავის ბაბუას რომ არ მოეყოლა, იმისთვის კიდევ – მის ბაბუას და ასე შემდეგ, მაშინ?.. ეს ისეა, როგორც... აი, აგერ, ბუხარში!.. ხომ ხედავთ, რამხელა ქვაბი ჰყიდია ამ ჯაჭვზე! რომელიმე რგოლი რომ იყოს აქ ხინჯიანი ან სუსტი, ხომ მოგჭამა ჭირი!.. რატომ ვამბობ ახლა ამას? თუ კაცი ხარ, ჩემზე არ ჩანერო ახლა მანდ, ასე და ისეო, ასეთი და ისეთიო, ქე რომ ვიცით ხანდახან სუფრაზე, ისე! კი, უხერხულიცაა და ვერ იქნება მთლად მოსაწონი, გონიერიც... გინახავთ ისე, მიწიდან თავისით, უთესლოდ ან უფესვოდ, ამოსული ხე? ამას ემგვანება ესეც.

მამა

ଦେବପାତ୍ର ମହାନ୍ତିର

ଶକ୍ତିମାନ

ଶକ୍ତିମାନ



როცა საიდუმლოება მეტისმეტად დიდია,  
ადამიანს არ ძალუდს, არ დაემორჩილოს მას.

ანტუან დე სანტ-ექსიუარი,  
„პატარა უფლისწული”.

მე რომ სახლიდან გამოვედი, ბიძაჩემი აუზის კიდეზე იჯდა,  
გვარდიელის ხალებიანი ყავისფერი პერანგი, თითქმის ყოველ-  
დღე რომ ეცვა ამ ბოლო დროს, მხრებზე მკლავებგაუყრელად  
ჰქონდა მოხურული. უცბად ვერც შევამჩნიე, ახლოს რომ მი-  
ვედი, მაშინ ვნახე: მკერდი და მარჯვენა მკლავი გვარიანად  
ჰქონდა გაკანწული. ანამ სველი თეთრი ტილო მოურბენინა და  
ბიძაჩემმა ნაკანწრი ჯერ მკერდზე, მერე მკლავზე ფრთხილად  
მოიწმინდა. რომ დავაკვირდი, ახლა უკვე ძლივს ემჩნეოდა. მე  
სულ ახლოს ვიდეექი, თორემ შორიდან, შესაძლოა, საერთოდაც  
ვერც შეგემჩნია.

ვინმე ხომ არ დაგვესხა-მეტქი, შიშით გავიფიქრე. კი არ  
შემშინებია, გამიკვირდა; ორივე ბიძა და მამაჩემი სახლში რომ  
იყვნენ ისე, ვის უნდა გაებედა?! თუმცა, ტყუილად კი არ მოს-  
თქვამდა ბებიაჩემი დილიდან საღამომდე, საჭირო იყო თუ არა:  
„წახდა ქვეყანაო!“ ახლა ომი არ იყო, „ბეტეერებიც“ გავიდნენ  
სოფლიდან და კლუბში მცხოვრები ჯარისკაცებიც, მაგრამ ღა-  
მე ისე არ ჩაივლიდა, ვინმეს ავტომატების ბათქა-ბუთქი არ  
აეტეხა.

მომეჩვენა, რომ ეზოში მყოფნი უჩვეულოდ მშვიდად გამოი-  
ყურებოდნენ. თანაც კახას მამამ ისეთი რამ თქვა, არც ომთან  
და არც ბანდიტებთან არავითარი კავშირი რომ არ უნდა ჰქო-  
ნოდა:

– რამდენი ხანია, მეტყევეები მეხვენებიან და არ ვაძლევ.  
ხვალ მე თვითონ გავაჩერებ მაგათ მანქანას და გავაყოლებ!

კახას დედაც იდგა ეზოში, კახაც და მისი ძმა რამოც.

თუმცა ლამე იყო, დღე გეგონებოდა, ისე კარგად ჩანდა ყველაფერი. ვერ მივხვდი, მთვარე ანათებდა ასე კარგად, თუ ეზოში ჩამოკიდებული ნათურა. თუმცა, შეიძლება, ორივეს გამოიყო ასე.

კახას მამის ნათქვამზე ბაბუაჩემა ჩაიცინა.

ბაბუაჩემი ასეთნაირად ჩაიცინებს ხოლმე მაშინ, როცა ვინ-მესი არ სჯერა. მივხვდი, ამჯერადაც იფიქრა: „ამ კაცის ნათქვამი შეპასუხებად არ ლირსო“.

არც არაფერი უთქვამს. ეგ იყო, კეფა მოიფხანა და მოჭუტული თვალებით მიაჩერდა ბიძაჩემს.

მომეჩვენა, ბიძაჩემს შეპასუხება უნდოდა, მაგრამ ამ დროს ანამ რაღაცა ჩუმად უთხრა დედას, დედამ მე შემომხედა და შეიცხადა:

– ეგ შიშველი რატომ დგას აქ?!

რას გაიგებ ამ დიდების?! მაინც და მაინც მე მარტო რატომ ვიდექი შიშველი?! პერანგი არც კახას ეცვა, არც რამოს, არც გიოს. თანაც ისე ცხელოდა, რომ მქონოდა ახლა, ორ ბოთლ ლიმონათს სულმოუთქმელად დავლევდი!

– არ მინდა, ცხელა! – ვთქვი მე.

ვინ გაგიგონა! ანა უკვე მიღიოდა პერანგის მოსატანად. რანი არიან, მართლაც, ეს დიდები?! მე რომ მეთხოვა, მცივა და პერანგი მომიტანეთ-მეთქი, თავში გვარიანად ნამითაქუნებდნენ. ამათთან რამე რომ გამოგივიდეს, ყველაფერი პირუჟუ უნდა უთხრა!

– დარწმუნებული ხარ, არ უკბენია? – იკითხა ლუბა ბებიამ და ბიძაჩემს მკლავზე დააკვირდა. ჩემი ბებია ლუბა ბიძაჩემის დედაცაა.

– არა-მეთქი! – ბიძაჩემის ხმა მშვიდად უღერდა. ოღონდ ეგ იყო, სახე ჰქონდა რაღაცნაირად პირქუში და გაქვავებული.

აშკარა იყო, ჯეკაზე საუბრობდნენ, კახასა და რამოს ძალაზე.

მეც ძლივს არ მივხვდი?! როგორც კი სახლიდან გამოვედი, რაღაც ნაცნობი სუნი ვიგრძენი, ეს სუნი ახლაც ცხვირში მიღინებდა. ეს ჯეკას სუნი იყო. მაგრამ რატომ უნდა ყოფილიყო

აქ ჯეკას სუნი, თუკი ჯეკა თავის ხუხულასთან იყო დაბმული და ეს ამ სიშორიდანაც კი კარგად ჩანდა?!

რატომლაც მომეჩვენა, რომ ეს სუნი ბიძაჩემის ჭრილობებს უდიოდა და უფრო ახლოს მივედი. მთლად ხელის მიკარება ვერ გავპედე. ბიძაჩემის მომერიდა. ბაკუ ბიძია რომ ყოფილი-ყო, ხელს შევახებდი და ჭრილობებს დავყინოსავდი კი არა, თუ მომინდებოდა, სულაც კისერზე ცხენივით მოვაჯდებოდი. ბესო ბიძია კი ქალაქში მუშაობდა და ჩვენთან ხანდახან ჩამოდიოდა. ახლაც სულ რამდენიმე დღის ჩამოსული იყო.

ბესო ბიძიას ჩამოსვლა ყველას უხაროდა ხოლმე, მაგრამ ყველაზე უფრო, ალბათ, მაინც – მე. ვარიანტი არ იყო, რამე საინტერესო სათამაშო არ ჩამოეტანა. აი ისეთი, კახა და რამო თვალებს რომ ფართოდ დააჭყეტდნენ. გოგაზე და იკაზე ხომ საერთოდ ნუ იტყვი! წინათ რომ ჩამოვიდა, ნამდვილი საფეხ-ბურთო ბურთი მაჩუქა. ცოტა მძიმე კი იყო, მაგრამ, სამაგიე-როდ, ტელევიზორში ფეხბურთს რომ თამაშობენ, ზუსტად მაგ-დაგვარი! ისეთი ლამაზი იყო, დაგენანებოდა ფეხის დარტყმა. თავდაპირველად, რამდენჯერაც დაეცემოდა ქათმის სკინტლ-ზე, იმდენჯერ სველი ტილოთი ვწმენდდით.

ბესო ბიძია რომ ჩამოვიდოდა, საჩუქრებთან ერთად თან ქა-ლაქურ სუნსაც ჩამოიტანდა. ეს სუნი რაღაცნაირად წააგავდა ეზოში ღობეს გასწვრივ ამოსული ყვავილების სუნს, მაგრამ, ამასთან, ძაანაც განსხვავდებოდა მისგან. ეს ქალაქის სუნი იყო. ამ სუნს ქალაქის საპარიკმახეროებში აფრქვევენ ხოლმე იმათ, ვინც იქ პირს გაიპარსავს ან თმებს შეიჭრის. ერთხელ, დედაჩემთან ერთად ქალაქში რომ ჩავედი, ბიძაჩემი და მე ერ-თად წავედით საპარიკმახეროში. ბიძაჩემმა წვერიც გაიპარსა და თმებიც შეისწორა, მე თმები შემკრიჭეს. აუჰ, რა მომაფრქ-ვია პარიკმახერმა?! ლამის გავინუნე! სოფელში რომ ჩამოვედი, ეს ჯორისკუდა ნატა, კახასა და რამოს და, პირდაპირ ავტობუ-სის გაჩერებასთან არ აგვეტუზა?! გამარჯობაც კი არ უთქვამს, პირდაპირ თმებზე მტაცა ხელა?! თან ჩაიცინა; “აი ქალაქელი ბიჭი! არ აგვაქოთა ქალაქური სუნით!” დედაჩემს ვეხმარებოდი და ხელში ცელოფნის პარკი მეჭირა, ამიტომ, სანამ განზე გახ-ტებოდა, ვერ მოვასწარი ჯორის კუდისმაგვარ თმებზე ჩაფრე-

ნა, თორემ როგორ ჩაიცინებდა, ვნახავდი. მერე გადავიფიქრე: ალბათ, შურს-მეტქი და შევეშვი. ისე კი, ქალაქიდან ჩამოსულებს ყველას ჰქონდა ასეთი სუნი, თუნდაც თმებიც არ შეეკრიჭათ იქ, თუნდაც საერთოდ არ გაევლოთ საპარიკმახეროსთან ახლოსაც კი. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იქ ჰაერიც კი ამ სუნით იყო გაჟღენთილი.

ისე, ჯორისკუდაო, რომ ვთქვი, – ეს ბაკუ ბიძიამ შეარქვა ნატას თავისი მართლაც ჯორის კუდივით ჩამოკონწიალებული თმის გამო. მართლაც, ზედგამოჭრილი იყო მისთვის ეს სახელი!

ბუნებრივია, ბესო ბიძიამ ამჯერადაც, რომ ჩამოვიდა, ქალაქური სუნიც თან ჩამოიტანა. თან ჩამოიტანა ის ყავისფერი, ხალებიანი ჰერანგიც, რომელიც ჩამოსვლის მეორე დღეს სამგზავრო ჩანთიდან ამოილო და დაუთავების გარეშე ჩაიცვა. როგორც ბესო ბიძიამ თქვა, მას ამ სამარცხვინო ძმათამკვლელ (სწორედ ასე თქვა: „სამარცხვინი“ და „ძმათამკვლელიო“) ომში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ეს პერანგი რომელილაც მეგობარ პოლკოვნიკს უჩუქნია. ე, მე რომ მკითხოს კაცმა, კაპიტანს რომ ეჩუქნა, უფრო გაასწორებდა, რა!..

ბუნებრივია, ამ პერანგსაც თავისებური სუნი ჰქონდა. სწორედ ასეთი სუნი ჰქონდათ კლუბში დაბინავებულ ჯარისკაცებსაც – იმათაც, ვინც პირველი დაბანაკდნენ აქ, და იმათაც, შემდგომ რომ მოვიდნენ და ერთდღიანი სროლების შემდეგ შევიდნენ შიგ. ახლაც, რამდენი ხანი გავიდა იმის შემდეგ და, მინებჩამსხვრეულ და ბათქაშჩამონგრეულ კლუბს რომ აუკლიდი გვერდს, იმ სუნს ჯერ კიდევ შეიგრძნობდი.

შეიძლება მარტო ქალაქური სუნის გამო კი არა, ამ სუნის გამოც ვერ შეეწყვნენ ბესო ბიძია და მეზობლის ძალლი ჯეკა ერთმანეთს. ჯეკას მინდვრის სუნი უყვარდა, ბალახებისა და ხეების ჩამოყრილი ფოთლების ნამდვილი სუნი უყვარდა. ოო, როგორ გავარდებოდა, როცა აუშვებდნენ?! ნეტარებით კოტრიალებდა, რა ბუქს ააყენებდა ხოლმე?! ჯეკასაც ამ ბალახებისა და ფოთლების სუნი უდიოდა.

როცა ბესო ბიძია ქალაქიდან ჩამოვიდა და თქვა: „ერთი მაგათან გადავალ, გაუხარდებათო“, მეც თან ავეკიდე. ყველანი ეზოში იყვნენ იმ დროს: გურამი ბიძიაც და მანანა ბიცოლაც,

კახაც და რამოც. ჯორისკუდაც იდგა ონვანთან ახლოს, ცოცხი დიდი ქალივით დაეჭირა ხელში და თავმომწნონედ გვიყურებდა.

მეც ხომ გვერდით მივყვებოდი ბესო ბიძიას, არადა, როგორც კი ფეხი შევდგით იმათ ეზოში, გადაირია, მაგრამ რა გადაირია ჯეკა. სანამ თავის ხუხულაში ჯოხით არ შეაგდო და კარი არ მიუკეტა ბიძია გურამმა, მანამ არ გაჩუმდა.

— ვაი და ვუი მაგას? რა ჭირი ეტაკა?! — მოუბოდიშა ბესო ბიძიას მანანა ბიცოლამ.

მართლაც, ესეთი რამ ჯეკას არავისთან ჩაუდენია. უცხოს როგორ არ უყეფდა, მაგრამ საკმარისი იყო, თითო დაგვექნია, გაჩუმდებოდა. საოცრად ჭკვიანი ძალლი იყო ჯეკა. ახლა რა მოუვიდა, ვერ გავიგე. პილპილი ხომ არ აჭამა, ნეტა, ვინმემ? როცა ბებია გაბრაზდება და კაბასობს, „პილპილი ხომ არ გიჭამია, ქალოო?“ — ეუბნება ბაბუა. მერეც და მერეც, როცა ბიძაჩემს დაინახვდა, გააფრთხებული ჯეკა კვლავ და კვლავ მთელი ძალით ცდილობდა იმ საკმაოდ მსხვილი ჯაჭვის გაწყვეტას, რომლითაც ის თავის ხუხულაზე იყო მიბმული. თითქოს, მეზობელი კი არ შემოსულიყოს ეზოში, არამედ — მოსისხლე და დაუძინებელი მტერი?! „ამდენი ხანი როგორ ვერ მიეჩვიაო?!“ — ყველას უკვირდა. მგონი, მხოლოდ მე ვხვდებოდი, რაშიც იყო საქმე.

ჯეკას საღამო უამს აუშვებდნენ ხოლმე. როგორც კი აუშვებდნენ, უმალ გადაუფრენდა ხოლმე ჩვენს ღობეს, უკან მოუხედავად გადაჭრიდა ეზოს, მოპირდაპირე ღობესაც გადაევლებოდა და სიბნელეში გაუჩინარდებოდა. სანამ მთელ სოფელს არ შემოირბენდა, სანამ მთელი სოფლის ველ-მინდვრებს არ ააბუქებდა და კარგად არ მოიხებდა გულს, უკან არ მობრუნდებოდა. მობრუნდებოდა და ველ-მონდვრებიდან იმ ნაცნობ სუნსაც მოიტანდა თან.

ასე იყო ყოველ საღამოს.

ერთხელ ჯეკა რომ აუშვეს, მე და რამო ჩვენს ეზოში სახლის წინ კიბეზე ვიჯექით და ბესო ბიძიას მიერ წინა ჩამოსვლაზე ჩამოტანილ ავტომატს ვარემონტებდით. მთლად ნამდვილი ავტომატივით იყო, რომ გამოსწევდი, გრუხუნებდა და სულცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა ლულიდან. როგორც კი ჯეკა

გადმოევლო ღობეს თავის ეზოდან, ჩვენი ეზოს ჭიშკრიდან ბე-სო ბიძიაც შემოვიდა. ვერც მე და ვერც რამომ განძრევა ვერ მოვასწარით, რომ ჭიშკრიდან ორიოდ მეტრზე ჯეკა და ბესო ბიძია ერთმანეთს შეეჩენენ. მე რომ შემეშინდა, აი ის იყო ში-ში, თორემ აბა ბიძაჩემს როგორ არ შეეშინდებოდა, მაგრამ აქ დაუჯერებელი რამ მოხდა: ყველაზე უფრო მაინც ჯეკას შეე-შინდა. კიდევ კარგი რამოც აქვე იჯდა, თორემ ხომ არაფრით დამიჯერებდა ამას და მერე მთლად გამომიჭედავდა ყურს ნიშ-ნის მომგებიანი კითხვით: „ჯეკა უფრო მაგარია, თუ შენი ბესო ბიძიაო?“.

ბესო ბიძია რომ დაინახა, ჯეკა მოწყვეტით შედგა. შიშისა-გან გამაურულოლა, რადგან ვიფიქრე: ახლა ერთს აიფოფრება, თვალებიდან და პირიდან ელვა-ცეცხლს გადმოჰყრის და ბიძა-ჩემს გაავებული ეკვეთება-მეთქი.

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ?! პირიქით კი მოხდა. შეშინებული ჯეკა ისეთნაირად მოიკუნტა, ლამის მინაში ჩაძვრა, მერე ისე, თითქოს თავში კეტი მოხვედროდეს, ერთი დაინკმუტუნა, შურ-დულიდან ნასროლ ქვასავით მოწყდა ადგილს და წკმუტუნ-წკ-მუტუნით თავი ისევ თავის ეზოში დურთა. არადა, ბესო ბიძია არც განძრეულა. ის კი არა, ჯიბიდანაც არ ამოუღია ხელი.

ელდანაცემმა ბესო ბიძიამ – „თფუ, შენიო!..“ – მინაზე და-აფურთხა, მერე რაღაც უცნაურად გაიცინა: „აი თურმე რაში ყოფილა შენი ძალა, ჯეკ!“ ისე სუნთქავდა, თითქოს სადაც იყო იქიდან აქამდე სირბილით მოსულიყო. სიცილ-სიცილით მოგვი-ახლოვდა, თავზე ხელი გადაგვისვა ორივეს და ასევე სიცილ-სიცილით შევიდა სახლში. თავზე ხელი რომ გადამისვა, იმწუ-შივე ვიგრძენი ის სასიამოვნო სუნი, ქალაქიდან რომ ჩამოჰყვა. დედაჩემი ბოსტნის ღობეს გადმომდგარიყო და სანამ ბიძაჩემი სახლში შევიდოდა, „რა მოხდაო“, შეეკითხა. მან კიდევ ხელის აქნევით უპასუხა: „არაფერიო“.

მე კი რამოს ნიშნისმოგებით ვუთხარი: „როგორ ფიქრობ, ბესო ბიძია უფრო მაგარია, თუ შენი ჯეკა-მეთქი!“

მერე, როცა ამ ამბავზე ვფიქრობდი, რატომლაც ბიძაჩე-მის მაშინდელი ნათქვამი მახსენდებოდა ხოლმე სულ. ალბათ, იმიტომ რომ ვერ დავიმახსოვრე, როგორ თქვა: „აი, თურმე რა

**ყოფილა შენი ძალა ჯეკ!"** თუ: „აი, თურმე რაში ყოფილა შენი ძალა, ჯეკ!"

სალამოს, როცა ბესო ბიძია ეზოში, მსხლის ძირას, ჩრდილში, საქანელა სკამზე იყო გადაწოლილი და გაზეთს კითხულობდა, ვკითხე:

– ბესო ბიძია, შენ ჯეკასი ხომ არ გეშინია?

გაოცებით შემომხედა. მერე წამოჯდა, გაზეთი მუხლებზე ჩაიდო და ჩემთვის მოულოდნელი რამ მითხრა:

– რა თქმა უნდა, მეშინია.

მე დავიბენი. ჯერ ჩემთვის არავის არ უთქვამს ასეთი რამ. პირიქით, ყველანი მებრიქებიან ხოლმე.

ჩემი დაბნევა ბესო ბიძიამ შეამჩნია და გამიღიმა:

– მხოლოდ სულელებს არ ეშინიათ არაფრის! – ბესო ბიძიას ღიმილსაც სასიამოვნო სუნი უდიოდა.

– ბესო ბიძია, ჯეკასაც ხომ ეშინია შენი?

– რა თქმა უნდა, ჯეკა ჭკვიანი ძალლია, და არ შეიძლება, არ ეშინოდეს ჩემი!

ჰმ, ცოტა უცნაურად კი ლაპარაკობენ უფროსები, მაგრამ, მე მგონი, მივხვდი, რასაც ბესო ბიძია მეუბნებოდა. არა მგონია, ამას რამო მიმხვდარიყო. რამო კი არა. შეიძლება კახაც ვერ მიმხვდარიყო უცბად. ანაზე ან ჯორისკუდაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს! რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმასაც, რომ ამ ღამითაც – როცა ბესო ბიძია გაკანრული მკერდითა და მკლავით აუზის კიდეზე იჯდა, როცა ჯეკა მის ეზოში თავის ხუსულასთან იყო დაბმული და, რაღაც გასაოცრად, ამ აუზთან ჩემს მეტი ვერავინ მოინახა შიშველი – ბესო ბიძიასა და ჯეკას ამბავი გრძელდებოდა. ბუნებრივია, ბესო ბიძიას მკერდზე და მკლავზე არსებული განაკანრებიც ამ ამბავთან იყო დაკავშირებული. უფრო მეტიც, ყველანი, ვინც ამ ეზოში ვიყავით, ამ ამბის შემადგენელი ნაწილები აღმოვჩნდით, ისე, როგორც მსახიობები მონაწილეობენ ფილმში. ამ მსახიობების გარეშე, ცხადია, ფილმიც არ იქნებოდა. მე ძაან მინდოდა ყველაფერი დაწვრილებით გამეგო. კიდეც უნდა მეკითხა რამოსათვის, მაგრამ ამ დროს ბაბუაჩემმა საათს დახედა და გაიოცა: „ოთხის ნახევარი ყოფილა უკვეო?!“ ყველანი დასაძინებლად წავედით.

ასე რომ, იმ დამეს ვერაფერი გავიგე. მართალი ვთქვა, ბევრი ვერაფერი ვერც მეორე დღეს გავიგე და ვერც მესამეს... დაწვრილებით ამ ამბავს ბიძია ბესო, მე მგონი, არავის უყვებოდა და მე როგორ მომიყვებოდა. არა, იმას კი არ ვამბობ, ჩემთან ლაპარაკს დაიზარებდა-მეთქი, მე სხვა რამ მაქვს მხედველობაში. დიდები ხომ თავისებურად უდგებიან და უყურებენ ყველაფერს. ჰოდა, ამდენად, ბიძაჩემს დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ მომიყვებოდა იმას, რაც მე მინდოდა, თუ როგორც მე მინდოდა. ერთი სიტყვით, ნახატებიანი სათამაშო რომ არის, ნაწილ-ნაწილ რომ უნდა ააწყო რამე, სწორედ ამ ნახატებივით ავაწყვე მერე იმღამინდელი ამბავი. ერთი შეხედვით, თითქოს, არაფერი საინტერესო არ არის: „შუალამისას ბიძაჩემს ძალლის წესის შემოესმა. „თითქოს ტიროდაო“, – თქვა ბესო ბიძია. რომ არ შეწყდა და არ შეწყდა წესის ბიძია, ადგა, ეზოში გავიდა და ლობეზე ფეხით ჩამოკიდებული ჯეკა დაინახა. „რომ მივედი, უკვე ისე იყო მისავათებული, წესის შეწყდა კი არ შეეძლო“, – ამბობდა ბესო ბიძია. – „ძლივს ჩამოვხსენიო. ისეთი მძიმე იყო, აუზამდე ძლივს მოვიყვანეო. აქ ცოტა ხანი შევისვენე. ჯეკა მკლავებზე და მუხლებზე მეწვინა, სიცოდვილისაგან და კიდევ რაღაც გაუცნობიერებული გრძნობით თავზე ვეფერებოდიო“. მერე ბესო ბიძიას გადაუწყვეტია, წავიყვან ამ ძალლს და თავის ხუცულასთან დავსვამო. ჰოდა, მაშინ, როცა ჩვენს ეზოსა და მაგათ ეზოს შორის ჩამოკიდებული კარი ფეხით შეაღო და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მომხდარა ის, რამაც ბიძაჩემს მოულოდნელობისაგან, „წადი, შე უმადუროო“, რომ წამოაძახებინა. უცბად ჯეკას მკლავებიდან უსკუპია და ისეთი შემოუღრენია, ბიძაჩემს იმ, ფეხით შეღებული, კარის ზურგსუკან მიკეტვა ძლივს მოუსწრია.

არ ვიცი, ჯეკა უფრო დიდანს კოჭლობდა თუ ბესო ბიძიას ემჩნეოდა ჯეკას ბრჭყალებით განაკანრი მკერდზე და მკლავებზე, მე უფრო სხვა რამ მაინტერესებდა: აი ბესო ბიძიამ რომ თქვა ჯეკაზე: „თითქოს ტიროდაო“. კი ამბობდა ბესო ბიძია რაღაც უცნაურობებს დიდებივით, მაგრამ რაც უნდა ეთქვა, მაინც მტრები იყვნენ ისინი. ჰოდა, რახან მტრები იყვნენ, ნეტავი, რა უნდა ეფიქრა ბესო ბიძიას, როცა ლობეზე თავქვე

ჩამოკიდებული ჯეკა დაინახა. მაგალითად, ბესო ბიძიამ თქვა, კიდევ ცოტა ხანი და დაიხრობოდა. რამოს და კახას მამა არ დაეთანხმა: ძალლს ძალლის გაძლება აქვს: ერთი კვირაც რომ ყოფილიყო თავდალმა დაკიდებული, არაფერიც მოუვიდოდა. ასეა თუ ისე, მაინც: მართლაც, თუ მტრები იყვნენ ისინი ერთ-მანეთისა, რატომ უნდა დახმარებოდა?! ამაზე რამომაც მხრები აიჩეჩა, ესე იგი – ვერაფერი გამიგიაო. კახამ, მოგცლია ერთიო და ზურგი შემაქცია. რამო მაინც გავჭედე: როგორი იქნება, ახლა მე შენ ავტომატი გაჩუქრ, შენც აღგე და იმწუთშივე ეს ავტომატი თავში ჩამარტყა-მეთქი. ჰოდა, მეტი სიცხადისათვის და დამაჯერებლობისათვის. ავდექი და ეს ავტომატი მართლაც ვაჩუქრ, რამოს ჯერ ეჭვი შეეპარა, მაგრამ დედა რომ დაგიფიცე, თვალები გაუბრწყინდა, ავტომატი ჩამომართვა, გადამეხვია და მაკოცა: „ძალლებისა და ბიძიების დედაც ვატირე, ჩვენ ვიყოთ მაგარი ძმაკაცებიო!“ ასე და მარტივად! უფროსები რომ იტყვიან რამეს ბუნდოვნად – თანაც რომ მიხვდები და თანაც რომ ვერ მიხვდები – ისე კი არა, უბრალოდ: ასეო და მორჩა!

მე და რამომ კი გავარკვიეთ ერთმანეთში ყველაფერი, მაგრამ ჯეკას ამბავი მაინც არ მასვენებდა: თუ ბესო ბიძიას უნდოდა შერიგება, ჯეკას რატომ არ უნდა ნდომოდა?!

ერთხელ ბესო ბიძიამ, როდესაც მამაჩემს ელაპარაკებოდა, ჩაიცინა და ისე თქვა: „შევწუხდი, მაგრამ მაინც გულში ერთგვარი სიამოვნებით გავიფიქრე: ოჟ, ჩემო უნდო მეგობარო, ახლა კი, ალბათ, დადგა ჩვენი შერიგების დრო!“ ეს იმ მომენტზე თქვა, როცა ლობეზე ჩამოკიდებული ჯეკა დაინახა და მისი ჩამოხსნა გადაწყვიტა. „თავდაპირველად ისიც კი ვიფიქრე, გურამი ხომ არ გავაღვიძო-მეთქი“, – ამას კახას, რამოს და იმ ჯორისკუდა ნატას მამაზე ამბობდა ბიძია ბესო. არა, ვერაფერი გამეგო, ჯეკას რატომ არ უნდა ნდომოდა შერიგება, მართლაც თუ ისეთი ჭკვიანი და კარგი ძალლი იყო, როგორადაც ბესო ბიძია ამბობდა. თუმცა, ეს მან, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მანამდე თქვა, იქნებ ახლა, შესაძლოა, სულაც სხვანაირად ფიქრობდა?

ჰოდა, როცა მე და ბესო ბიძია მდინარეში საბანაოდ წავედით და ცივი წყლისაგან აკანკალებულნი მზეს მივეფიცხეთ,

მის მკერდსა და მკლავზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ნაკვალევს შევავლე თვალი, ვთქვი:

– ხომ ცუდი ძალლია, ბესო ბიძია, ჯეკა?

– ჯეკა?! – ბესო ბიძია თითქოს უცბად ვერც მიხვდა, რას ვეკითხებოდი. მერე რაღაც უცნაურად დამაკვირდა, თავზე ხელი გადამისვა და სრულიად სერიოზულად მითხრა: – ცუდი ძალლი კი არა, ძალზე ჭკვიანი და კარგი ძალლი ყოფილა ჯეკა! იმაზე უფრო უკეთესი, ვიდრე მეგონა!

მისმა ნათქვამმა გამაოცა.

– აბა, ის ამბავი, იმ ღამეს რომ მოხდა?! – ჩავეკითხე.

– სწორედ იმ ღამეს დაამტკიცა ჯეკამ, რომ მართლაც კარგი ძალლი იყო!

კი ლაპარაკობენ ეს უფროსები გაუგებარ რაღაცებს, მაგრამ მაინც ეჭვი შემეპარა: წყაროსთან რომ გამოვიარეთ, ბუქუ ბიძიამ ორი ჭიქა ჩაციებული ღვინო დაალევინა და, ხომ არ დათვრა-მეთქი. თუმცა ორი ჭიქა კი არა, გაღმელ ემზარიკოს რომ ბაბუას ნაჩუქარი ჭურები დააქვს საბანაოდ, იმ სიდიდის ორი ხელადაც დაელია, ბესო ბიძიას არ შეეტყობოდა.

– შენ რომ ვინმეს კარგი საქმე გაუკეთო, იმან კი ეს ცუდად გადაგიხადოს, როგორ შეიძლება ის კარგი იყოს?!”

მართლაც, ვერაფერი გავიგე!

ბიძაჩემმა კვლავ გაოცებით შემომხედა. წამოჯდა, პერანგი მხრებზე მკლავებგაუყრელად მოიხურა (ბესო ბიძას ახლა ლურჯი პერანგი ეცვა ხოლმე. ჯარისკაცების ჩასაცმელი, რომელიც იმ ღამით ეცვა, მამაჩემს აჩუქა (ვენახის შენამვლისას გამოგადგებაო). ცოტა ხანი ისეთნაირად მიყურებდა, თითქოს ჩემს ზურგს უკან კიდევ ვიღაც იდგა.

– აქ ცოტა სხვა ამბავია, ჩემო გიორგი! – სწორედ ასე თქვა: „ჩემო გიორგი“. „გიოო“ კი არა – „გიორგიო“. ასეთნაირად არავინ არ მომმართავდა. მე, მგონი, ბიძაჩემმაც პირველად მომართა ასე. – აი, როგორ აგიხსნა... – ბიძაჩემი ცოტა ხანს ფიქ-რობდა. ეტყობა საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. ხანდახან მეც მჭირს ასე, ვიცი რაღაცა, ან რაღაცას მივხვდები, მაგრამ რომ ვთქვა, საჭირო სიტყვებს ვერ ვპოულობ.

– იცი, რა გიორგი! – თქვა ბოლოს ბესო ბიძიამ. – არის

ისეთი რაღაცეებიც, სხვისი ნათქვამითა და ახსნით რომ ვერ მიხვდები. ასეთ რაღაცეებს კაცი თვითონ უნდა მიხვდეს, თავი-სით... თავისით, თანდათანობით, როგორც გაიზრდება...

ცოტა არ იყოს, გული დამწყდა: მე ახლავე, ამწუთას მინ-დოდა გამეგო.

– მანც რამხელა უნდა გავიზარდო?

ბესო ბიძიამ კისერი მოიფხანა. მერე მოტრიალდა და ხელი ოხაჩქუეს მთისკენ გაიშვირა:

– როცა, აი, იმ მთაზე მარტო ასვლას შეძლებ და იქიდან გადმოიხედავ, მაშინ მიხვდები?

„აუჰ?!“ – ეგ გულში გავიიცე. სახეზე არ შემიმჩნევია და უფრო შიში რომ არ შემტყობოდა, იმიტომ ვთქვი:

– მამა ამბობს იქიდან ზღვაც მოჩანს! მართალია?

– პირველად რომ ავედი, ან თვალი არ მიჭრიდა კარგად, ან, უბრალოდ, ზღვისა და ცის ფერი ვერ გავარჩიე ერთმანეთის-გან. მაგრამ მეორეჯერ რომ ავედი, ზღვაც დავინახე!

მთას კიდევ ერთხელ გავხედე. მართლაც, ძალზე შორი ჩან-და. ერთ ადგილას თოვლი იდო. უცბად წარმოვიდგინე, რომ ამ სიცხეში თეთრ, ქათქათა თოვლზე ვდგევარ და გული რაღაც უცნაურად შემიფართხალდა.

– როგორ ფიქრობ, შეძლებ, მანდ ასვლას? – მკითხა ბესო ბიძიამ.

– როცა ცოტა კიდევ გავიზრდები... ალბათ...ალბათ – უნე-ბურად წავბორძიკდი, რადგან ბესო ბიძიას ტყუილს ვერ ვეტყო-დი.

ბესო ბიძიამ გაიცინა:

– ახლა რა, შეგეშინდებოდა?

– კი, მეშინია! - ვთქვი და შევხედე.

– არა უშავს, რახან მიხვდი, რომ გეშინია, ცოტა ხანში ნამდ-ვილად ახვალ! – თქვა და მხარზე ხელი ძმაკაცივით დამარტყა.

მართლაც უცნაურად ლაპარაკობენ, არა, ეს დიდები?! კი ხვდები, რაც გითხრეს, მაგრამ, ვინმე რომ შეგევითხოს, შეიძ-ლება ვერც აუხსნა.

მერე ბესო ბიძია ისევ ქალაქში დაბრუნდა.

საბანაოდ ახლა რამო და მე დავდივართ ერთად. ხანდახან

ჯეკაც მიგვყავს თან. როგორ უხარია, წყალში რომ შევაგდებთ. გარეთ ძალზე თვინიერი ძალლია. იქ, მდინარის პირას ბავშვებ-თანაც დიდი სიამოვნებით თამაშობს. მაგრამ მტრისას, მაშინ, თუ მის ეზოში ვინმე ცხვირის შეყოფას გაბედავს!.. დილით, როცა ვდგები, ოხაჩქუეს მთას გავხედავ ხოლმე. რაც მართალია, მართალია, ძალზე შორი ჩანს. მაგრამ ერთხელაც, როცა გავხედე, ცოტა უფრო ახლოს მომეჩვენა... ერთ დილით ისიც კი ვიფიქრე, მოდი სულაც გავიპარები და ავალ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, მაინც გადავიფიქრე. აი, რა-მოც რომ წამოსულიყო ჩემთან ერთად, ალბათ არ შემეშინდებოდა, მაგრამ ბესო ბიძიამ თქვა, მარტო უნდა ახვიდეო... აი, ერთხელაც იქნება და, ამ შიშს დედას უუტირებ!



მეგობრის

დაკრძალვის

დღის



...გამოფხიზლდი და უმშირე  
ამქვეყნიურ ამაოებას, როგორც წელან  
სიზმარეულ ჩვენებებს უმზერდი.

მარკუს ავრალიუსი

**აპტობუსი** საავადმოფოსთან იცდიდა. დაკრძალვაზე წამ-  
სვლელებმა, რატომლაც, ეს ადგილი აირჩიეს შესაკრებად. რა  
თქმა უნდა, აქ არ იყო ქალაქის ცენტრი, თუმცა, არც მთლად  
განაპირა ეთქმოდა. მე ჯერ კიდევ არ გამნელებოდა შერლოკას  
მოულოდნელი გარდაცვალებით მიღებული ელდა და ყოველი  
ნერვი უ-უ-კიდურესობამდე მქონდა დაძაბულ-გაფაციცებული.  
მასთან დაკავშირებულ თითოეულ მოგონებას, ამბავს, დეტალს  
რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი, ზოგჯერ  
თითქმის სიმბოლომდე აყვანილი აზრით ვტვირთავდი.

ახლა ეს ამბავი ამეცვიატა: აქ, საავადმყოფოს წინ, რომ ვიკ-  
რიბებოდით. უფრო სწორად – აქ რომ გადავწყვიტეთ თავმოყრა.  
სწორედ რომ, ა-ა-ამ ადგილას!

არა, საავადმყოფო აქ არაფერ შუაში იყო, მიუხედავად იმი-  
სა, რომ საწყალი შერლოკა ამ მოყვითალო-მოთეთრო შენობის  
პირველი სართულის ნომერ პირველ პალატაში გარდაიცვალა.

მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, სულ სხვა რამეზე, მაგ-  
რამ აზრებს ხეირიანად ვერ ვუყრიდი თავს. თითქოს ყველაფერი  
ნათელი იყო, მეტად ნათელი და ცხადი: აგერ, ხელი რომ გა-  
გენვდინა, თითქოს კიდევაც შეეხებოდი, მაგრამ ყოველივე ამის  
ჩამოყალიბება მიჭირდა.

ამასთან, რისი ჩამოყალიბებაც მიჭირდა, შეიძლება, თავისთა-  
ვად დიდი მნიშვნელობისა არც ყოფილიყო, მაგრამ იმ მომენტში,  
როცა ავტობუსი ნელ-ნელა ივსებოდა დაკრძალვაზე წამსვლელე-  
ბით, თანაც თითოეული მათგანი, რომ დამინახავდა, ხელის ჩა-

მორთმევით ანდა, უბრალოდ, ხაზგასმული ოხვრით გამოხატავდა მწუხარებას, ამ ჩემს ერთგამოუთქმელ და ჯერ კიდევ ბოლომდე აზრჩაულებ აკვიატებას მართლაც განსაკუთრებული – აი, გულისმომწველიო, რომ იტყვიან – ისეთი მნიშვნელობა მინიჭებოდა.

სუფთა მექანიკური თუ გეოგრაფიული გაგებით, ალბათ, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ამას, მაგრამ გონიერაში ჩემ-დაუნებურად ვზომავდი მანძილს აამ ადგილიდან პოლიციამდე, სადაც შერლოკა უბნის ინსპექტორად მუშაობდა, კიდევ – აამ ადგილიდან იმ უბნამდე, სადაც მას ბინა ჰქონდა და ასე, წელიწადი იქნებოდა, ცხოვრობდა. ახლა ამ ავტობუსსაც თავისებური როლი მისცემოდა. ახლა თვით ავტობუსი, რომელიც სწორედ რომ ა-ა-მ ადგილზე იდგა, თვითონ ქცეულიყო რაღაც ცენტრად ისე, როგორც ნებისმიერი საგანი თუ ადამიანი შეიძლება მოვიაზროთ ერთგვარ სფეროდ, რომელიც სინათლეს თავისებურად ასხივებს თუ ირეკლამს და ირგვლივ თავის სამყაროს ქმნის. ახლა ამ ავტობუსით წავიდოდა ქალაქიდან ის, რასაც შერლოკა ვერც ვერაფერს წაუმატებდა და ვერც ვერაფერს გამოაკლებდა. საღამოს ამ ავტობუსითვე შემოვიდოდა უკან და, ვინ იცის, რამდენ ხანს გაანათებდა იგი ამ პროვინციული ქალაქის მეხსიერებას. რამდენად იყო ეს დამოკიდებული შერლოკაზე, უფრო სწორად – იმ დროზე, როცა ის ამ ქალაქის ქუჩებში დაბიჯებდა? რამდენად იყო ის დამოკიდებული ჩემზე, გული, შერლოკას მოულიდნელი გარდაცვალების გამო, ლამის გასკდომაზე რომ მქონდა? ან რამდენად იყო დამოკიდებული იმათზე, ვინც რაღაც სიმბოლოდქცეული ავტობუსის გარშემო იკრიბებოდნენ? და, საერთოდ რა იყო ეს? ჰქონდა კი რამე აზრი? და აქ, უნებლიერ, თვალში მომხვდა შერლოკას ფერადი გადიდებული სურათი, რომელიც ავტობუსის წინა კართან გვერდულად მიდგმული სავარძლის საზურგისათვის მიესვენებინათ. შერლოკას მარცხენა ხელის საჩვენებელი თითო მხარზე წამოკიდებული პიჯაკისთვის გაეყარა და ისეთი კეთილი თვალებით გვიყურებდა, წამით სიკვდილშიაც დაგაეჭვებდა.

მზერა ვერ მოვწყვიტე: თითქოს თვალი თვალში გამიყარა. უცებ ვიგრძენი, როგორ შეუერთდა ამ სურათიდან არეკლილ ტკივილს გულის სიღრმიდან წამოსული უცნაური სითბო: დანაშაულის მაგვარი განცდა, ჯერ შერლოკას ავადმყოფობის, ხოლო

შემდეგ მისი სიკვდილის გაგების პირველივე წუთებიდანვე ნერვებს რომ მიწენავდა, გამქრალიყო.

• • •

**ჩვენი გაცნობა ცოტა არაორდინალურად მოხდა.**

იმ დროს, ოთხმოცდათიანი წლების დასაწყისში, ისეთი ქაოსი და განუკითხაობა იყო ქვეყანაში, მით უმეტეს – ჩვენს რეგიონში, რომ იძულებული გავხდი, ზედიზედ მესამე თანამდებობისათვის დამენებებინა თავი: ქაოსს ფეხს ვერ ავუწყობდი, მარტო ჩემს და თითო-ოროლა კაცის, ვინც ხმის ამოღებას ბედავდა, წინააღმდეგობასაც აზრი არ ჰქონდა. პირიქით: უფრო ძაბავდა სიტუაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი არეულობა შეჰქონდა. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“, – ვინუგეშებდი თავს. თუმცა, სინამდვილეშიც, სხვა გზა არც მქონდა. ძველი ჰობი გავიხსენე და კულტურის სახლის დირექტორის იაშა ჯოლოგუას წინადადებით ხატვის წრე ჩამოვაყალიბე. ეს შენობა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გაძარცულ-გაპარტახებული. პროფესიით ინჟინერ-მშენებელი ვარ, მაგრამ სტუდენტობის დროს უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების მეორად ფაკულტეტზე დავდიოდი. ამდენად, შემეძლო, დახმარება გამენია შესაბამისი ნიჭის მქონე ბავშვებისათვის.

ერთ მშვენიერ დღეს (თუ იმ ქაოსისა და განუკითხაობის უამის რომელიმე დღეს მშვენიერი შეიძლება ენოდოს) კულტურის სასახლის ფოიეში მორიგ მეცადინეობას ვატარებდი.

მექარე ქალი, რომელსაც უცნაური სახელი – მოკონა ერქვა, სიხარულით გვთანხმდებოდა ხოლმე პოზირებაზე. ისედაც მთელი დღე სკამზე იჯდა – ან მზეს ეფიცხებოდა ან ელექტროქურას. პატარასავით უხაროდა, თუკი ბავშვების ნამუშევარში თავის თავს ამოიცნობდა. ისეთი ტიპური სახე ჰქონდა, უკეთეს „ნატურას“ ვერც ვინატრებდით.

კულტურის სასახლის შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. როგორც წესი, აქ არავინ აკაკუნებდა, ისე შემოდიოდნენ ხოლმე. ჩემი ყურადღება სწორედ ამ კაკუნმა მიიპყრო, თორემ დღეში ქვეყნის ხალხი, საქმიანიც და უსაქმურიც, შეიძლებოდა გენახა აქ შემოსული.

სანამ შემოვიდოდა, ფეხსაცმლების ბრახუნი მოისმა: ქუჩაში

თოვლი აქა-იქ თუ იყო შემორჩენილი, მაგრამ მზე რო დააჭერდა, გაჩენილი გუბერნისტებისთვის გვერდის ავლა ჭირდა.

კარგა ხანს აბაკუნებდა ფეხებს. ლამის მოთმინება დამელია. მერე ფეხების ბაჟუნი შეწყდა და სანახევროდ პოლიციელის, სანახევროდ სამხედრო, გვარდიელის, ფორმაში გამოწყობილი კაცი შემოვიდა. ერთ ხელში ქუდი დაეჭირა, მეორე კი ისე მიეკრა ფერდზე, თითქოს სტკივა და განძრევის ეშინიაო. ცხადია, იმწუთშივე ვიცანი რამდენიმე დღის წინ დანიშნული უბნის ახალი ინსპექტორი. იმუამად, ფაქტობრივად, უმუშევარი ვიყავი, მაგრამ ქალაქის გამგეობის წევრად მაინც ვითვლებოდი. უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნისათვის გამგეობის თანხმობა მოუთხოვიათ. ამგვარ თანხმობას პოლიციის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისათვისაც კი არ თვლიდნენ საჭიროდ. ვერ მივხვდი, ამჯერად რატომ გახდა აუცილებელი. გავიკვირვე, მაგრამ დამაჯერებელი პასუხი ვერ მივიღე. არც ჩავძიებივარ. გავიგე მხოლოდ ის, რომ ეს ყმანვილი, რომელიც ყოველ შეკითხვაზე მხოლოდ მოკლედ – „დიახ, ბატონი!“ ან „არა, ბატონი!“ – პასუხობდა, ადრე მეზობელ რაიონში მსახურობდა, ამჯერად ჩვენთან გადმოჰყავდათ. მახსოვს, მაშინ ისიც ვერ გავიგე კარგად, თავისი სურვილით ხდებოდა ეს თუ ზემდგომთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჰოდა, ეს კაცი ახლა ისეთნაირად გვიახლოვდებოდა, თითქოს მწყერს ეპარება.

– გამარჯვობა! – ხმის ინტონაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მისალმება ყველას თანაბრად გვეკუთვნოდა. ისე კი, ყურებამდე განითლებული, მხოლოდ მე შემომყურებდა.

მოკრძალებასთან ერთად, უცნაური სიჯიუტეც შევატყვე. შერლოკას ამ თვისებას შემდეგშიც არაერთხელ გავუოცებივარ: ერთდროულად – საოცრად მოკრძალებული და მორიდებული იყო, თან ჯიუტად პირდაპირი და თამამი. მეჩვენებოდა, რომ ამ თვისების გამო სხვადასხვა ხასიათისა და კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობა უადვილდებოდა. ოლონდ ეგ იყო, რომ თვითონ – არ ვიცი, სამსახურის გამო, არ ვიცი, რატომ – ერთგვარ დისტანციას იჭერდა ყველასთან.

საპასუხო მისალმება ვერც მოვასწარი, უცებ ფეხებზე დაიხედა და, მიუხედავად ჩემი მოპატიუება-განმარტებისა, რომ მარმა-

რილოთი მოპირკეთებულ იატაკს სისველე ხუთი წუთის შემდეგ არც დაემჩნეოდა, უკან მიბრუნდა, გარეთ გავიდა და ფეხები ერთხელ კიდევ გაიძერტყ-გაიწმინდა. კართან დილიდანვე და-ფენილი ტილო უკვე ისე იყო წყლით გაჟღენთილი, რომ ჩვენი მოულოდნელი სტუმრის ამ პატიოსანმა მცდელობამ სუულ ტყუ-ილად ჩაიარა.

– მე ხატზე დავიფიცებ, არაფერი დამიშავება! თუ არ ვცდე-ბი, ეს ღრმად პატივცემული ამხანაგი, შენი სტუმარი უნდა იყოს!

– თვალი ჩავუკარი მოკონას. – თუმცა, ვეჭვობ, მთლად ხელის სათხოვნელად იყოს მოსული.

ამასობაში თავისი ფუჭი მცდელობის გამო კიდევ უფრო შე-წითლებული, მაგრამ, ამასთან ერთად, ლიმილით ყურებამდე პირჩახეული წესრიგის დამცველი ისევ მოგვიახლოვდა. ორივე ხელი კვლავ იმ პირვანდელ პოზაში ჰქონდა. ტანით ისე მოირ-წეოდა, რომ ამჯერად ასე გავიფიქრე: შემოსასვლელი კარიდან აქამდე მანძილს ნაბიჯებით ზომავს-მეთქი. ისიც შეგეძლო გე-ფიქრა, სველი ფეხები მიზეზი იყო, თორემ წელან თვლა აერია და სწორედ ამიტომ მიბრუნდა უკან.

– ჩვენს მოკონას, რა თქმა, უნდა იცნობთ! – მისალმების ნაცვლად შევაგებე.

მას კი უკვე მოესწრო ბავშვების ნამუშევრების შეთვალიე-რება:

– ვაა?!.. მოკონა კი არა, „ჯოკონდა“ ყოფილა ეგა! – სახეზე კიდევ უფრო მოეძალა სიწითლე, მაგრამ თვალები აშკარად ეშ-მაკურად უციმიტოებდა.

ყველას გავველიმა. იმ დღიდან ქალაქს მოკონას ნამდვილი სახელი გადაავინყდა: ყველა „ჯოკონდას“ ეძახდა. მისი პროტეს-ტი აინუნშიც არავის ჩაუგდია და მოკონაც ბედს შეურიგდა.

– რითი შეგვიძლია გემსახუროთ? – ვკითხე სტუმარს, თან ბავშვებს ხელით ვანიშნე, განაგრძეთ თქვენი საქმე-მეთქი.

– იცით, რა?.. – შეყოყმანდა. – ხელს არ შეგიშლით. გიყუ-რებთ ცოტა ხანს... თუ შეიძლება. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ხატვა. სახელგანთქმული მხატვარი რომ გამოვსულიყავი, იმაზე ვოცნებობდი. გამოვედი კი, აი! – ხელები გაშალა, მხრები აიჩე-ჩა და თავისი ფორმა შეათვალიერა. – მერე ერთი პატარა საქმე მაქვს თქვენთან... – სახეზე გაოცება შემატყო და სწრაფად და-

უმატა: – რჩევა მინდა ერთ საკითხზე... ჩემთვის მნიშვნელოვან  
საკითხზე!

გაოცება მაინც ვერ დავმალე:

– რჩევა?!.. ჩემგან?!

– დიახ, თუ შეიძლება, რა თქმა უნდა! – უცებ ტაბურეტზე  
მიმითოთა, – ამ ფანქარს და ქალალდს ავილებ, თუ შეიძლება...  
იქნებ მეც მოვეფერო ჩემს ბავშვობისდროინდელ ოცნებებს.

ამდენმა „თუ შეიძლებამ“ ღიმილი მომგვარა, მაგრამ ბოლო  
ფრაზა – იქნებ, მეც მოვეფერო ბავშვობისდროინდელ ოცნებებ-  
სო – მომეწონა და, რომ იტყვიან, სხვა თვალით, ყურადღებით  
შევხედე. რა რჩევა უნდოდა უბნის ინსპექტორს ჩემგან?! ხატვის  
გაკვეთილების ჩატარებას რომ არ მთხოვდა, ცხადი იყო....

უბნის ინსპექტორი დირექტორის კაბინეტში შევიპატიუე. აქ  
ხელს არავინ შეგვიშლიდა.

კაბინეტის კუთხეში მდგარი დაბალი, მომცრო მაგიდის ერთ  
მხარეს სავარძელში ჩავჯექი, მოპირდაპირე სავარძელი მას შევ-  
თავაზე და სმენად ვიქეცი. ვერაფრით მივხვდი, რაზე უნდა  
გვქონოდა საუბარი.

უბნის ინსპექტორი არ ჩქარობდა: ან დელვას იოკებდა, ან  
აზრის კარგად ჩამოყალიბებას ცდილობდა. თავისი ხელით შეს-  
რულებულ „ჯოკონდას“ სურათს უკვე მერამდენედ ხსნიდა და  
ისევ ახვევდა. ნახატმა აღტაცებაში მომიყვანაო, ვერ ვიტყვი,  
მაგრამ ამ ფორმიანი კაცისაგან ამდენს მაინც არ მოველოდი.  
ხატვის დაუხვენავი ნიჭი აშკარად ჰქონდა.

– მე, იცით ალბათ, ავთო მქვია, ავთანდილი! – ნაწყვეტ-  
ნაწყვეტ დაინტო, თითქოს ყოველ სიტყვას გემოს უსინჯავსო. სინითლე  
ისევ მოედო სახეზე, მაგრამ უმალ იმასაც მივხვდი,  
განითლდეს კი არა, გულიც რომ წაუვიდეს, რახან დაინტო, ანი  
სათქმელს ბოლომდე იტყოდა. – მაგრამ ყველანი „შერლოკას“  
მეძახიან. თუ გინდათ, თქვენც ასე დამიძახეთ!

– ეს კონან დოილის გმირის გამო? – შევეცადე „სიმსუბუქე“  
შემეტანა საუბარში.

– ოლონდ, არა წიგნის გამო! – ჩაიცინა. – წიგნს რომ კითხუ-  
ლობს, იმ ხალხთან მე საქმე არა მაქვს! შერლოკ ჰოლმსზე გადა-  
ღებული ფილმების გამო!

– ბატონო ავთო, რამდენი ხანია, ამ სისტემაში ხართ?

– მეხუთე წელია! კომკავშირის რაიკომიდან პარტრაიკომში ინსტრუქტორად გადამიყენეს, მერე – მილიციაში, პოლიტგან-ყოფილების უფროსად! როცა ეს განყოფილება გაუქმდა, უძნის ინსპექტორის ადგილი იყო თავისუფალი... მერე განყოფილების უფროსთან გარკვეული წინააღმდეგობა შემექმნა და აქეთ გად-მომამწესეს!

– აჲა, გასაგებია! მე რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

– სანამ სათქმელს გეტყოდეთ, ერთი თხოვნა მაქვს, თუ შე-იძლება?

– ბრძანეთ, ბატონო!

– შეიძლება, „თქვენობისა“ და „ბატონოს“ გარეშე მივმარ-თოთ ერთმანეთს? თუ ამაზე ვერ შევთანხმდით, მერე ჩემს სათ-ქმელს აზრი არა აქვს!

– კი, ბატონო! – ახლა უკვე გულწრფელად გამეღიმა. – ბო-დიში, ჩემო ავთო... ჩემო შერლოკ!

– მე ვიცი, რომ თქვენ... დედაც ცოცხალი... გყავს და მა-მაც. ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოთ ორივენი! – როგორც ჩანს, შერლოკა უცბად ვერ შეეწყო „შენობით“ ლაპარაქს. ჯიბიდან სი-გარეტი ამოიღო და ხელით მანიშნა, მოწევა შეიძლებაო? თავი დავუქნიე. სანთებელა ააჩხაკუნა, მაგრამ ვერ მოუკიდა. ასანთის კოლოფი მაგიდის თავში იდო. საფერფლესთან ერთად მივუჩი-ჩე. მესამე ცდაზე გააბოლა. რამდენიმე ღრმა ნაფაზი დააარტყა და განაგრძო: – ნუ მიწყენ და, შეიძლება, კარგად ვერ გამიგო, რასაც ახლა ვიტყვი. – მარცხნა ხელით საფერფლე აიღო. სა-ჭირო იყო თუ არა, სიგარეტს კიდეზე უსვამდა, აწვალებდა, თან თვალს არ აცილებდა. ისე გამოდიოდა, მე კი არა, საფერფლეს ელაპარაკებოდა და უყვებოდა ამ ამბავს. – მამა, სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ბევრს გარდაცვლია, მაგრამ სულ სხვაა მაშინ, როცა, ეს-ეს არის, ცხოვრებაში პირველი დამოუკიდებელი ნა-ბიჯი რომ უნდა გადადგა. აი, მაგალითად, საშუალო სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას. გთხოვ, კარგად გამიგო, – ამ ხნის განმავლობაში პირველად შემომხედა. – მატე-რიალური მდგომარეობა არა მაქვს მხედველობაში! როცა მამას სულ პატარა ასაკში კარგავ, თანდათან რაღაც „ობლობის ცხოვ-რებისულ გამოცდილებას“ იძენ და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გამოხვალ: უბრალო მუშა, ხელოსანი, ბანდიტი, ქურდი, მეცნიერ

-მუშავი, სახელმწიფო მოღვაწე, ამ ცხოვრებისეულ პერიპეტიებს – იმას, რაც უნდა მოხდეს – შინაგანად მომზადებული, თითქოს იმუნიტეტგამომუშავებული ხვდები. გამიგე? ამის მიხედვით ზომავ და აგებ შენს ურთიერთობას „გარე სამყაროსთან“. აქ, შენში... – შერლოკამ ხელი გულ-მკერდისა და მუცლის არეში რამდენჯერმე აისვ-დაისვა. – დისკომფორტს არ გრძნობ! სულ სხვაა, როცა დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებ და ამ მომენტში გარდაგეცვლება მამა. ასეთ დროს გიკვდება არ მხოლოდ მშობელი, არამედ ყველაზე და ყველაფერზე ათასჯერ უფრო საიმედო ცხოვრებისეული გამოცდილება და ცხოვრებასთან რჩები პირისპირ, იმუნიტეტგამოუმუშავებელიც! ამ დანაკლისს ვერაფერი და ვერავინ აგინაზღაურებს!.. მე უკვე ვთქვი, მატერიალური რამ არ მაქვს მხედველობაში. რა თქმა უნდა, არც იმის მტკიცებას დავიწყებ, მასაც არა აქვს არანაირი მნიშვნელობა-მეთქი, მაგრამ მატერიალური, მითუმეტეს – ფული, მართლაც არაფერია იმ შინაგან გათიშულობასთან, გაორებასთან შედარებით, რასაც აუცილებლად შეეჯახები შუბლით, თუ ამ შუბლს მიღმა ოდნავ მაინც კაცურად მოაზროვნე ტვინი გიდევს. რა გაორებაზე გელაპარაკები?.. სათქმელად მარტივ რამეზე: იმაზე, რასაც გასწავლიდნენ და სწავლობდი, რასაც წიგნებში კითხულობდი და სწორი გეგონა, და, მეორე მხრივ, იმაზე, რაც მერე ცხოვრებაში წინ დაგხვდება...

შერლოკა მეორე სიგარეტს უკიდებს. ხელები ოდნავ უკანკალებს. რამდენიმე ღრმა ნაფაზს არტყამს, თან – მთელი საუბრის განმავლობაში მეორედ – შემომყურებს. ამჯერად მისი მოუსვენარი თვალები რაღაცნაირად გამომცდელად მომჩერებია. ვხვდები: შერლოკა ჩემს სახეზე ცდილობს, ამოიკითხოს, რა გავლენას ახდენს მისი ნამბობი.

ის, რასაც შერლოკა მიყვებოდა, ჩემთვის სულაც არ იყო უცხო და გაუგებარი. არც ის მაოცებდა, შერლოკა ასეთ რამეზე რომ ლაპარაკობდა. ის მიკვირდა, ამას მაიცდამაინც მე რომ მიყვებოდა. უნებლიერ ისიც კი ვიფიქრე, ცოტა ნასვამი ხო არ არის-მეთქი.

– შეიძლება, კაცმა იფიქროს, მთვრალია და ღვინო ალაპარაკებსო, არა? – თქვა მოულოდნელად შერლოკამ და, ვითომ შუბლზე თმას ისწორებსო, ხელისგულით ოფლი მოიწმინდა.

ჩემდა უნებურად ამჯერად მე გავწითლდი და, ეს რომ და-  
მემალა, მარცხენა ხელი ისეთნაირად ამოვიდე ლოყაზე, უფრო  
სწორად, ავითარე, თითქოს ხაზს ვუსვამდი ჩემს მაქსიმალურ და  
დაძაბულ ყურადღებას.

– ძალიან კარგად მესმის ყველაფერი! – ვთქვი და, იმის და-  
სამტკიცებლად, რომ მართლაც მესმოდა მისი, ასეთი რამ ვკითხე:  
– ავთო... – აქ იმიტომ შევყოყმანდი, რომ უნებურად დავფიქრ-  
დი, „თქვენ“ მეთქვა თუ „შენ“. – ავთო, შენ და-ძმა გყავს?

შერლოკამ თავი ასწია და, შეიძლება ითქვას, ამჯერად ერთ-  
გვარი თავდაჯერებითაც კი, შემომხედა:

– მე გეთანხმები იმაში, რომ მარტოობაში გაზრდილ კაცს  
მეტი დრო რჩება ფიქრისთვის და განსჯისთვის. ამდენად, მი-  
სი გონებაც და გრძნობაც უფრო გამახვილებული და ფაქიზია.  
მაგრამ, გახსოვს: „შენ წარმოიდგინე მაიკო, სიმწარე იმ კაცის  
მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, ბებიაც, მრა-  
ვალი მონათესავენი და მაინც ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ  
ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“

გამეცინა და მხოლოდ ისლა მოვახერხე, ხელები გავშალე.  
თუმცა, ჩემი ღიმილიცა და უესტიც სხვა მხრივაც შეგეძლო  
აგეხსნა – ამ შერეულფორმიანი სტუმრისაგან ბარათაშვილის  
ციტირებას, გულწრფელად ვიტყვი, არ მოველოდი.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, – განაგრძო თავისი მონოლოგი შერ-  
ლოკამ. – ვინც უნდა იყოს, ყველა იმის მიხედვით გვაფასებს,  
რამდენად შეიძლება დავჭირდეთ!

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ცნობისმოყვარეობა, რომელიც უბ-  
ნის ინსპექტორის მოულოდნელმა სტუმრობამ აღმიძრა და ამ  
შესავალ-მონოლოგმა კიდევ უფრო გამიმძაფრა, ამჯერად უკვე  
რაღაც შინაგან ლელვაში გადამეზარდა. სიგარეტი უნივერსიტე-  
ტის დამთავრების შემდეგ არ მომიწევია, მაგრამ ახლა ისე მო-  
მინდა, რომ მაგიდაზე დაგდებული „პრიმა“ დაუკითხავად ავიღე  
და მოვუკიდე.

პირველივე ნაფაზმა თავბრუ დამახვია. ჩემ წინ მჯდარი კა-  
ცი თითქოს მუქნაცრისფერ ნისლში გაეხვია. ვინ არის ეს კა-  
ცი?! საოცრად წაცნობია ყველაფერი, რასაც მიყვება. თითქოს  
სავალდებულო პროგრამასავით მაქვს ოდესლაც ყველაფერი ეს  
გავლილი.

მოულოდნელმა აღელვებამ სწრაფადვე გამიარა და პირში სიგარეტის მწკლარტე გემო ვიგრძენი. ნიკოტინისგან ლამის გული მერეოდა. გადავინიე და სიგარეტის დარჩენილი ლერო საფერფლეში ჩავსრისე.

— ავთო! — ამ კაცს ხან „ავთოს“ ვეძახდი, ხან „შერლოკას“. — ეს ყველაფერი მესმის, მაგრამ, სხვანაირად არ გამიგო და... — აქ შევეცადე, რაც შეიძლებოდა, გულწრფელობას მიმსგავსებული ლიმილი დამჩენოდა სახეზე. — შენ ახლა აქ მარტო მონოლოგის წარმოსათქმელად არ მოხვიდოდი...

— აასეეა! — განელვით თქვა და სახე კიდევ უფრო წამოუჭარხლდა. — არ ვიცი, როგორ გითხრა... დიდხანს ვფიქრობდი, ვისთან მივსულიყავი. ერთ დღესაც, ჩემდა გასაოცრად, უცბად ვიგრძენი, რომ გულზე მომეშვა. რაღაცნაირი შვება ვიგრძენი. ჰოდა... მერე... არც მიყოყმანია! არის კიდევ სუფთა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე ფაქტორები, მაგრამ ისინი, ასე ვთქვათ, დამხმარე ხასიათისანი არიან, დამაჯერებელია?

„სუფთა პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე ფაქტორებში“ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან ჩემს კავშირებს გულისხმობდა. ეს კავშირები არასოდეს გამომიყენებია პირადი ინტერესებისათვის. უბრალოდ, არც მე ვიკადრებდი და არც მათ ვაკადრებდი. მაგრამ, თუ ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა, მაშინ, საღი ლოგიკიდან გამომდინარე, ვალდებულიც კი ვიყავი. ტყუილს ვერ ვიკადრებ და გულწრფელად ვიტყვი: ათასგვარი ცხოვრებისეული უმსგავსობის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს კავშირები — მიუხედავად იმისა, რომ მათ, უკიდურესი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, არ ვიყენებდი და იყო ისეთი შემთხვევები, როცა გულიც კი გამტეხია — მაინც გარკვეულ ფსიქოლოგიურ რწმენას, თავდაჯერებას მმატებდა. თვითონ შერლოკას რომ არ მიენიშნებინა ამაზე, ალბათ, ამ მხრივ ეჭვი გამიჩნდებოდა, მაგრამ, ღმერთმანი, ეს ბავშვივით ლოგებანითლებული და შუბლდანამული ბიჭი ალალი და გულწრფელი ჩანდა!

გადავიხარე, ხელი ჩამოვართვი და კვლავ ვიგრძენი, რომ უცნაურად, ლამის გამაღიზიანებლად, ვლელავდი: შერლოკას გამოწვევას თუ წინადადებას (როგორც გინდა დაარქვი) ვლებულობდი!

ამბავი, რასაც იგი ხელის ჩამორთმევის შემდეგ მომიყვა, შე-იძლება ითქვას, ჩემთვის არ გახლდათ ახალი. ამის შესახებ, საკ-მაო ხანი იყო, რაც ქალაქში ხმები დადიოდა. ოღონდ, ის, რაც მე ჭორისა და ვარაუდის დონეზე ვიცოდი, შერლოკა მზად იყო, ფაქტებით დაედასტურებინა. საქმე ეხებოდა დანაშაულთა სე-რიას, რომელიც ამ ბოლო ხანს მოუშორებელი სენივით მოედო ჩვენს ქალაქს: საწარმოებიდან იპარავდნენ ყველაფერს, რისი წალებაც შეიძლებოდა, ოჯახებიდან – იმპორტულ რადიო-აპა-რატურას, ტელევიზორებს, ოქროულობას, ფულს... შედარებით ახალ, განსაკუთრებით – უცხოურ, მანქანებს ქუჩაში წამითაც ვერ დატოვებდი უყურადღებოდ. ეს ამბავი კარგად აწყობილი ბიზნესივით ჩანდა: ვიღაც იპარავდა, ვიღაც იბარებდა, ვიღაც სადღაც ყიდდა. ყოველი ასეთი შემთხვევა თუ შემთხვევის ად-გილის დათვალიერება გაფიქრებინებდა კაცს, რომ ქურდები მა-ინცდამაინც კვალის დაფარვაზე არ იწუხებდნენ თავს. თითქოს, ვიღაც აზარტული მოთამაშე მთელ ქალაქს აშკარად და ცინიკუ-რად იწვევდა. ქალაქს ჭორები მოედო. მოარული ხმები ამ ამბებს თვით მილიციის პასუხისმგებელ მუშაკებს და, რაც განსაკუთ-რებით საგანგაშო იყო, საქმაოდ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა გვარებს უკავშირებდა. სწორედ ამიტომ ვერ ვიტყვი, შერლოკას ნაამბობი ჩემთვის მოულოდნელობა იყო, მაგრამ მა-ინც ამ ამბავმა უკიდურესად გამაღიზიანა და ნერვები მომიშალა.

შერლოკას ნასვლის შემდეგ კიდევ დიდხანს ვიჯექი კულტუ-რის სასახლის დირექტორის კაბინეტში და ჩვენს ქალაქზე, უფ-რო სწორად, იმ ამბებზე ვფიქრობდი, უბნის რწმუნებული რომ მომიყვა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საშინელება იყო. ადა-მიანთა მიერ თავიანთი მოვალეობისადმი ღალატისა და ზნეობ-რივად დაცემის უფრო უარესი მაგალითი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე სხვა რამეზე ვფიქრობდი: „ყოჩალ, შერლოკ! მონო-ლოგიც კარგი წაიკითხა და სულ უახლოეს ხანს, თუ საერთოდ არ მოიშორეს სისტემიდან, ქალაქის განყოფილების უფროსის თანამდებობასაც კი, შეიძლება, გამოჰკრას ხელი!“

ქუჩაში რომ გამოვედი, რაღაც ბედისწერასავით ისევ შერლო-კა მომხვდა თვალში. სასურსათო მაღაზიის წინ სპორტკულუბის თავმჯდომარეს, პარმენ ჯინორიას ელაპარაკებოდა – რამდენიმე დღის წინ სპორტკულუბიდან ვიდეომაგნიტოფონი და ტელევიზო-

რი მოიპარეს, და, ალბათ, იმაზე.

უცპად შერლოკამ მაღაზიის კიბეზე ჩამომავალი მოხუცი ქალი შეამჩნა. მყისვე მივიდა, ხელჩანთა ჩამოართვა და ჩამოსვლაში მიეშველა, შემდეგ ისევ გააგრძელა პარმენთან საუბარი.

ჩემდა ჭირად, ამან უფრო გამალიზიანა და, სწორედ მაშინ იყო, რომ გავიფიქრე, რაც წინასწარმეტყველებასავით ახდა მერე და რამაც კინაღამ მეც მიმაღებინა ინფარქტი. სწორედ რომ, ინფარქტზე გავიფიქრე: „შენ თუ მართლაც თეთრი ყვავი ხარ და ეგ ფერი ხელოვნური არ არის, კაი თანამდებობა არ ვიცი, მაგრამ კაი ინფარქტს რომ დაირტყამ, უუუეჭვეელია!“

• • •

**როცა** გავიგე, შერლოკა ცუდად გახდა და კაბინეტში ერთმანეთზე მიდგმულ სკამებზე წევსო, რამდენიმე წამით თითქოს სუნთქვა შემეკრა და გული გამიჩერდა: იმწუთშივე ჩვენი პირველი შეხვედრა და, რაღაც ოხრად, ინფარქტი რომ დავუსვი დიაგნოზად, ეს გამახსენდა. არადა, ვიღაცის მანქანით ჩემთან სახლში მოვარდნილი პაატა შელეგია მაჩქარებდა:

—ჩქარა წამოდი, თორემ ექიმებს ახლოს არ იკარებს: ჯერ გურამი მომიყვანეთო!

— რატომ?! — ვიკითხე გაოცებულმა.

— ასე ამბობს: სანამ გურამი არ მოვა, ახლოს არავის მივიკარებო! სასწრაფოდ ექიმი მოვიყვანეთ, კარდიოგრამის გადამლებიც! კარიდორში იცდიან!

კულტურის სასახლეში ჩვენი შეხვედრიდან დაახლოებით ერთი წელი იქნებოდა გასული. ამ ხნის მანძილზე, რამდენადაც შემეძლო, უფრო სწორად, რამდენადაც შესაძლებელი იყო ამ არეულ დროში, მხარში ვედექი. მართალი რომ ვთქვა, ჯერჯერობით ჩემი „დახმარება“ შერლოკას პრობლემების მოსმენასა და თანაგრძნობაში გამოიხატებოდა. როგორც ჩანს, ამასაც ჰქონდა თავისი ეფექტი, რადგან, კვირა ისე არ გავიდოდა, ერთი ორჯერ მაინც არ მწვერდა კულტურის სასახლეში და, სანამ ბავშვები ხატავდნენ, თავისი სამსახურებრივი სააქმეების გარდა, ათას რამეზე კიდევ არ გველაყბა. ჰოდა, ამ საუბარ-საუბარში და ლაყბობა-ლაყბობაში შერლოკამ რამდენიმე სერიოზული, გახმაურებული საქმე გახსნა და ქალაქში პრინციპული მუშაკის სახე-

ლი დაიმკვიდრა. უკვე ლაპარაკობდნენ პოლიციის განყოფილების უფროსად მის დანიშვნაზე. განსაკუთრებით, ჩვენი ქალაქის მერი იყო ამით დაინტერესებული. ეს ადგილი თითქმის ნახევარ წელზე მეტი ვაკანტური დარჩა. ჩემდა გასაკვირად, ვერც მერის ოფიციალურმა მცდელობამ, ვერც ჩემმა არაოფიციალურმა მონდომებამ სასურველი შედეგი ვერ გამოილო. გასაოცარი უფრო ის იყო, რომ ამ საქმის გაჭიანურების მიზეზი ვერ დავადგინეთ. იძულებული გავხდით, პრესაც ჩაგვერთო, მაგრამ, ფაქტობრივად, უშედეგოდ: უარს არც არავინ ამბობდა, მაგრამ არც საკითხს გვინყვეტდა ვინმე.

ამ განამანიამ და ადგილობრივი „უულიკების“ (როგორც შერლოკა იტყოდა ხოლმე) წინააღმდეგ ბრძოლამ, ბუნებრივია, დაგვაახლოვა ერთმანეთთან, მაგრამ ამისთვის, ცხადია, არასოდეს მიმინიჭებია რამე გამორჩეული ან იმაზე მეტი მნიშვნელობა, რა დამოკიდებულებაც შეიძლებოდა ყოფილიყო ამ გაფუჭებულ და არეულ დროს ორ წესიერ, თუ გნებავთ, შედარებით წესიერ (ყველაფერი ხომ შედარებითია), ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს შორის. ამიტომ შერლოკას ამ მოულოდნელმა ახირებამ, ჯერ ერთი, გამაოცა და, მეორეც, სინდისის ქენჯნის მაგვარი რამ მაგრძნობინა. თან, ამავე დროს, პაატა შელეგიას თვალებში ჩაბუდებული მოუთმენელი მოლოდინი და შიში ამ განცდას სულ უფრო და უფრო მიმძაფრებდა. მაშინაც, როცა აჩქარებული ვიცვლიდი ტანსაცმელს, და მანქანაშიც, სანამ მილიციის განყოფილებამდე მივაღწევდით, ამ მოულოდნელად დაუფლებულ განცდაზე ვფიქრობდი: ვთვლიდი კი თავს მე შერლოკას ასეთ საიმედო მეგობრად?! ამაზე ადრე არასოდეს მიფიქრია.

ამის გაცნობიერებისას ისიც ვიგრძენი, რომ შინაგანი წონასწორობა დავკარგე და სანამ მანქანა მილიციის წინ გაჩერდებოდა, იმის გაფიქრებაც კი მოვასწარი, რაღაც კალაპოტიდან ამოვგარდი-მეთქი.

შენობის წინ მილიციელებთან ერთად მიმდებარე კორპუსების მცხოვრებთაც საკმაოდ მოეყარათ თავი. მათ შიშით მოვავლე მზერა და, თითქოს ვიღაცამ მიკარნახაო, მივხვდი: შერლოკა არამც არამც არ უნდა მომკვდარიყო! მისი გადარჩენა ახლა მარტო მისი გადარჩენა არ იყო. რაც უნდა დამჯდომოდა, შერლოკას უნდა ეცოცხლა!

და მივხვდი იმასაც, რომ ყოველივე ეს, უპირველე ყოვლისა, არა ექიმის, არა ვინმე სხვის, არამედ სწორედ ჩემს თვალებში უნდა ამოეკითხა! თან: ჩემს თვალებში უნდა ამოეკითხა არა მარტო შერლოკას, ყველას – ირგვლივ მყოფებსაც, და, რაც უნდა უცნაურად ჩანდეს ეს, თვით ექიმსაც კი!

შერლოკა თავის კაბინეტში ერთმანეთს მიდგმულ სკამებზე იწვა.

ექიმიცა და კარდიოგრაფიც აქ იყვნენ.

შერლოკამ თვალები გაახილა და ისე, რომ სახეზე ნაკვთიც არ შეტოკებია, სუსტი ხმით დაიჩურჩულა:

– გურამ, არ მომკლა, ბიჭო!

– ნუ გეშინა, შერლოკ! – ვთქვი, რამდენადაც შემეძლო, მხნედ. – ისეთი ექიმი მოგიყვანე, თხუთმეტ წუთში ფეხზე დაგაყენებს!

რა თქმა უნდა, ექიმი მე არ მომიყვანია, მაგრამ სიტყვა „მოგიყვანე“, ჩემდაუნებურად, განსაკუთრებული ხაზგასმით და გამოკვეთილად ვთქვი.

ექიმმა შერლოკას ინფარქტის დიაგნოზი დაუსვა და საკაცით საავადმყოფოში გადავიყვანეთ.

სამი დღის განმავლობაში საავადმყოფოდან ფეხი არ მომიკვლია (მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოს მთავარი ექიმი და განყოფილების გამგე მარწმუნებდნენ, ავადმყოფს ისედაც არაფერს მოვაკლებთ და შენს აქ ყოფნას აზრი არა აქვსო). არ ვიცი, რატომ და, შერლოკას ნინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. შეიძლება, გაცნობის დღეს რაღაც რომ გავიფიქრე, იმას არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც შერლოკას ინფარქტთან და არც ჩემს ამ მოჟამულ განწყობილებასთან, მაგრამ იმას კი აქვს მნიშვნელობა, რის გამოც თუ რატომაც გავიფიქრე ის მაშინ. ეს იყო და ეს, ამას იქით ჩემი ტვინი ვერ აზროვნებდა: ლამე ნათევი და გადალლილი ვიყავი.

მეოთხე დღეს შერლოკამ მოიხედა. კიდევ ერთი დღის შემდეგ ხუმრობაზე ხუმრობით მპასუხობდა, სახე გამოუცოცხლდა და, რომ არა ექიმის კატეგორიული აკრძალვა, მზად იყო, ნამომდგარიყო კიდეც.

– არ გაშინებ, – უთხრა ექიმმა მედიკო არნანიამ. უაღრესად საშიში პერიოდი განვლილია. არავითარი საფრთხე შენს სი-

ცოცხლეს არ ემუქრება, მაგრამ... – თითო, როგორც ბავშვს, ისე დაუქნია და ხაზგასმით გააფრთხილა: – სანამ არ გეტყვი, მანამდე წამოდგომა, ერთი წამითაც კი, თვითმკვლელობის ტოლ-ფასი იქნება! ასე რომ, თქვენი სიცოცხლე მარტო ჩემზე კი არა, თქვენზეცაა დამოკიდებული!

ერთ საღამოს შერლოკას სანახავად რომ მივედი, მეკარე მარიამ დამტვრეული ქართულით მითხრა: “ტკუილად მიდიხარ, ექიმმა ტკვა: შერლოკა შეშვება არაო!”

სანამ შერლოკას პალატას მივადგებოდი, სამორიგეოში შევიხდე. მორიგე ექთანი წამლებს ლანგარზე ალაგებდა: საღამოს შემოვლისათვის ემზადებოდა. მეკარის ნათქვამის გამო ვკითხე.

– ეს თქვენ არ გეხებათ! – გაიცინა. – მნახველები ბატონ ავ-თანდილს ათას უბედურებაზე უყვებიან ხოლმე: ვინ გარდაიცვალა, ვინ დაიჭირეს, სად რა გაქურდეს... პოდა, ექიმმა უახლოესი ნათესავების გარდა ყველას შეშვება აგვიკრძალა. ახლა ბატონ ავთანდილს, პირიქით, სასიამოვნო ამბებზე უნდა ელაპარაკონ. ზოგიერთს ეს არ ესმის!

შერლოკასთვის პატარა, ხელით სატარებელი ტელევიზორი დაედგათ.

– რად გინდა! – გააპროტესტა ჩემთან შერლოკამ. – „მოამბეს“ არ მაყურებინებენ. მხოლოდ მუსიკალური და გასართობი პროგრამის დროს ჩამირთავენ!

– მოესწრები, შვილო, ყველაფერს! – მიესიყვარულა დედა-მისი და მე სკამი გადმომიდგა. – ბატონო გურამ, ამხელა კაცს ჭეუა რომ არ ჰქონდეს, შეიძლება?!?

მხრები ავიჩეჩე და, თუმცა ეს საყვედური საოცრად თბილი ხმით ითქვა, მაინც სიტუაციის „გასანეიტრალებლად“ შევემზადე.

– ერთი ორჯერ ადგომა დააპირა!  
– რა?!!.. ეს როგორ შეიძლება?! – მართლაც შევწუხდი.  
– რა მოხდა მერე?! – ბავშვივით ჩაიბურტყუნა შერლოკამ. – დიდი ამბავი: ორ ნაბიჯზეა ტუალეტი...

– რას ლაპარაკობთ, ბატონო ავთო! ძალით გინდათ მოიკლათ თავი?! თქვენი წამოჯდომაც კი არ შეიძლება! – მეაცრად უთხრა შემოსწრებულმა მორიგე ექთანმა და შპრიცი მოამზადა.

– დედაშენის როგორ უნდა გერიდებოდეს, შვილო?! მაგრამ,

ცოლი რომ დროულად მოგეყვანა, იმისი ხომ არ მოგერიდებოდა? – სიყვარული და საყვედური ერთმანეთში აურია ქალბატონმა მარგომ.

– სამაგიეროდ, საავადმყოფოდან არ წავალთ უცოლოდ! – შევეცადე დედის ეს მცირედი საყვედურიც „შემემსუბუქებინა“. შერლოკას თვალი ჩავუკარი და მორიგე ექთანს მუშტრის თვალით შევხედე: – გასათხოვარი ლამაზი გოგოების მეტი რა არის აქ!

– ვინც ყველაზე მტკივნეულად გამიკეთებს ნემსს, მაგი უნდა გავიტაცო! – ამყვა შერლოკა.

მორიგე ექთანმა გადაიკისკისა და, სანამ გავიდოდა, თავი ისეთნაირად დაუქნია შერლოკას, თითქოს ამბობდა, მე შენ გიჩვენებ სეირსო.

იმ დღეს სახლში კმაყოფილი წავედი. შერლოკას აშკარად ემ-ჩინეოდა, რომ მომჯობინდა. თავისუფლად ლაპარაკობდა, ხუმრობდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩიო, მთხოვდა, მაგრამ, არ გადავლო-მეთქი და საქმე მოვიმიზებები. უბედურების მომასწავებელი არანაირი ნიშანი არ ჩანდა. ამიტომ მეორე დილით სახლიდან გვიან გამოვედი. გადაწყვეტილი მქონდა, შერლოკა მხოლოდ ნაშუადლევს ან საღამოს, წრის მეცადინეობის შემდეგ, მომენახულებინა.

მოკონა, როგორც ყოველთვის, კულტურის სასახლის წინ დამხვდა: სკამზე იჯდა და მზეს ეფიცხებოდა.

– ბატონო გურამ, გაიგეთ? ხატვა რომ იცის ის მილიციონერი მომკვდარა!

მოკონას ნათქვამში, ბუნებრივია, ნამდვილად შეიმჩნეოდა გულისტკივილი, მაგრამ იმ წუთას, რატომღაც მომეჩვენა, რომ ისეთნაირად მითხრა, თითქოს (როგორც ჩვეოდა) ახალი ფილმის ჩამოტანის შესახებ ეცნობებინოს.

ჩემდა უნებურად, მკვახედ გავეპასუხე:

– ხომ არ გააფრინე, ქალო?! წუხელ ვინახულე: შესანიშნავად იყო!

– ეეჲ!.. – ამოიოხრა მოკონამ. – პატიოსანი და მოკრძალებული კაცის ამბავი არ იცი? დედამისს ჩასძინებია... ერთი წუთით წამართვა ძილმა თვალიო! – იკლავს თურმე თავს... ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი კი ტუალეტში გასულა... ტუალეტიდან გამოსული იქვე, კორიდორში წაქცეულა...

მოკონას ბოლო სიტყვები სადღაც შორიდან მომესმა. ბუნ-დოვნად ჩამესმა იმწუთას სალაროდან გამოსული მოლარე ქა-ლის ხმაც: „ცოლი რომ ყოლოდა, მაგ მართლაც უბედურს, ხომ არ მოერიდებოდა მისი და თავსაც არ დაიღუპავდა და დედამის-საც არ წაუმნარებდა სიბერეს!.. გურამსაც ეგ ბედი ელის, თუ დროზე არ მიხედავს თავს!“

მოლარის ხუმრობის ხასიათზე ნამდვილად არ ვიყავი.

მოკონას შეცბუნებულ სახეზე მივხვდი, რომ ფერი არ მედო. ახლა არ მკითხოს, ცუდად ხომ არა ხარო-მეთქი, სწრაფად შევ-ტრიალდი, კიბე ავირბინე და დირექტორის კაბინეტში უნებურად იმ სავარძელში ჩავეშვი, ი-ი-მ დღეს რომ ვიჯექი... მოპირდაპი-რე სავარძლის სიცარიელემ, პირდაპირ ჩემში გადმოინაცვლა და ზედ გულის კოვზთან დამაჯდა...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი აქ. ერთი კია, ჩემი და შერ-ლოკას პირველი შეხვედრიდან მოყოლებული ყოველი ეპიზოდი, ყოველი ნიუანსი გონებაში ათ-ათჯერ მაინც აღვიდგინე, გავა-ანალიზე, ავწონ-დავწონე, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, რატომ გამიჩნდა შერლოკას ავადმყოფობის გაგონებისთანავე რაღაც-ხაირი, გაუგებარი დანაშაულის მაგვარი განცდა? ან რატომ და-მეუფლა თვითკამაყოფილება, როცა გამომჯობინება შეეტყო? და ახლა ეგრე ძალუმად რატომ მქონდა სასტიკად ნაცემ-გალახული და დამარცხებული კაცის განწყობა?!..

ოთახიდან გასვლა არ მინდოდა. უფრო სწორად ახლა ვინმეს-თან შეხვედრა და საუბარი არ მსურდა. ვინატრე: ნეტავ, ისეთ ადგილს დამსვა, ერთი ორი დღე მარტო ვიყო, კაცის ჭაჭანება არ იყოს-მეთქი!

• • •

**აგტოპშეი** უკვე სავსე იყო დაკრძალვაზე ნამსვლელებით. ბევრს ფეხზე დგომა მოუწევდა... გადიდებული სურათიდან შერ-ლოკა კეთილი თვალებით გვიზეზერდა და ტკივილთან ერთად უცნაურ სითბოსაც ასხივებდა... და დანაშაულის მაგვარი გან-ცდაც, ჯერ შერლოკას ავადმყოფობის, შემდეგ მისი გარდაცვა-ლების გაგების პირველივე წუთებიდანვე ნერვებს რომ მიწენავ-და, თითქოს გამქრალიყო... ჰოდა, ოდნავადაც არ გამკვირვებია, როცა ავტობუსის მძლოლმა ჯერ საათს დახედა, მერე ავტობუ-

სის წინა კარებში ავიდა, სალონში მსხდომნი შეათვალიერა, მერე კიდევ ამ სიგრძე ავტობუსი გადმოჭრა და მაიცდამაინც მე, სულ ბოლო სავარძელში მჯდომს, მომიახლოვდა, მარცხენა მაჯა წინ წამოსწია და ხმადაბლა მკითხა: „ხომ არ წავიდეთ?“

რაღაც ახალი დავიჭირე ჩემში. უფრო სწორად, თითქოს რაღაც ახალს ჩავწვდი: წარსულსა და აწმყოზე, აწმყოსა და წარსულზე, უფრო ზუსტად – აწმყო წარსულზე და წარსულ აწმყოზე ვფიქრობდი. ისე გამოდიოდა, თითქოს შერლოკა აქვე იყო, აქვე, ჩვენ შორის – ამ ავტობუსში, ამ სავადმყოფოს ეზოს მოლიავებულ და ონდავ გვერდმოქცეულ კარებთან მდგარ ხალხშიც, აგერ ავტობუსის წინ შეჯგუფულ წამსვლელებშიც... შეიძლება მეთქვა: აი, ამ ქალაქშიც. ეს ცხადზე უცხადესი იყო ახლა, როცა ავტობუსი, ის-ის იყო, უნდა დაძრულიყო, როცა ამდენი ხალხი მოვიდა და როცა ფერადი, გადიდებული ფოტოდან შერლოკა – ო, რა ცოცხალი თვალებით – გვილიმოდა!

(თუმცა, ეს ლიმილი ამ წუთას, ამ ადგილიდან, ააამხელა ავტობუსის ამ უკანა სავარძლიდან არ ჩანდა – მას ახლა ფეხზე მდგარი მეონგარენი<sup>1</sup> ეფარებოდნენ).

ახლა მძღოლი ძრავას აამუშავებდა და მანქანა ადგილიდან დაიძვრებოდა...

• • •

**ჰოდა,** მძღოლმა აამუშავა ძრავა... ქალებს დაეკავებინათ ადგილები, ხოლო მამაკაცები, რომელნიც წინდაწინ იყვნენ შეგუებული ფეხზე დგომას და საავადმყოფოს ჭიშკართან ძეწნის თუ ავტობუსის ჩრდილში სიგარეტის წევით გაჰყავდათ დრო, სალონში შემოლაგდნენ.

• • •

**ჰოდა,** ის იყო, მძღოლს პირველიდან მეორეში უნდა გადაერთო, ალბათ, სიჩქარე, რომ ავტობუსის უკან ავტომანქანების ერთობლივი მარში გაისმა. მართალი რომ ვთქვა, ამ უცნაურმა დამთხვევამ უფრო გამაოცა, ვიდრე იმან, რაც ერთი-ორი წამის შემდეგ გავიგე. რამდენიმე მსუბუქმა ავტომანქანამ საყვირების გამაყრუებელი კაკაფონიითა და მეტისმეტად გადამეტებული

1 მეონგარები (მეგრ.) - დაკრძალვაზე წამსვლელნი

სიჩქარით გვერდი აუარა ავტობუსს და, რომ იტყვიან, თვალის დახამხამებაში მოსახვევს მიღმა მიიმაღა.

– ვა?!.. მუსიკალური სკოლის დირექტორის მოადგილე მარინა ქადარია გადაიყვანეს ახლა! – თქვა ვიღაცამ. – რა ვერ გაიგე კაცო?! გათხოვდა!

გაოცებას გაოცება დაემატა: ეს ნათქეამი არავის უარუყვია!

ცხოვრება, რა თქმა უნდა, სავსეა მოულოდნელობებით და ამჯერადაც რაღაცნაირი ტრაგიკულ-კომიკური სიტუაცია შეიქმნა: ისე გამოდიოდა, თ-ი-ი-თქოს მეგობრის დაკრძალვაზე მიმავალნი საზეიმო მარშით დავიძარით! და კიდევ... მარინა ქადარიას და მე ამ საზეიმო მარშამდე თ-ი-ი-თქოს ერთმანეთი გვიყვარდა!

რაღაც გაუცნობიერებელმა ტალღამ ზედ გულის კოვზთან გადამიარა და საფეთქლებს შორის – ხან, როგორც მეჩვენებოდა, რთულზე რთული, ხან კიდევ, როგორც ვფიქრობდი, უმარტივესი – კითხვა დამიტოვა: შერლოკას სიკვდილი და მარინას გათხოვება რა საოცრად ჰგავდა ერთმანეთს?! რა იდენტური რამ იყო?!..

• • •

**შუბალ** თვალწინ ჩემი და მარინას ბოლო შეხვედრა დამიდგა. ეს იყო სწორედ შერლოკას გარდაცვალების დღეს. როცა კულტურის სასახლიდან გამოვედი, მარინა შესასვლელთან ბაქანზე იდგა. იქვე იყვნენ სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები და, რამდენადაც ყველანი სამაისო საღამოსთვის ვემზადებოდით, ვიფიქრე, ბავშვები სარეპეტიციოდ აქ დაუპარებია-მეთქი. შერლოკას გარდაცვალების გამო გული გასკდომაზე მქონდა და ახლა არავისთან საუბრის ხასიათზე არ ვიყავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მარინა გამოხაკლისი იყო: ძალიან ახლობელი ადამიანის თანაგრძნობა ჩემთვის ახლა ერთგვარი შვებაც იქნებოდა. სამწუხაროდ, მომეჩვენა, რომ მეცადინეობაში ხელს შევუშლიდი, ამიტომ თითქმის არ შევჩერებულვარ ისე, მექანიკურად ვკითხე, „როგორ ხარ-მეთქი?“

მხოლოდ მაშინ, როცა ავტობუსში ვიღაცამ თქვა, მარინა ქადარია გათხოვდა, მივხვდი, რომ იმ დღეს მარინას კულტურის სასახლეში არავითარი მეცადინეობა არ ჰქონდა დანიშნული, ის ჩემთან შესახვედრად მოვიდა! მაგრამ რატომ არ მითხრა არა-

ფერი?! ამას ერთადერთი ახსნა მოვუძებნე: შესაძლოა, მწუხარებისაგან გაქვავებული ჩემი სიფათი თავისებურად ახსნა, რითაც ქალური თავმოყვარეობა შეელახა და, უბრალოდ, გამებუტა.

— ასეა, — დაასკვნა ვიღაცამ. — ზოგი ტირის, ზოგს ბედნიერების დღე უდგას!

ამ ნათქვამმა ისე გაცვეთილად და ბანალურად გაიყდერა, გული აგერეოდა კაცს. მაგრამ, როგორც გამოირკვა, მხოლოდ მე მომეჩვენა ასე. მთელი ავტობუსი კი, პირიქით, ამ თემაზე გადაერთო: ვინ იყო ის ბედნიერი, ვისაც ამისთანა გოგო მიჰყვებოდა? როდის და სად გაიცნეს ერთმანეთი? სადაური იყო სიძე? სად მუშაობდნენ მისი მშობლები, როგორი შეძლება ჰქონდათ? სად აპირებდნენ ახალდაქორწინებულები ცხოვრებას? ასე შემდეგ და ა-ა-ასე შე-ე-მდეგ!..

თუმცა, არა: მთელი ავტობუსი, რომ ვთქვა, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. ჩემ წინა სავარძელში მსხდომნი ისე მწარედ არჩევდნენ ევროპის თასების ნახევარფინალების შედეგებს, თითქოს დისციპლინარული კომისიის წევრები იყვნენ. ავტობუსის უკანა კართან მდგომნი კი რომელილაც ქეიფის გამო კამათობდნენ: მოიპარა თუ ბოლომდე დალია თამადამ ყველა ჭიქა... .

და საერთოდ, ავტობუსში ისეთი ღრიანცელი იდგა, გამიკვირდა, რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე-მეთქი?! არადა, შერლოკას დაკრძალვაზე მივდიოდით! შერლოკა ჩემი მეგობარი იყო. ცოტა არ იყოს, უცნაური მეგობარი. რაღაცნაირი ბავშვური უშუალობითა და თითქმის პედანტური აკურატულობით. ერთხელ იყო, შევადარე ჭაობიდან გამოსულ კაცს, რომელსაც წვეთი წუმპისა არ ეცხო ფეხსაცმელზე და, სწორედ, ამის გამო აღვიძრავდა ათასგვარ ეჭვს. ახლა შერლოკა აღარ იყო და, ცხადია, არც ეჭვები არსებობდა. შერლოკა მოკვდა (სამწუხაროდ – უაზროდ) და მოკვდნენ მასთან დაკავშირებული უაზრო ეჭვებიც. თუმცა, ეს ყველაფერი სულ ერთი იყო ამ ღრიანცელად ქცეული ავტობუსისათვის, რომელსაც სუ-უ-ულ ცო-ო-ტა ხნის წინ ისეთი მაჟორული მარშით აუარეს გვერდი, თითქოს ჩვენც მათი ამქრის წევრები ვყოფილვიყავით, და ამჯერად, უბრალოდ, წინ გაესწროთ.

„მაინც უნდა შემოეთვალა რამე!“ — გავიფიქრე და სწრაფად, თითქოს ვიღაცის მიერ მოქნეული მუშტი ავიცდინე (ვიღაცის, რომელიც ორეულივით მედგა აქვე, ცხვირწინ და მთელი ძალით

მაწვებოდა მკერდზე), გულში ვთქვი „ღმერთო, ბედნიერად ამ-  
ყოფე!“

ავტობუსში ღრიანცელისაგან ყურთასმენა არ იყო...

„კი მაგრამ, რა მოხდა ისეთი, რომ არაფერი მითხრა?!“

• • •

**მე** და მარინა ერთმანეთს საახალწლო საღამოზე გამოვუტყ-  
დით. ეს იმ დროს იყო, როცა საქართველოში თითქმის ყველა-  
ნი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ეიფორი-  
აში ვიმყოფებოდით: ზოგი – სიხარულის, ზოგიც – შიშის. ჩვენ  
ერთმანეთი გავიცანით ქალაქის გამგეობის სხდომაზე, სადაც,  
როგორც ჩვენ-ჩვენი დანერგულებების ხელმძღვანელებს, ოფი-  
ციალურად გვიწვევდნენ. მარინა მუსიკალური სასწავლებლის  
სასწავლო ნაწილის გამგე იყო. ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, და-  
ნახვისთანავე შემიყვარდა-მეთქი, მაგრამ ყურადღება ნამდვი-  
ლად მიიპყრო ტრადიციული ქართული იერითა და უკან კონტად  
გადაჭიმულ-გადავარცხნილი თმით, რაც ქალურ კლდემამისი-  
ლებას ანიჭებდა და პრინციპულის იერს აძლევდა. ეს შეხედუ-  
ლება კიდევ უფრო გამიმტკიცდა პირველსავე სხდომაზე, როცა  
ჯიუტად შეეკამათა გამგებლის მოადგილეს. ჩემს წინ იყო ნამდ-  
ვილი (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით), მკაცრი და ჭკვიანი სასწავ-  
ლო ნაწილის გამგე. ქალაქს ათასი პრობლემა აქვს და ხშირად  
ათასივე პრობლემის გადაწყვეტის იმდენივე გზა „არსებობდა“,  
რამდენი კაციც ამა თუ იმ სხდომას ან თათბირს ესწრებოდა  
ხოლმე. მარინას აზრები ხშირად ემთხვეოდა ჩემსას და ეს ცოტა  
უჩვეულო იყო, რადგან იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ ვისიმე  
გამოსვლა და ლაპარაკი მომწონებოდა. ფორმალიზმი და ყალბი  
პათეტიკა მოურჩენელი სენივით ჯერ კიდევ მოგვყვებოდა წარ-  
სულიდან. პათეტიკა მარინას გამოსვლებაც არ აკლდა, მაგრამ  
გულწრფელობის ფონზე ერთგვარად უხდებოდა კიდეც – სა-  
კითხს ისეთი კუთხით ამწვავებდა, რომ მოწინააღმდეგეს პირდა-  
პირ ნოკაუტში აგდებდა. ქალაქის საკრებულოს თუ გამგეობის  
სხდომებზე განსახილველ საკითხებზე ჩვენი აზრებისა და შეხე-  
დულებების ასეთი დამთხვევის გამო ზოგჯერ, როცა სიტყვით  
გამოვდიოდი და ვინმეს მხარდაჭერა დამჭირდებოდა, უნებურად  
მარინას მივაჩერდებოდი ხოლმე. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მა-

რინას არასოდეს ერთი რეპლიკითაც კი არ გამოუხატავს ჩემი მხარდაჭერა, თუ, რა თქმა უნდა, იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგჯერ, ამას რა კამათი სჭირდება, – თავისთვის ჩაილაპარაკებდა, პირს მოკუმავდა და გვერდზე მიბრუნდებოდა. და ეს მაშინ, როცა მარინა სხვას, თუ კი ვინმეს ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა, ისე აქტიურად და პრინციპულად ამოუდგებოდა გვერდში, რომ, ფაქტობრივად, თავად გაიტანდა საკითხს ბოლომდე. ჩემ მიმართ ასეთი დამოკიდებულება არა მარტო მაოცებდა, ერთგვარად მაღიზიანებდა კიდეც.

მისი ამგავარი საქციელის მიზეზს საახალწლო სალამოზე მივხვდი. მე, ცხადია, ჩემს თანამშრომლებთან ერთად ვიჯექი მაგიდასთან, მარინა და სამუსიკო სკოლის მასწავლებლები ჩვენგან ოდნავ მოშორებით ისხდნენ. როგორც შემდგომ გამოირკვა, ეს იყო თურმე ბოლო საზეიმო სალამო სამარცხვინო სამოქალაქო ომების წინ. საკმაოდ მხიარული განწყობა სუფევდა. სამუსიკო და საშუალო სკოლების მიერ სპეციალურად მომზადებულ ნომრებს შორის დარბაზი ხმაურობდა. სხვადასხვა მაგიდებთან მსხდომნი ჭიქის აწევითა და გადაძახილ-გადმოძახილით ულოცავდნენ ერთმანეთს დამდეგ ახალ წელს.

მარინას ერთხელაც არ გამოუხედავს ჩვენი სუფრისკენ.

გვერდზე გადავიხარე და ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელს ნინო არნანიას, სხვათაშორის, თან ხუმრობანარევი ხმით ვკითხე: „ნინო, თუ იცი, ეს შენი მეგობარი მარინა ხომ არ გვემდურის?“

– იცი რა, გურამ, – ისეთი თანაგრძნობის კილოთი მითხრა ნინომ, რომ გამელიმა. – ერთ რამეს გეტყვი, ოღონდ არ გეწყინოს. ხომ იცი, როგორც საკუთარ ძმას, ისე გცემ პატივს... ნუ იცინი! გახსოვს, ასეთ სალამოებზე სიმბოლურ ნეფე-დეფოფალს რომ ირჩევდნენ?.. ამ სალამოს, თუ კი ასეთი რამ აქვთ დაგეგმილი, მე უყოყმანოდ შენ და მარინას აგირჩევდით!

გაოცებით შევხედე.

– გურამ, ძმას გეფიცებით!.. – „თქვენობაზე“ გადავიდა ნინო და განითლდა. – გულწრფელად გეუბნებით ამას... დაფიქრდით ამაზე!

მარინას დავაკვირდი.

– იცი, ნინო? – მარინასთვის თვალი არ მომიშორებია, ისე ვთქვი: – შენს რჩევას დაფიქრება არ სჭირდება! შენ ძალიან, ძალიან,

-ა-ლ-ი-ა-ნ ჭკვიანი გოგო ხარ! ძალიანაც მიყვარხარ და სწორედ ამიტომ ძალითაც გაგათხოვე. კაცმა რომ თქვას, ისედაც გეკუთვნის სამაგიერო გადამიხადო!

– გურამ ყოველთვის ნუ ხუმრობ!

– თუ ვხუმრობ, ნახავ ახლავე!

წუთის წინ საღამოს წამყვანმა „საცეკვაო შესვენება“ გამოაცხადა. სწრაფად ავდექი, სამუსიკო სკოლის პედაგოგების მაგიდასთან მივედი და მარინა ქადარიას ხელი გავუწოდე:

– გთხოვთ!

– მე?! – მეტისმეტად ხაზგასმულად გაიოცა მარინამ და გულზე ხელი დაიდო. აშკარად დაეტყო, რომ აღელდა.

აღელვება მეც გადმომედონ და, ეს რომ დამეფარა, თავის დაკვრით ღიმილით ვუთხარი:

– დიახ, სწორედ რომ, თქვენ!

თვითონაც შეეცადა, განცდა დაემალა და ხაზგასმული სითამამით მიპასუხა:

– კი, ბატონო! – ეს პასუხი ასეც შეიძლებოდა გაგეგო: „თუ სხვა გზა არ არის?..“

მიუხედავად იმისა, რომ, საერთოდ, ორივენი კარგად ვცეკვავდით, ამჯერად – ისეთი მარტივი ცეკვა, „ნელი ტანგო“ რომაა, არ გამოგვივიდა. მუსიკას თითქოს სხვებისთვის უკრავდნენ. რამდენჯერმე რიტმიდან ამოვვარდით.

– ეგ იმიტომ, რომ ძალიან ვლელავ! – ვთქვი მე.

მარინამ შემომხედა და მიმიკით გაოცება გამოხატა. ზღვასავით უძირო სველ თვალებში მასაც საოცარი ღელვა ჩაბუდებოდა. ზღვა ნაპირებიდან გადმოდიოდა და პირველივე მოქცევაზე მიწას მომწყვიტა... რიტმიდან ისევ ამოვვარდი.

– ჩემ სიცოცხლეში ასე არასოდეს ავდელვებულვარ!... რადგან ისეთი რამ უნდა გითხრა, რასაც, შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩემი შემდგომი სიცოცხლისთვის!.. შესაძლოა, შენი შემდგომი სიცოცხლისთვისაც!

მღელვარე, უძირო ზღვა ისევ გადმოვიდა ნაპირებიდან. აზვირთებული ტალღა პირდაპირ სახეზე და მკერდზე შემომასკდა!.. თითქოს წავბარბაცდი: „რიტმი!“

– ოღონდ, ეგ არის... სიტყვები ვერ მომიძებნია!... ყველა სიტყვა რაღაც ბანალური და გაცვეთილი გამოდის... არადა,

ისეთნაირად მინდოდა მეთქვა, როგორც არასდროს არავის არა-ვისთვის უთქვამს!

— მაშინ არაფერი თქვა!

კინალამ წამომცდა, რატომ-მეთქი, მაგრამ იმწამსვე ზღვის ტალღამ მზის სხივი აირეკლა და თვალი მომჭრა.

— სიტყვები ყოველთვის არ არის მთავარი!.. გარდა ამისა, ვიცი, რაც უნდა მითხრა... — თქვა მარინამ და ზღვის შეეფი პირ-დაპირ სახეზე შემომასხურა.

„ოო?!”

სანამ რიტმს ავუწყვე ფეხი, ალბათ, რამდენიმე წამმა გაიარა. ღრმად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე და ვთქვი:

— შენ კი იცი, მე რა უნდა მეთქვა, მაგრამ... მაგრამ, იმედი მაქვს, არ ისარგებლებ ამ უპირატესობით: სამწუხაროდ, მე რომ არ ვიცი, შენ რას მიპასუხებდი?..

უცწრად ზღვა მიყუჩდა. მე კი არა, მუსიკაც შეჩერდა, მგონი, წამით და, რა თქმა უნდა, სწორედ ამიტომ იყო, რომ ისევ ამერია ფეხი. მერე ისევ ყალყზე შემდგარი ტალღებიდან ამოცვენილმა მარგალიტებმა აირეკლეს მზის სხივი და აბობოქებულ წყლის ხმაურში მომესმა:

— შენ ის კაცი არ ხარ, ისეთი რამ გეკითხა, რომლის პასუხ-შიც წინდაწინ დარწმუნებული არ იქნებოდი!

რა თბილი და სასურველია აგვისტოს ზღვა, არა?! მაგრამ იგი-ვეს განცდა თუ შეიძლებოდა შუა ზამთარში, არ მეგონა. უცბად საოცარმა, თითქმის დაუოკებელმა სურვილმა მომიარა, სცენა-ზე ავსულვიყავი, მიკროფონი ამეღო და ჩემი და მარინას ამბავი საქვეყნოდ გამომეცხადებინა. ესეც თავისებური, ორიგინალური რამ იქნებოდა. და ვიზამდი კიდეც, რომ სამუსიკო სკოლის მოს-წავლეებს არ შევეჩერებინე: ისინი, როგორც სამუსიკო ნომრე-ბის ძირითადი წამყვანები, დარბაზში ბლომად იყვნენ. ვიფიქრე, თუკი მარინასა და ჩემს ამბავს გამოვაცხადებდი, ამით მარინას ამ ბავშვების, მისი ალსაზრდელების, წინაშე უხერხულ დღეში ჩავაგდებდი. მერე, როცა ამ ამბავს ვაანალიზებდი, ვფიქრობდი: ასეთი აზრი, ალბათ, ჩემში ღრმად ჩამჯდარი ძველი სტერეოტი-პის გამო დამებადა. ბავშვობაში მასწავლებლის პიროვნებას ისე არ ვდებულობდი, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. ჩემი გონე-ბა მას რაღაც განსაკუთრებული შარავანდედით მოსავდა. ჩვეუ-

ლებრივი ყოფა-ცხოვრებითი მოვლენები მასწავლებლის დ-ი-ა-დ ცნებასთან შეუთავსებელი იყო.

უპირველეს ყოვლისა, მგონი, სწორედ ეს სტერეოტიპი გადამეღობა წინ იმ დღესაც, როცა კულტურის სასახლის შესასვლელთან მდგარი მარინა დავინახე: იქვე ახლოს მოსწავლეები იდგნენ. სწორედ ამ ბავშვების გამო არ მივედი ახლოს და არ დაველაპარაკე ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, შესაძლოა ბავშვებმა უკვე იცოდნენ. ამიტომ შევხვდი, არა როგორც საყვარელ და ძვირფას ქალს, არამედ როგორც „პატივცემულ“ მასწავლებელს. „პატ-მასწს!“

• • •

**ვერ** ვიტყვი, თთქოს ცხოვრების ერთ-ერთ მიზნად ქალთა გულების მონადირება მიმაჩნდა. ამისთვის მე, კაცმა რომ თქვას, არც შესაფერისი ტალანტი მქონდა: არც გიტარაზე ვუკრავდი, არც მაიცდამანც კარგი მოსაუბრე ვიყავი, ანეკდოტებიც მოსმენისთანავე მავიწყდებოდა. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ჩემი, შეიძლება ითქვას, პირქუში ხასიათი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რატომძაც ქალებს იზიდავდა. ეს გაკვირვება დროთა განმავლობაში ერთგვარ თვითრწმენასა და ირონიაში გადამეზარდა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ იყო, ალბათ, რომ, როცა მარინა ქადარიას გამოვუტყვი, მე ის მყის ყველა ნაცნობ-უცნობი ქალისგან გამოვყავი და ცალკე ოლიმპზე დავაყენე. შესაძლოა, ასეთ გამორჩეულობას და განსაკუთრებულობას თავისი საქმიანობით, განათლებით, ხასიათით, სილამაზით (ერთად აღებული) მართლაც იმსახურებდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდი. ჩემდა სამწუხაროდ, მიუხედავად ყველაფრისა და ყველაფრისა, რითაც პატივს ვცემდი, ჩემს შეგნებაში ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ, პირველ რიგში, ისიც ბუნების ჩვეულებრივი შვილი, ჩვეულებრივი ქალი შეიძლება ყოფილიყო. მის შესახებ ამგვარი აზრი, როგორც ჩანს, გონებაში ურყევად მქონდა გამჯდარი და, რა თქმა უნდა, ამის გამო იყო, რომ, როცა ერთხელ შენუხებულმა ნინომ დამირეკა: გაიგე, მარინა მოუტაციათო, – ინსტინქტურად დაუფლებულმა შეშფოთებამ იმწამსვე გამიარა და ნინოს მშვიდად ვუთხარი: „დამშვიდდი, მარინას მოტაცება შეუძლებელია. უბრა-

ლოდ, ვიღაცას თავი გაუმასხარავებია-მეთქი!“

მართლაც, ერთი საათი არ იყო გასული, მარინა უკან მოიყვანეს. ძმები და ბიძაშვილები ქალაქიდან სულ რაღაც ოთხ თუ ხუთ კილომეტრზე წამოწევიან და ასეთი სურათი უხილავთ: მანქანა, რომლითაც გაიტაცეს, გზის პირას, წინა მარჯვენა ბორბლით არხში იდგა, წონასწორობიდან გამოსული მარინა საიდან-ლაც ხელში მოხვედრილ ქვას მანქანას უხათქუნებდა და პირში ჩალაგამოვლებულ „საქმროს“ „სულელისა“ და „კრეტინის“ ეპი-თეტებით ამკობდა. ფერნასული მძლოლი კი მარინასთვის ხე-ლის ხლებას ვერ ბეჭდავდა და უშედეგოდ ცდილობდა, ტანით აფარებოდა მანქანას, თან იხვეწებოდა: „ამ მართლაც სულელის გულისათვის მანქანას ნუ მიმტვრევ! მე არაფერ შეაში ვარ: ერთმანეთი გვიყვარსო, თქვა ამ უტვინომ! მამის საფლავს ვფიცავ, დაბრძანდით და ხუთ წუთში შენი სახლის წინ დაგსვამო!“

ჩვეულებრივი ლოგიკის ძალით, ამ შემთხვევას უნდა „გამოვეფხიზლებინე“. მითუმეტეს, როცა „ჩვეულებრივ ლოგიკაში“, ჩემი ღრმა რწმენით, ქალის მოტაცების ეს საიდანლაც გადმო-ლებული სამარცხვინო წეს-ჩვეულება არა და არ ჯდებოდა. რა დიდი ჭკუა უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ ამაში არა მარტო ქა-ლის, არამედ პირადად შენი, გამტაცებლის, ღირსების შელახვა დაინახო?..

და რამდენადაც, მე ჩემსა და მარინას ურთიერთობას არა „ჩვეულებრივი“, არამედ „განსაკუთრებული“ ლოგიკის ძალით ვაფასებდი, ამ შემთხვევის შემდეგაც კი ერთი წამით არ მიიფიქ-რია იმაზე, რომ იყვნენ ისეთებიც, ვინც მარინას როგორც ქალს, ჩვეულებრივ ქალს, ისე უყურებდნენ!

პირიქით: ამ შემთხვევამ კიდევ უფრო გამიმტკიცა აზრი, რომ მარინა მართლაც ა-რ-ა-ჩ-ვ-ე-უ-ლ-ე-ბ-რ-ი-ვ-ი ქალი და, რაც მთავარია, როგორც ჩანდა, ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით გა-ჩენილნი! ამ ამბავს იმ დროს სხვანაირად, მგონი, მართლაც ვერ ახსნიდი...

• • •

**უცბად** ავტობუსის თვალი მოზრდილ ორმოში ჩავარდა. თა-ვი ვერ შევიკავე და წინა სავარძელს საკმაოდ უხერხულად მივე-ხეთქე. მანქანას საკმაოდ შელანძლული ასფალტიდან გადაეხვია

და ოდესლაც მოხრეშილ გზაზე წუმპეებს ნელ-ნელა მიაპობდა.

ახმაურებულ-აყაყანებულ სალონში ვიღაცეების შეკავებული სიცილი გაისმა.

— რა არის, კაცო? — უკმაყოფილო ხმით იკითხა სპორტკლუბის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელმა პაატა კედიამ, რომელიც ისევ წინა კვირის ერობის ჩემპიონატის მატჩებს არჩევდა ავტობუსის უკანა კართან შეჯგუფულ სპორტის გულშემატკივრებს შორის. — ავთანდილ ქვარცხავას ქორწილში მივდივართ ახლა ჩვენ?!

სიცილ-ხარხარი შეწყდა და რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჰ, ცხოვრება მაინც თავისი გზით წავა. ვერაფერს იზამ! — როგორც ჩანს, ერთგვარი უხერხულობის გასაფანტავად თქვა სავაადმყოფოს ლაბორანტმა ქალბატონმა შურა ეფსაიამ. — თავის მოკვლა რომ რამეს შველოდეს, უბედური დედამისი ახლა ერთი კვირის მკვდარი იქნებოდა!

ამ დროს ავტობუსის თვალი ისევ ჩავარდა მოზრდილ ორმოში.

— კაცო, შენ კარტოფილი მიგაქვს თუ ხალხი მიგყავს?! - იყვირა მასნავლებელმა დათო შონიამ.

— გზაა, ეს ოხერი, ასეთი!.. მეხალისება მანქანის ჩამტვრევა ამ ორმოში?! — ყვირილითვე გამოეპასუხა თავადვე ნერვებმოშლილი მძლოლი. — ისე კი, ზოგიერთი თქვენთაგანის ტარებას, კარტოფილის კი არა, ქვის ზიდვა სჯობს!

ავტობუსის სალონი ისევ ახმაურდა.

ლიმილი მეც ვერ შევიკავე.

და უცბად, საოცარი სევდით გაჯერებული უხერხულობის განცდა მწარე ტკივილივით შევიგრძენი (სწორედ ასე ვფიქრობდი მერე ამ ამბავზე). ლამის ვიფიქრე, რალაც ძარლვი ჩამწყდა, გული ამოტივტივდა და ყელში გამეჩირა-მეთქი. არადა, იმასაც ვხვდებოდი, რომ ეს განცდა არც ამ ავტობუსში გამეფებულ სიტუაციისთვის თ-ი-ი-თქოსდა შეუფერებელ განწყობილებასთან, არც წინა სავარძლებში მსხდომთა შეკავებულ სიცილთან, არც ფიზკულტურის მასწავლებლის წამოძახილთან, არც მძლოლის შეპასუხებასთან და, რაც მთავარია, არც ჩემს უნებლიერი ღიმილთან იყო დაკავშირებული. ამის გაცნობიერებასთან ერთად

მყის ისიც შევიგრძენი, რომ შერლოკას (თუმცა, უფრო გასა-გები იქნება, ვთქა: სურათიდან მომღიმარ შერლოკას) თვალს ვერ ვუსწორებდი. არადა, რაღაცნაირი, აბსურდული რამ იყო: ამ ბოლო სავარძლიდან, სადაც ვიჯექი, შერლოკას სურათი არ ჩან-და, ფეხზე მდგომნი ეფარებოდნენ. რატომ მქონდა, აბა, ასეთი განცდა? რატომლა ვგრძნობდი ამას ასე ცხადად?!

მართლაც, რაღაცნაირი, აბსურდული განცდა იყო. და ვი-ლაცის მიერ ცოტა ხნის წინათ ამ ავტობუსშივე ნათქამისა არ იყოს, განა აბსურდული არ იყო ეს ცხოვრებაც? აბსურდული იყო ისიც, რომ მუდამ რაღაცით შეწუხებული და აფორიაქებული შერლოკა ახლა გულხელდაკრეფილი იწვა ლოყებჩამოხოვილი დედამისის წინ; აბსურდული იყო ჩემი მეგობრის დაკრძალვაზე მიმავალი ავტობუსის ჩემი უ-უ-კ-ვ-ე ყოფილი საცოლის მაყრი-ონის მანქანების მიერ საქორნილო მარშითა და სირენებით გა-მოცილება; აბსურდული იყო ამ ავტობუსის სალონში სულ ცოტა ხნის წინ არსებული სიტუაცია...

„სულ ცოტა ხნის წინ“ – ვთქვი იმიტომ, რომ უცბად ავტო-ბუსში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ძრავამაც ერთი ჩაისი-ვილა, გაიჯდობიალა და გაჩერდა. ჩვენ შერლოკას სახლიდან ოდ-ნავ მოშორებით ვიდექით! ვიღაცამ ვიღაცის საპასუხოდ თქვა:

– ღმერთო ჩემო, ასეთი შვილი რომ წინ უსვენია, ის ქალი კიდევ კარგადაა!

ეს ისე მოულოდნელი და შეუსაბამო იყო ავტობუსის წამის წინ ათას ხმაზე და ათას რამეზე მოყაყანე სალონისათვის, რო-გორც დაახლოებით ერთი საათის წინ ამავე ავტობუსის მელ-დელსონის მარშით გამოცილება.

და ის უხერხულობის განცდა, თითქოს, შერლოკას თვალს ვერ ვუსწორებ-მეთქი, რომ გავიფიქრე, კიდევ უფრო გამიძლი-ერდა...

ავტობუსში მსხდომნი ძირს ჩამოვიდნენ და ორ მწკრივად ერ-თმანეთის მიყოლებით განლაგდნენ: ჯერ ქალები, მერე მამაკა-ცები ასაკის მიხედვით (ეს წესი, რამდენადაც მინახავს, იშვითად ირლევა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს გარდაცვლილის ახ-ლო ნათესავი ან ვინმე განსაკუთრებით საპატივცემულო პირი შეუერთდება).

ამჯერად ჩემი ყურადღება ერთმანეთის მიყოლებით მდგომ-

თა საოცრად სერიოზულმა და დამწუხებულმა სახეებმა მიიპყრო. თითქოს ის ადამიანები არ ყოფილიყვნენ, სულ რაღაც ხუთი წუთის წინ ავტობუსი სიცილ-ლრიანცელით რომ ჰქონდათ აკლებული და, რეალური სიტუაცია რომ არ გცოდნოდა, შეგეძლო გეფიქრა, ექსკურსიაზე ან ქორწილში მიემგზავრებიანო.

უკვე დაძრული მწკრივის ბოლოში, ჩვეულებისამებრ, დავაპირე დადგომა, რომ რამდენიმე კაცმა ერთდროულად – აქეთ მობრძანდითო – და რიგის დასაწყისისკენ მიმითითეს. ვიღაცამ ხელიც კი ჩამავლო და წინისკენ მსუბუქად მიბიძგა. ვიღაცამ უკან გადაინაცვლა და ჯგუფში ყველაზე უხუცესის – რენტგენის კაბინეტის გამგის, ბატონ ნაპოლეონ სართანიას გვერდით აღმოვჩნდი. არადა, არც ასაკით და არც, მითუმეტეს, ნათესაური კავშირით რიგის თავში დგომა არ მეკუთვნოდა... ახლაც (ახლა – მით უფრო!) ამ ცხადზე უცხადესი განცდის გააზრებას, გამოკვეთას, ჩამოყალიბებას ვერ ვახერხებდი. თუმცა მერე გულის სიღრმეში მაინც გამიელვებდა ხოლმე ეჭვი: იქნებ, არც ვცდილობდი?! არ ვცდილობდი, საკუთარ განცდებს ჩავლრმავებოდი?! უფრო მეტიც, შეიძლება ამას ისე გავურბოდი, როგორც საკუთარ ჩრდილს შეიძლება გაექცეს კაცი! მაშინ ამ ეჭვისგან თავდასაცავად ალიბი მქონდა: სულ რამდენიმე წუთში ჩემს მოულოდნელად გარდაცვლილ მეგობარს სამუდამოდ უნდა გამოვთხოვებოდი....

• • •

**დაპრძალვიდან** მობრუნებული კულტურის სასახლის დირექტორის კაბინეტში ავდივარ.

კიდევ კარგი, 26 მაისის ზემისათვის ემზარ თავდიშვილი ბავშვებს ამზადებს და კულტურის სასახლის კარი ლიაა. ახლა სახლში ვერ წავალ... ასეთ დროს ჩემი ყველაზე საიმედო თავშესაფარი განმარტოებაა...

თავი მიბრუის, მაგრამ სიმთვრალისგან არა. დაკრძალვაზე, თუ არ ჩავთვლით ერთ პატარა ჭიქას, რომელიც წავუქციე საწყალ შერლოკას, წვეთი არ დამილევია. ის ჭიქაც, სანამ დავლევდი, კინაღამ სახეზე შევალენე ერთ მოზვერივით კაცს, რომელიც სპეციალურად დაგვისვეს სუფრაზე („პატივი რომ ეცა ჩვენთვის“, – როგორც ბრძანა შერლოკას ერთმა ხანდაზმულმა ნათესავმა). იმ მოზვერმა აიჩემა: ეგ ჭიქა დადგი და შერლო-

კას ხსოვნისა ამ თასით შესვიო. თითქოს შერლოკას დაბადების დღეზე ვყოფილვიყავით! იმ თასში ერთი ლიტრა ლვინო მაინც ჩადიოდა. ბოლმამ კინალამ ტვინში ამასხა. არც ის თასი დამილევია და არც ის ჭიქა შემილენავს იმ სულელისათვის (თუმცა, ის რა შეაში იყო? „ტრადიციას ხომ არ უღალატებდა“?!), მაგრამ, ჩემდა ჭირად, ბოლმას ვერა და ვერ მოვერიე.

როცა ვიღაც ჭირისუფალთაგანი „ჩვენდა საპატივცემლოდ“ მოგვიახლოვდა, მოზევერის წინ დადგმული თასი აიღო, გააპიპინა და თქვა: „ეს თასი ავთოს ქორნილში უნდა აგვენია და, ასეთ ვითარებაში კი გვიწევს დალევაო“, – მოულოდნელად ზურგის ისე-თი ტკივილი ვიგრძენი, რომ ყრუდ დავიკვნესე („ზურგის ტვინის ჩაქცევა მივიღე, ნალდად!“).

უცერემონიოდ ავდექი და ეზოში გავედი. როგორც ჩანს, წონასწორობიდან უკვე საბოლოოდ ვიყავი გამოსული და, თითქმის, ყველაფერი ნერვებს მიშლიდა. ხოლო, როდესაც მეპანაშვილებმა დოლ-გარმონით საცეკვაო მუსიკა დასცხეს, ზედ უცნაური ლექსი დაამღერეს და ამ ლექსზე მთელი ეზო ცრემლად დაიღვარა, აშკარად ვიგრძენი, რომ მეტს ვეღარ ავიტანდი. ეზოდან გამოვედი, შემხვედრ მანქანას უკან გამოვყევი. მართალი რომ ვთქვა, ერთგვარი შვებაც კი ვიგრძენი: არ მინდოდა, სახლიდან შერლოკას გამოსვენება და დასაფლავება მენახა...

ძარცვა-გლეჯას რაღაც სასწაულით გადარჩენილი ტელევიზორი ჩართული მაქსი, მაგრამ ეკრანზე რა ხდება, ვერ ვაცნობიერებ: უბრალოდ, ეკრანს მივჩერებივარ და ეს არის. ჩემს თავში მოწყობილი ეკრანი, როგორც ჩანს, ტელევიზორზე უფრო შთამბეჭდავად მუშაობს: მთელი დღევანდელი დღე, უმნიშვნელო დეტალებითურთ, ამ ეკრანზე ირეკლება და ერთმანეთში ირევა.

იონა ჯოლოგუა ჭკვიანი კაცია, თავისი კაბინეტის კარს არ კეტავს: თუ უნდათ მაინც გატეხავენ, კარი და კლიტე მაინც რაზე უნდა გავაფუჭებინოო?! ეს ტელევიზორი კი, მე მგონი, გადარჩენას თავის ასაკს უნდა უმადლოდეს (იონას ხნისა მაინც იქნება) და, შეიძლება, იმასაც, რომ უკანა საფარი არა აქვს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ჯაბახანა კიდევ მუშაობს.

მაგიდიდან ტელეფონს ვიღებ. დედას დავურეკავ, ვეტყვი, გვიანობამდე ვერ მოვალ, ნუ დამელოდები-მეთქი. რამდენიმე ციფრი ავკრიფე კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრე... ახლა არც

ამაზე მინდა ფიქრი და არც სხვა რამეზე. ტელევიზორს ხმას ვუ-წევ და რამდენიმე წუთით მართლაც ვუშემენ რაღაც სულელურ გადაცემას და ვიღაცების ბრიყვულ სიფათებს მივჩერებივარ. მაგრამ, სულ მალე, ხმაც იკარგება და ბრიყვული სიფათებიც: ისევ თავში მოთავსებული ეკრანი სჯაბნის ყველაფერს...

აქ, ამ კაბინეტში, შერლოკასთან პირველი საუბარი გამახსენდა და უცბად ავფორიაქდი: „ნეტავ, სადაა შერლოკას „საქმეები?“ – პოლიციის განყოფილებაში არ შეინახავდა, არც ბინაში წაიღებდა. – „სად უნდა ჰქონდეს?!"

ამ კითხვამ ორივე ეკრანი „გამორთო“ და ჩამიყოლია.

„მართლაც, სად და ვისთან უნდა ჰქონდეს?!"

ჩემდა სამარცხვინოდ, ვაღიარე, რომ შერლოკას შესახებ მე ბევრი არაფერი ვიცოდი. მაგრამ ამის აღიარებასთან ერთად, კი არ მოვიაზრე, არამედ რაღაც გუმანით მივხვდი... თუმცა, შესაძლოა, უფრო ზუსტი იყოს ვთქვა, ვიგრძენი-მეთქი: რომ ხვალ თუ ზეგ ვიღაც მოვიდოდა და შერლოკას „საქმეებს“ გადმომცემდა!

ბუნებრივია, ამ შეგრძნებამ ამაღლელვა კიდეც, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, იმაზე უფრო მეტად, თუ რა იქნებოდა შერლოკას მიერ დატოვებულ „საქმეებში“, უფრო იმან დამაინტერესა, ვინ მოიტანდა მას!

ქუჩიდან მანქანის საყვირის გაბმული ხმა იჭრება და ფიქრს მანყვეტინებს: „რა უსიამოვნოდ ჭყივის?!" ვიღაც შობელძალლი პირდაპირ ხეთქავს საყვირს. ვიღაც ძალიშვილი კიდევ აინუნ-შიაც არ აგდებს ამას (ჩემი ვარაუდით, ცხადია), მერე, მე-ე-რე, როგორც იქნა, ისმის ქალის ხმა და საყვირის ჭყიპინიც წყდება.

ქუჩაში კი შეწყდა საყვირის ხმა, მაგრამ ეს ხმა ახლა ჩემს ყურში, თუმცა, უფრო ზუსტი იქნება, ვთქვა, ამ ოთახში, ამ კაბინეტში ისმის, თანაც ერთი მანქანა კი არა, რამდენიმეა! საყვირების წივილ-კივილი კედლებზე დავლურს უვლის! ციბრუტივით ტრიალებს ოთახიც. ყველაფერი ერთმანეთში ირევა... აქ ყოფნა შეუძლებელი ხდება. თითქოს სული მეხუთება, საცაა გულიც ამერევა... რაღაც ძალას, გადარჩენის ინსტინქტივით, კართან მივყავარ და ისე უხეშად ვაღებ, შემხედვარე იფიქრებს, ოთახში მომწამვლელი გაზის ბალონი აფეთქებულაო.

როცა კიბეზე ჩავდივარ, მანქანების საყვირის ხმა ჯერ კიდევ ცხადად მესმის ყურში. მერე ქუჩაში მივდივარ... თითქოს

აპა, მიწყნარდება ყველაფერი, მაგრამ საკმარისია, ქალაქში სა-დღაც რომელიმე მანქანამ ოდნავ მაინც სადღაც დაპიპინოს, რომ ყურებში ისევ თავიდან იწყება გრისი...

„ალბათ, წნევამ ამინია!“ – ვფიქრობ.

და უცებ, როცა ხმაური მიწყნარდება, ვხედავ: ანას ბინის წინ ვდგავო.

„ალბათ, წნევაზე რომ გავიფიქრე, იმიტომ!“ – სიტუაციის ახ-სნას ვცდილობ: ანა ხომ თერაპევტია. თუმცა, „ანა“ კი არა „ანია“ ჰქვია, „ანად“ მე მოვნათლე.

ვყოფმანობ: დავაჭირო ზარს თითო თუ უკან გამოვბრუნდე?

უცბად კარი იღება და ზღურბლზე ანა გამოჩნდება.

წამით ვიბინევი: ვერ გამირკვევია, მე დავაჭირე ზარს თითო თუ ანამ გააღო შემთხვევით?

ხმას არ იღებს. მხოლოდ ეგაა, რომ გვერდზე გადგა.

მე უსიტყვოდ შევდივარ.

ტახტზე ვჯდები. ანა მისაღები ოთახის კარებთან დგას და იქიდან მიღიმის.

– რამ შეგაცდინა?!

– მგონი, წნევა მაქვს! – რაც უცბად მომადგა ენაზე, იმას ვამბობ.

– მოვიტანო აპარატი?

თავს ვაქნევ.

ანა გაუნდრევლად დგას და მრავლისმეტყველად მომჩერებია.

– მართლაც, ცუდად გამოიყურები! – ხმაში სინანული გამოს-ჭვივის. – სად იყავი?

– დღეს ხომ შერლოკას დაკრძალვა იყო!

ანა ხელებს გულზე იჯვარედინებს და დანანებით ამბობს:

– ეჲ, საცოდავი!.. მაგრამ, შენც რომ უშვილძიროდ იღუპავ თავს?!

– ეს რატომ, ვითომ?! – განზრახ ვიოცებ, რადგან უკვე ვხვდები, საითკენ უბერავს.

– ეჲ, არ ხარ მართალი, გურამ... – ანა გულრწფელი სინანუ-ლით ოხრავს. – არ უნდა გაგემვა ასეთი გოგო ხელიდან! მაინც რა უთხარი ასეთი, ა?!

– ვინ გოგო?! – ყასიდად ვიოცებ.

– ძალიან კარგადაც იცი, ვინ! ორი დღის წინ კლუბის წინ გე-

ლოდებოდა. რამდენი ხანი იდგა?! იქით რომ გავიარე, გელოდა. აქეთ გამოვიარე, ისევ იქ იდგა! ისეთი რა სისულელე უთხარი, რომ მეორე დღესვე დაუსვა?

— იმ დღეს საერთოდ არ მინახავს!.. მართალს გეუბნები. შერლოკას გარდაცვალების დღეს ვხედავდი ბოლოს! — ვამჩნევ, ჩემდა მოულოდნელად, გულზე ცეცხლი მეკიდება.

— ეეჰ, რომ ვერ გნახა, ესეც ვებერთელა მიზეზია!.. თქვენ, მამაკაცებს, გულზე კამეჩის ტყავი გაქვთ გადაკრული, რას მიხვდებით ამას?.. საცოდავი მარინა!.. თუმცა ამას შენ ვერ გაიგებ!

— საცოდავი კი არა, მისალოცია! — ვამბობ და ანას სახეზე ვაკვირდები: გაღიზიანება ხომ არ შემატყუ.

— ხომ გითხარი, მამაკაცები ამას ვერ გაიგებთ-მეთქი! — ანა კარს შორდება და მეორე ოთახისაკენ მიემართება, თან გზადაგზა თავისთვის ხმამაღლა უფრო ფიქრობს, ვიდრე ლაპარაკობს: —ჩვენ, ქალები, ყოველთვის საცოდავები ვართ. ხშირად მაშინაც კი, როცა ვთხოვდებით!

კიდევ საკმარის ხანს ბუზღუნებს და წნევის აპარატით გამოდის.

— აბა, პიჯაკი გაიხადე და აქეთ მოიწი! — დივან-სავარძელზე ჩემ გვერდით ჯდება.

— ოჟ, არა, არა! წნევის გაზომვა არ მინდა. — კვლავ ვცრუობ. თუმცა, კი არ ვცრუობ, უკვე ნამდვილად არ მინდა. წნევა, მგონი, მართლაც მაქვს მაღალი, მაგრამ სწორედ ამის გამო არ მინდა ახლა გაზომვა. რაღაც იმპულსურად ვმოქმედებ. ფაქტობრივად მთელი დღე თავს ვერ ვფლობ.

— ახლა არ მითხარი, გამიზომეო?

— გაგეხუმრე! — და ამ ბრიყვულ მდგომარეობას რომ ბოლო მოვულო, ვიხრები და ყელზე ნაზად ვკოცნი. ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილია.

ანა გულის სიღრმიდან კვნესის და ძლივს მეუბნება:

— ახლა არა: ქურაზე ქვაბი დგას, საჭმელს ვამზადებ...

სიტყვა „საჭმელს“ ბურანიდან გამოვყავარ. რა საუცხოო სიტყვა?! მთელი დღის განმავლობაში, მგონი, მხოლოდ ახლა ვიგრძენი ჩვეული და ბუნებრივი, შეიძლება ვთქვათ, ყველაზე უღალატო გრძნობა: შიმშილი. არადა, რა კარგ კერძებს აკეთებს ანა?!

• • •

**სამზუხაროდ**, ჩემი „ბუნებრივი“ მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი დანაყრება შემეტყო, იმწუთში-ვე ჩაირთოთ თავში ჩამონტაჟებული ეკრანი. უნებურად თვალებს ვხუჭავ და შუბლს, სახეს, კისერს ორივე ხელით მაგრად ვისრეს.

– მართლა ხომ არ გაგიზომო წნევა? – ანა შეშინებული მი-ყურებს.

– არა.

– არ გაშინებ, მაგრამ რაღაც ფერი არ გადევს კარგი.

– ფერი?.. – და საოცრად მომინდა რამე მაგარი დასალევი.

– არაყი გაქვს?

– უი, როგორ არ გამახსენდა?! – შეიცხადა ანამ. – გადაჩვე-ული ვარ მამაკაცისთვის სუფრის გაშლას. საუკუნეში ერთხელ მოდიხარ. ვის უნდა გავუშალო?

ანამ ლანგარზე დაწყობილი ბოთლი და ჭიქები მაგიდაზე დადგა. ლანგარზე შემოდგმულ არყის ჭიქაში ანასთვის დავასხი, ჩემთვის კი მაგიდაზე მდგარი წყლის ჭიქა გადმოვდგი და ნახევ-რამდე ავავსე.

– წუთში მშვენიერ ფერზე მოვალ!.. მოდი, ანა, ის საცოდავი ბიჭი აცხონოს ღმერთმა! – ვიგრძენი, რაღაც მომებჯინა ყელზე და არაყი სულმოუთქმელად დავლიე.

არაყმა ის რაღაც ჩარეცხა, მაგრამ, სამწუხაროდ, გონება უფრო დამეწმინდა და თავში მოთავსებული ეკრანი უფრო აკაშ-კაშდა.

მეორე ჭიქა დავისხი, დაველოდე, სანამ ანა სასმელს მოწრუ-პავდა და იმასაც შევუვსე.

– ამით, ჩემო ანა, მოდი, მარინას გაუმარჯოს, ღმერთმა ბედ-ნიერება და სიხარული ნუ მოაკლოს! – რატომლაც მომეჩვენა, რომ ანამ ეჭვით შემომხედა, ამიტომ ავდექი, პირჯვარი გადა-ვინერე და გავიმეორე: – ღმერთო, ამყოფე ბედნიერად და ნუ მოაკლებ სიხარულს!

– ღმერთმა ის ბედნიერად ამყოფოს და შენი თავიც მაჩვე-ნოს დაჭკვიანებულ-გაბედნიერებული! – თქვა ანამ და უცბად მოინყინა. – ხომ არავინ იცის ამ ჩვენი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ, დედაშენს რომ ვხვდები, ელეთ-მელეთი მომდის. მე რომ არ ვყოფილვიყავი, იქნებ, უფრო ადრეც მოგეყვანა ცოლი და მა-რინასთვისაც უფრო უკეთ მიგეხედა!

დედაჩემის ხსენებამ მეორე ჭიქა არაყიც გაანეიტრალა: თითქოს არაყი კი არა, „ბორჯომის“ წყალი დამელიოს. ანამაც სასიფათო და მტკივნეული თემა „შემოაგდო“. ვცდილობ, მაგრამ ხელაღებით მას გვერდს ვერ ვუვლი:

– შენ რა შეუში ხარ? აკი, შენ თვითონ მეუბნები ხოლმე, ცოლი თავის ადგილას უნდა იყოს, საყვარელი – თავისასო! – რატომძაც სიტყვა „საყვარელი“ არ მომწონს. როცა ამას ანა თვითონ მეუბნება, საოცრად ვლიზიანდები.

ანას სახეზე ვატყობ, რომ „შეტევაზე“ უნდა გადმოსვლა. ახლა შეგონებებით წაიღებს ტვინს. მართლაც, რა უცნაური ქალია?! ღმეთმანი, ლამაზი და ტანწერნეტა კია. როცა მითხრა, რამდენი წლისაც იყო, არ დავუჯერე. პასპორტი მაჩვენა. გადაკეთებული გაქვს-მეთქი! ესიამოვნა კი.

სასწრაფოდ ვასხამ მესამე ჭიქას და, სანამ ანა ხმის ამოღებას მოასწრებს, ახალ სადლეგრძელოს ვიწყებ:

– ყველა დედას გაუმარჯოს ამ ქვეყანაზე! დედაჩემს ვენაცვალე!.. შენ გაგიმარჯოს, შენც ხომ დედა ხარ...

– დედა კი არა, სულ ცოტაც და, ბებია ვხდები: ველოდებით!

– მაშინ ორგზის გაგიმარჯოს!

– ეს, გურამ, გურამ, რა ჭკვიანი ბიჭი ხარ და როგორ ცდები?! – მაინც თავის ჰანგზე გადაერთო. – აგვიანებ, ძალზე აგვიანებ, ბიჭო!

– კარგი, ანა! მაშ, მოდი და, ამ ჭიქით ჩვენს შეცდომებს, ჩვენს ტკბილ-მწარე შეცდომებს გაუმარჯოს! – მეოთხე ჭიქას ვასხამ. – შეცდომებს რომ არ ვუშვებდეთ, ცხოვრება ნამეტანი სწორხაზოვანი და მოსაწყენი იქნებოდა. ღირს კი ასე ცხოვრება? გაუმარჯოს ჩვენს ტკბილ შეცდომებს! ტკივილიან შეცდომებსაც გაუმარჯოს! გაუმარჯოს ჩვენს სიხარულს!.. და, მასთან ერთად, ჩვენს სევდასაც და ტკივილსაც გაუმარჯოს! ერთი სიტყვით, ნაღდ ცხოვრებას გაუმარჯოს! ჩვენ გაგვიმარჯოს!

ვსვამ.

მერე ვდგები, ანასთან ახლოს მივდივარ, ფეხზე ვაყენებ და ტუჩებზე ხანგრძლივად ვეკონები.

ნდომა მეკიდება.

ამას რაღაც ახლებურად განვიცდი. თითქოს რაღაც ტვირთისგან განვთავისუფლდი. თითქოს რაღაც საფრთხეს დავალნიე

და საიმედო ადგილას შევაფარე თავი.

„...და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც!“ – შორი, ძალზე შო-ო-ორი შუქურას მკრთალი სხივივით გაკრთა ყოვლის წამლე-კავ ბურუსში სადღაც, სა-ა-დღაც გონების მიღმა, და ამ ოთასს მიღმა არსებულმა სამყარომ თავისი ტკივილისმომგვრელი, თა-ვისი წერვებისმომშლელი მსხვილმან-წერილმანით მეორე რიგზე გადაინაცვლა, გაფერმკრთალდა, გაიცრიცა. ყველაფერმა, იმის გარდა, რაც აქ არის, დაკარგა მნიშვნელობა.

დიდებული და ძლიერი განცდაა!

თუმცა ისიც ვიცი, რომ ეს თავის მოტყუებაა, სულ რაღაც 15-20 წელის შემდეგ, ანდა, დიდი-დიდი, ნახევარი საათის შემ-დეგ, ან, თუნდაც, ერთი საათის შემდეგ ყველაფერი ისევ თავ-თავის ადგილას დაბრუნდება და „გარე სამყარო“ ახალი ძალით შემომიტევს, უფრო მძაფრად შევიგრძნობ ცხოვრების ამაოებას, არსებობის ამაოებას, ყველაფრის ამაოებას და სასოწარკვეთა კვლავ დაუნდობლად ჩამასობს თავის ბასრ ბრჭყალებს...

ანას ჭიქას ვართმევ და მაგიდაზე ვდებ.

ხალათს ვუხსნი და ჭიპთან ვადებ ტუჩებს.

ნელ-ნელა მკერდისაკენ მივიკვლევ გზას.

ძუძუსთავზე ოდნავ ვკბენ.

ხმამაღლა კვნესის და ნიკაპი ჩემს მხარზე უვარდება.

ვფრთხილობ. არ მსურს, ვიჩქარო. ეს დროებითი თავისუფ-ლება, მინდა, რაც შეიძლება, გავიხანგრძლივო.

ცალი ხელით მის თავს მკერდზე ვიკრავ, მეორე ხელს წელზე ვხვევ, მთელი სხეულით ვიხუტებ და ვირინდები: პირველი ტალ-ლის გავლას ველოდები.

ანა ყელზე მკოცნის, მერე ყურის არეში ინაცვლებს. იცის ჩემი სუსტი წერტილები. უშურველად მაქვს გაცემული ყველა საიდუმლო!

მერე ტუჩები ერთმანეთს ეძებენ, პოულობენ და მორიგი ტალლა შხუილით ეხეთქება ნაპირს.

მისი თითები ჩემი პერანგის ღილებს ეძებენ და ღვთაებრივი პირველყოფილებით აღსავსე ცხრაკლიტულის კიდევ ერთი კარი უხმაუროდ და დიდი კრძალვით იხსნება. თითქოს პრეისტორიუ-ლი სარიტუალო მაგიური ცეკვა იწყება. როკვა! წამიერი დაშო-რება და ისევ ცეცხლის აბრიალება! ერთხორცად, ერთარსებად

ქცევისა და მიზიდულობის დაუოკებელი ძალა!..

გახდა მთელი ხელოვნებაა. ვინც ამ ხელოვნებას სრულყოფილად არაა დაუფლებული, მან არ იცის ჭეშმარიტი სექსი!

არ ვიცი, სადმე ამოვიკითხე თუ ჩემი გონების ხელიხელსა-გოგმანები ნაყოფია ეს დიდებული აზრი, მაგრამ, ჭეშმარიტი რომაა, წყალი არ გაუვა.

პირველყოფილი ბუნებრივი უშუალობა, ინტელექტის არტა-ხების რღვევა და ჰარმონიული ურთიერთშერწყმა! პირობათა პირობითობა და კიდევ რაღაც... რაღაც, რომლის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია.

ვგრძნობ, რაღაც ახალი, სიმბოლური, შინაარსი ეძლევა ამ პროცესს: თითქოს გადმოვდივარ დამძიმებული სხეულიდან და ყოველგვარ პრობლემას თუ სანუხარს სადღაც უკან, მიმოყრილ ჩემს ტანსაცმელთან ერთად ვტოვებ.

თავისუფლების პირველყოფილი შეგრძნება!..

– სინათლე ჩავაქროთ... – სადღაც შორიდან მესმის ჩურჩული.

ეს იმქვეყნიური პანაწკინტელა ლაქაა, რომელიც მაინც, უნებურად, აქეთ გადმოგვყოლია, თითქოსდა რაღაც ვალის მოსახ-დელად. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, ეს ლაქა იმდენად უმნიშვნელოა, იმდენად უსუსური და უდღეური, რომ სანამ პასუხის გაცემას მოვასწრებდე, მანამდე გაქრება და, ბუნებრივია, იოტი-სოდენა ყურადღებას არ ვაქცევ.

მთელი სხეულით ვეკვრით ერთმანეთს. მუხლი მუხლს აღიქვამს, ტანი – ტანს, მკერდი – მკერდს, ლოყა – ლოყას...

სრულყოფილების განცდით მევსება სხეული და, თუ რამ იყო დარჩენილი იმ სამყაროდან, ისიც უკვალოდ ქრება.

თვალდახუჭულნი ვტრიალებთ... ჯერ გვერდი ისრუტავს გვერდს, შემდეგ ზურგი – ზურგს და ისევ პირვანდელ პოზას ვუბრუნდებით.

ტუჩები ისევ ეძებენ ერთმანეთს...

„რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი...“ – შხუილით იჭრება ტა-ეპი გონებიდან.

მართლაც, რაღაც მინდა, რაღაც იმაზე მეტი, რაც ოდესმე ყოფილა... რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი...

მაგრამ არ ვიცი, რა არის ეს განსაკუთრებული და წუხილის

სიმი სადლაც წამიერად გაიუღრიალებს:

„მე რომ გაფრენა არ შემიძლია...“

ინსტინქტურად თითის წვერებზე ვიწევი. ანას ხელები ჩემს კისერზე აქვს შემოხვეული და მისი ფეხები იატაქს წყდება.

ტანით ოდნავ უკან ვიწევი.

ანა ფეხებს წელზე სალტესავით მარტყამს.

სახეზე ვაკვირდები.

წამონთებული და დაძაბული სახე ქვეცნობიერ კმაყოფილებას მანიჭებს.

მზერა მის სხეულზე გადმომაქვს.

შვილდივით დაჭიმულია. გათქვირული და გადატკიცინებული ძუძუები სხივებს ირეკლავს.

ვგრძნობ, მისი სხეული მშორდება. ქუთუთოებს ახელს.

„ვეფხის თვალებით მიმზერს!“

მისი სხეული ნელ-ნელა იწევს ძირს და... ბაგებიდან ვულკანივით ამოხეთქავს:

- გ უ უ რ ა ა მ ! ..

მე ძლიერი დენი მირტყამს და თავიდან ფეხებამდე მჭვალავს. მუხლები მეკეცება. თავს ძლივს ვიმაგრებ. ანას სხეულს მკერდე მაგრად ვიკრავ, ვბოჭავ და განძრევის საშუალებას არ ვაძლევ.

ვცდილობ მოვდუნდე და ყურადღება ტელეეკრანზე გადა-მაქვს.

სროლის ხმა და ცხენების ჭიხვინი ისმის. ვიღაც კიბიდან ხტება, ვიღაც კიდევ პირდაპირ ფანჯრიდან მიფრინავს. შავპერანგიანი კოვბოი კი წინ და უკან, მაღლა და დაბლა დაუმიზნებლად სროულობს და ერთმანეთის მიყოლებით ხოცავს ყველას. თუმცა, აგერ ერთი გადარჩენილა და სახურავზე მიხოხავს. ეტყობა დაჭრილია, რადგან გაჭირვებით ახერხებს თოვის დამიზნებას. ჩახმახს აყენებს. ისმის სროლის ხმა. დაჭრილი ერთს შეტოკდება და ძირს ეშვება. შავპერანგიანი კოვბოი საჩვენებელი თითით რევოლვერს ატრიალებს. შემდეგ რევოლვერის ლულით „კოვბოურ“ ქუდს ისწორებს...

ვმშვიდდები. ტელეეკრანს თვალს ვაცილებ.

პირველმა შეტევამ გადამიარა.

კმაყოფილება მეუფლება: ამას იქით გაცილებით ადვილია სხეულის მართვა. ვიმარჯვებ: საკმაოდ შორს იწევს იმ სამყა-

როსთან მიბრუნების მტკივნეული განცდა.

ქალის სხეულის ყურება მსიამოვნებს. ხელები მის ფეხებქვეშ შემაქვს და მოძრაობას ვაყოლებს.

ქალის კვნესა განცდას ამძაფრებს.

ტახტზე ვჯდები, საზურგეს ვეყრდნობი და ფეხებს ვშლი.  
ანა მკერდს მიკოცნის.

თავს უკან ვაგდებ და ვყუჩდები.

ანაც ირინდება.

ვხვდები, სახეზე მაკვირდება.

ვიცი, ჩემი სახის გამომეტყველება ახლა დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

თვალებს ვახელ.

– ჩემი საძაგელი ბავშვი! – ისე ამბობს, თითქოს სხვას არ უნდა გააგონოს.

რამდენადაც ანა ჩემზე უფროსია, ადრე ასეთი მოფერება მა-მაკაცურ თავმოყვარეობას მილახავდა ხოლმე, მაგრამ მას შემ-დეგ, რაც, ასე თუ ისე, გავარკვით ჩვენ-ჩვენი შესაძლებლობა-ნი, ამაზე გუნრფელად მეღიმება. „რაო, შენ გინდა თქვა, რომ ბებრუხუნა ხარ უკვე?!” – გაღიზიანებული, ვითომ ტაქტიანად, ვუბრუნებდი ხურდას. მერე ესეც ლიმილს მგვრიდა და სადლაც კიდევაც მრცხვენოდა ჩემი ასეთი ბიჭბუჭური საქციელის გამო.

მკერდზე ხელებს მაყრდნობს. თვალებს ვხუჭავ და რიტმულ რწევას მაგნიტურ ბურუსში შევყავარ. სხეული სავსეა რაღაცით და ეს სისავსე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. რაც უფრო და უფრო ვისები, მით უფრო მეტ სიმსუბუქეს და თავისუფლებას ვგრძნობ.

ჩემ ირგვლივ სიცარიელეა და სავსე სხეულით ამ სიცარიე-ლეში ვკიდივარ.

სიცარიელე სადლაც მიექანება...

რაღაც მაგიურსა და ჯერარგანცდილს ვუახლოვდები...

და სწორედ მაშინ, როცა შევიგრძნობ, რომ „ის“ სულ ახლოს არის, იმპულსურად ვფხიზლდები.

შიშისგან ვნებსი და უნებურად იმასაც ვაცნობიერებ, რომ ქალთან სიახლოვეზე უფრო ამ სამყაროსგან თავდალწევა („გაქ-ცევა!“) მსიამოვნებს. იქითკენ მიბრუნება არა და არ მინდა!

ხელებს წელზე ვავლებ და განძრევის საშუალებას კვლავ არ

ვაძლევ. ისევ ვცდილობ, ყურადღება ტელეკრანზე გადავიტანო, მაგრამ არცაა საჭირო, რადგან სხეულში შემოჭრილი შიში ყველაფერს თავისთავად არეგულირებს.

ანა ჩემს განწყობილებას იჭერს, ფრთხილად, ნელ-ნელა, ცალი ფეხი ჩემს მკერდზე გადააქვს, ტრიალდება, ფეხებს ერთმანეთს მჭიდროდ ატყუპებს და ზურგით ჩემს მუცელზე წვება. მე ხელებს ვხვევ.

ასე ვართ საკმაო ხანს.

მერე ცალ ხელს ვეყრდნობი და ისე, რომ ქალის სხეული არ ჩამომიცურდეს, ტახტის კიდეზე ვჯდები. ვაკვირდები: მშვენიერი სხეული აქვს. ასეთ დროს უნებურად სულ ერთი აზრი ამეკვიატება ხოლმე: როგორი უნდა ყოფილიყო იგი ოცდაოთხი -ოცდახუთი წლის ასაკში? „რა წამალს ხმარობ იმისთანას, სულ თვრამეტი წლის რომ ხარ?“ –ვეუბნები ხოლმე ზოგჯერ. ისეთ იერს მიიღებს, თითქოს არც გაუგონია, მაგრამ აშკარად რომ სიამოვნებს და უხარია, ამის დამალვას ვერ ახერხებს.

ნებისმიერი მამაკაცი, რაც უნდა იყოს, მაინც ეგოისტია (ალბათ, ქალიც!): ქალის სხეულის სილამაზე მეპატრონის თვითკ-მაყოფილების განცდას შიღვიძებს. ეს რომ დავმალო, მკერდით ვეკვრი და სახეს მის თმაში ვმალავ.

„რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი...“

ყურის ბიბილოზე მსუბუქად ვკბენ.

ისევ პირველ პოზას ვუბრუნდებით და ტუჩებზე მეკონება.

წონასწორობას ვერ ვინარჩუნებ, ტახტიდან ვცურდებით.

უცრად საოცარი სიმძაფრით და სრულად ალვიქვამ ქალის სხეულს. რაღაცნაირი დაუკმაყოფილებლობის განცდა წონასწორობას მაკარგვინებს.

„ჯანდაბამდე ჰქონია გზა ყველაფერს!“

სადღაც რაღაც გაწყდა!

„ჯააანდაბმდე ჰქონია გზაააა...“

სადღაც შორიდან აღწევს კვნესა:

– გურაამ!.. გ უ რ ა ა მ!.. გ უ რ ა ა ა ა მ!..

საყრდენი მეცლება...

• • •

მერა გაუნძრევლად ვწევართ.

„....და იყვნენ ორივე იგი ერთ ხორც.“

თვალები დახუჭული მაქვს...

მთელი სხეული სასიამოვნო მოთენთილობითაა სავსე.

ქალის სხეულიდან ახლა სიმშვიდესა და თვითკმაყოფილებას ვისრუტავ.

ვიცი, დიდხანს არც ეს გაგრძელდება, მაგრამ ჩემებურად მა-ინც ვებრძვი თითქმის უკვე კარზე მომდგარ... რაღაცას!

ისიც ვიცი, რა არის ეს „რაღაც“, მაგრამ არ მინდა, ახლა ამა-ზე ვიფიქრო. მითუმეტეს – დავაკონკრეტო.

ვწევარ...

ვწევარ...

ვწევარ...

ვწევარ...

ჯერ კიდევ ყველაფრისგან თავისუფალი ვარ!

საქმარისია, თვალი გავახილო ან ანამ ხმა ამოილოს, რომ ბო-ლო მოეღება ამ თავისუფლებას.

ცხადია, ეს თავის მოტყუებაა, მაგრამ, სამაგიეროდ, მსია-მოვნებს. ძალიან მსიამოვნებს. რაღაც მაინც ხომ უნდა მოჰპარო ამ ცხოვრებას, მუდამ თავის დუდუკზე რომ გაბზრიალებს.

ანას დუმილიც მსიამოვნებს.

დროის მდინარებას ვებრძვი თითქოს... ვიცი, ეს დონკიხო-ტობაა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, რაღაც სწრაფვა მაინც არის! არადა, სადღაც აქვე, სულ ახლოსაა ჩასაფრებული მომენ-ტი, წამი (რა ვიცი, რა ვუწოდო), რომლის იქით სრული უაზრო-ბაა – ისიც საოცარი ვწებით, განცდით და სრულყოფილებით აღვსილი ფრაზით: „ჯანდაბამდე ჰქონია გზა ყველაფერს!“

ახლა ამ წამის სუნთქვას ვგრძნობ კეფასთან! იქვე შიშის პა-ნაწერება ქულაც მაჯდება.

მორჩა! ჩაჰყვება ახლა იგი ნელ-ნელა ხერხემალს და ჭიპთან მოიკალათებს...

წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. ასეთ დროს თამაში უფ-რო მოსაბეზრებელია და საზიზლარი, ვიდრე თვით ეს დამპალი ცხოვრება შეიძლება იყოს.

– ა ა ა! – ვხრიალებ, ვტრიალდები და ხალიჩაზე ზურგით ვწვები.

აქ, თავისდაუნებურად, ანა „პატარა“ შეცდომას უშვებს:

– სახლში წახვალ? – მეკითხება.

ეს შეკითხვა ყოველგვარ იღუზიას ბოლოს უდებს. თითქოს ყველა ფანჯარა ერთბაშად იღება და ოთახში ქუჩის საშინელი ხმაური შემოდის!“

„...და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც: იყო იგი კაცი და იყო კიდევ სიცარიელე!“

სწრაფად, ინსტინქტურად, ვდგები ფეხზე.

სიცარიელე ამჯერად უკვე გულს მირევს.

რა მშვენიერი იყო წამის წინ ყველაფერი და რა უაზრობაა ახლა!

თითქოს ჩემი სული ერთი სხეულიდან მეორეში გადასახლდა. როგორ შებოჭილად ვგრძნობ თავს!

„სახლი“ – რა მძიმე სიტყვაა!

„სახლი“ – სიტყვა, რომელიც რუბიკონივით ძევს ამ სამყაროსა და იმ სამყაროს შორის.

„სახლი“ – ეს არის ტრადიციის, ვალდებულებათა და ქცევის ნორმების სრული კომპლექტი, რომელთა პრიზმაში გადის მთელი ჩემი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან!

ლოჯში გავდივარ, არაყს ჩაის ჭიქაში თითქმის ნახევრამდე ვასხამ და ვსვამ.

სიცარიელის შეგრძნება ოდნავადაც არ მიამდება.

შემდეგ შხაპს ვიღებ და ტანსაცმელს ვიცვამ.

ტელევიზორში ვიღაც მღერის.

ახლა ყველაზე ნაკლებ სიმღერის მოსმენის გუნებაზე ვარ.

ანა ტელევიზორს მისჩერებია.

– მიდიხარ? – ისე მშრალად კითხულობს, რომ სიცარიელის შიგრძნება მთლად ბოლოს მიღება!

„.... და იყო იგი კაც და იგი კაც იყო არარაობა!“

ახლა ჩემი თავი მეზიზღება.

მუდამ მიკვირდა და ახლაც გაკვირვება მიპყრობს: „ასეთი სიცივე და ასეთი საოცარი ვნება ერთად როგორ თავსდება ამ ქალში?!“

ვნანობ, რომ მოვედი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მოვ-სულვარ: სანამ რამის გააზრებას მოვასწრებდი, უკვე აქ ვიყავი.

კიბეზე ჩასვლისას სადარბაზოს შუქზე საათს დავხედე. დე-

დაჩემს ჯერ არ ეძინება.

სახლისკენ გული არ მიმიწევს: მისი უტყვი, თბილი და სევდი-ანი შემოხედვის მეშინია. ერთი წვეთიც რომ მქონდეს დალეული, რაღაც ჩემთვის გაუგებარი გრძნობით იმწუთშივე ხვდება. თუ ვალიარე, რომ მთვრალი ვარ, კომპოტს გამიხსნის. თუ არ ვალიარე, მაშინ კომპოტს ვითომ თავისთვის გაიხსნის.

ქალაქის განაპირას გავსულვარ უკვე.

რატომლაც მომინდა, ტელეანძა რომ არის, იმ გორაკზე ავი-დე და ქალაქს მაღლიდან გადმოვხედო.

რაღაც შვება ვიგრძენი. მართალი რომ ვთქვა, თითქოს გამო-ხარდა კიდეც. იქამდე ხუთი კილომეტრი მაინც იქნება, მაგრამ ეს სიშორეც მსიამოვნებს ახლა. ლამის გუნებაზეც მოვიდე.

„იქნებ, ეგ სიცივე მისი თავდაცვის იარაღია?!“ – ეს ანაზე გავიფიქრე.

ანძისკენ მიმავალ ბილიკზე რომ გავიდე, „კოოპვაჭრობის“ საწყობების ეზო უნდა გადავჭრა.

„ვაი, თუ დარაჯმა ვერ მიცნო და პირდაპირ დუნდულებში დამახალა მარილით დატენილი თოფი, როგორც იმ კინოშია!“

კინოს ვერ ვიხსენებ.

„არის კი ასეთი კინო?.. აბა, საიდან ასეთი ასოციაცია?“

უცებ ლაპარაკი შემომესმა.

ერთ-ერთი საწყობის კართან სატვირთო მანქანა დგას. ვიღა-ცეებს შიგნიდან რაღაც გამოაქვთ და მანქანას ტვირთავენ.

– ვაა?! – გავიოცე და მანქანისკენ წავედი.

რა თქმა უნდა, იმწუთშივე მივხვდი, საწყობს რომ ძარცვაზ-დნენ, მაგრამ, როგორც მერე მიკვირდა, ოდნავადაც არ შემში-ნებია. ჩანს, ერთბაშად მონოლილმა ბოლმამ ყველა სხვა განცდა დაჩრდილა.

ეზოს ამ კუთხეში წუმპე იდგა და ყარდა იქაურობა. მანქა-ნისთვის რომ გვერდი ამევლო, სწორედ ამ წუმპეში მომიხდა გა-ტოპვა.

– ძმებო, რას აკეთებთ? – შევამჩნიე, რომ გაგულისებულს სუნთქვა მიჭირდა... აღელვება და შიშად არ ჩამითვალონ-მეთქი და, რაც შემეძლო, ირონიულად ვთქვი: – ლამით ფრინველებიც კი იძინებენ. თქვენ რა, ლამურები ხართ?

დაფრთხენ.

მუშაობა შეწყვიტეს.

რამდენიმე წამმა დაძაბულ დუმილში გაიარა. მერე ერთ-ერთმა საკმაოდ გაპზარული ხმით მითხრა:

– გაიარე რა, შენი საქმე ნახე!

– სწორედ ჩემს საქმეს ვაკეთებ, ახლა აქ რომ ვდაგავარ! – ვუჰასუხე, რაც შემეძლო, მშვიდად.

– ვაა, გამოგვეცხადა შერლოკა! – ვითომ გაიოცა მანქანის ძარაზე მდგომმა. არც მისი ხმა რეკდა მაინცდამაინც ფოლადივით.

– სწორედ რომ, შერლოკა ვარ! – დაუფიქრებლად ვთქვი.

– აკი ჩაძალლდაო? ხედავ შენ: აგერ არ გამოგვეცხადა?! – ეს სანწყობიდან გამოსულმა თქვა. შევამჩნიე, ხელში მოზრდილი კეტი ეჭირა. – რახან ესეც შერლოკა ყოფილა, ხომ მადლი იქნება, ესეც შერლოკას გზას გავუყენოთ? რას იტყვი შენ, გოგი?

ერთად უყარაულებენ სასაფლაოს!

– ოხ, მე შენი დედა... – შეიგინა, გაიარეო რომ მითხრა, იმან, მაგრამ ეს აშკარად არ იყო ჩემი მისამართით ნათქვამი. ამან ცოტა იმედი ჩამისახა: იქნებ, უჩხუბრად დამთავრდეს ეს ამბავი-მეთქი. – მე თქვენზე უარესი ვარ თქვენთან ერთად რომ წამოვედი. იქნებ, ჩემი პასპორტიც ჩააბაროთ ამ არამკითხე მოამბეს!

ჩემს მცირე იმედს გამართლება არ ეწერა, თურმე: გოგიმაც ჩავლო რაღაცას ხელი და ორივენი ჩემკენ წამოვიდნენ. ერთმა ზურგიდამ შემოვლა დამიპირა, მაგრამ მე ისეთი პოზიცია დავიჭირე, ორივესთვის რომ ერთდროულად მეთვალთვალა. ჩემდა საბეჭნიეროდ, ძარაზე მყოფი ჯერჯერობით გაუნძრევლად გვიყურებდა.

მივხვდი, თუ ახლა ამათ წონასწორობიდან გამოვიყვანდი, გამარჯვების მეტი შანსი მექნებოდა: არ ჰგავდნენ ესენი გამოცდილ მოჩხუბრებს.

– ეჰ, ჩემო ძმებო! მარტო ქურდები კი არა, ლაჩრებიც ყოფილხართ! – ვთქვი დამცინავად.

ქილიკმა მიზანს მიალწია. ორივემ ერთდროულად შემომიტია და ჩემ მიერ აცდენილმა კეტმა მეორეს, მგონი, ლავინი ჩაუმტვრია და განწირული ბლავილით ჩაამხო ტლაპოში.

სწრაფად მოვტრიალდი და... სწორედ აქ მოხდა გაუთვალის-

ნინებელი: ორივე ფეხით გავსრიალდი და შორიდან ნასროლი ჯირკივით მოვადინე ტყაპანი წუმპეში. თვალწინ ნაპერზე გადასაცეს... სადღაც შორიდან მომესმა: „არ ჩაარტყა! ეგ ხომ...“ და მერე...

• • •

...და მერე იყო ტრიალი.

ტრიალი იყო მოცისფრო-მოთეთრო-მოვარდისფრო...

იგი იყო საოცრად დადი და საოცრად ნათელი, ძალიან თბილი, ძალიან ახლობელი, მაგრამ, ამავე დროს, ოდნავ შიშისმომგვრელი...

– თურმე, მართლაც არსებობს?! – ეს გაოცებაც იყო და შეცნობაც.

ტრიალი იყო ყოველივე, ტრიალში იყო ყოველივე, ტრიალში ვიყავი მეც და ტრიალი ვიყავი მე. ეს ყველაფერი ერთდღროულად იყო.

მქონდა საოცარი სისავსისა და სრულყოფილების შეგრძნება.

მერე გავედი მე ტრიალისგან და ტრიალი გავიდა ჩემგან.

ტრიალი წავიდა შორს, შორს, შორს... და იქ, სადაც ტრიალი გაქრა, გამოჩნდა რაღაც მოციმციმე... მოციმციმეს გვერდით სხვა მოციმციმე... კიდევ სხვა, სხვა და ... მივხვდი, რომ ეს იყო ვარსკვლავები.

როგორც კი ამას მივხვდი, იმ წუთშივე ვიგრძენი საშინელი ტკივილი და იმასაც მივხვდი, რომ ეს ტკივილი იყო თავი...

მერე შევიგრძენი ხელი, ფეხი, ტანი... მე ვიყავი! და მე ვიწექი ტლაპოში.

ტლაპო იყო უძრავი და თავისი წებოვანი სისველით ისრუ-ტავდა ყოველივეს: რასაც ვგრძნობდი, რაც მე ვიყავი.

მივხვდი, რომ, თუ თავს ძალას არ დაგატანდი და არ წამოვ-დგებოდი, ჭაობი იქნებოდა ყოველივე, ჭაობში ვიქნებოდი მე და მე ვიქნებოდი ჭაობი.

წამოვიწიე და ჩემი ყრუ კვნესა სადღაც შორიდან ექსავით მომესმა. თავი საშინლად მტკიოდა.

ჯერ წამოვჯექი. ვაზროვნებდი!

მტკივანი ადგილი ხელით მოვისინჯე. კეფის ძვალი გატეხილი არ ჩანდა. ეტყობა, დამინდეს: ან არ დამარტყეს კეტი, ანდა – შედარებით მოზომილად. თუმცა, რა დარტყმა მინდოდა, ისე

დავეცი, თავი გამიბრტყელდა, მგონი.

არც მანქანა ჩანდა და არც ვინმე ჭაჭანებდა.

„არ გინდა ახლა, ამ ტანსაცმლით სახლში წახვიდე?! – გავი-ფიქრე და ირგვლივ მიმოვიხედე: იქნებ, ეზოში ონკანი ყოფილი-ყო.

უცბად მდინარის დუღუნი მომესმა. ერთბაშად მოწოლილმა სიხარულმა გული ამიჩქროლა და თითქოს იდუმალი ძალითაც აღვივსე.

იუმირის გრძნობაც კი დამეუფლა. სხვისი თვალით წარმო-ვიდგინე ამ ტლაპოში მჯდომარე ჩემი თავი და კინაღამ ხარხა-რი ამიტყდა. ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული, მართლაც, მშვენიერი სანახავი ვიქნებოდი.

ფეხზე რომ წამოვდექი, ტანსაცმლის სიმძიმესთან ერთად გუბის აყროლებული სუნი შევიგრძენი. გამიკვირდა, რადგან შიგ რომ ვიწექი, მაშინ ეს სუნი არ მიგრძენია.

„ჰმ, ჭაობში რომ წევხარ, ჭაობის სუნს ვერ გრძნობ!“

ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საცაა, ან ეს სლიპინა სიმძი-მე მომიღებდა ბოლოს, ან ეს სულისშემზუთავი სუნი.

ღმერთო ჩემო, ასეთ სიტუაციაში რა იმედისმომცემად მოის-მოდა სულ რაღაც ასი-ასორმოცდაათი მეტრის იქიდან კალმახე-ბითა და ღორჯოებით დაჩითული მდინარის ხმა!

სულ რაღაც ასი-ასორმოცდაათი მეტრიდან!

ლამის მივრბოდი.

ისე გამოდიოდა, თითქოს ამ ტალახს და ამ სუნს კი არა, სა-კუთარ ტანსაცმელს გაფურბოდი.

და მერე ისეთივე სულმოუთემელად, როგორც ჩემს ბავშვობა-ში სიცხით გაფიცხებულ და აღტაცებულ დღეს, მდინარის ნაპირ-ზე თითქოსდა წყურვილის მოსაკლავად ჩამოგორებული უზარმა-ზარი ლოდიდან, რა თქმა უნდა, ტანსაცმლიანად ვისკუპე...

მაისი ჯერ, ის-ის იყო ძალაში შედიოდა, მაგრამ, ჩემდა გა-საოცრად, მდინარის წყალი თბილი მეჩვენა და ამ სითბოსთან ერთად აღქმული სიმსუბუქე, ოო, რა იდუმალი ძალითა და ენერ-გიით მავსებდა!

სწრაფმა პატარა მდინარემ უმალ გამიტანა მეჩხერ ადგილ-ზე და აქ ქვებს შორის მდინარეს ამოდევნებული ორაგულივით გავიჩირე.

იყო სიმსუბუქე, სილალე, სისავსე და კიდევ... და კიდევ იყო  
სუნი რაღაც ამაღლებულისა, რაღაც ახალდაბადებულისა, რო-  
მელიც მდინარის ტალღების შრიალს მოჰყვებოდა თან...

როცა მდინარიდან ამოვედი, შევამჩნიე, რომ აღმოსავლეთით  
ცის კიდე გაბაცებულიყო.

სადღაც ძალი ყეფდა, გამწარებით ყეფდა. ქალაქს კი მშვი-  
დი ძილით ეძინა.

...და მაინც, თენდებოდა.

ახალი დღე იწყებოდა.





## მუსად ჭავჭავაძე

დაამთავრა თხუ ქურნალისტისა და  
ხელოვნებათმცოდნეობის ფაქულტეტის.

**მუშაობდა** აღმანას „მართვე“  
კორესპონდენტად, გაზეო „ლელოს“  
საკუთარ კორესპონდენტად, ქურნალ  
„სკოლა და ცხოვრების“ ტექნიკურ  
რედაქტორად, განყოფილების გამგედ  
(თბილისში); გაზეო „ენგურის ჩირადინის“  
რედაქტორის მოადგილედ, რედაქტორად,  
გაზეო „ჯვარის მოამბის“ გამომცემელ-  
რედაქტორად (ჯვარში); საქართველოს  
მწერალთა კავშირის ზეგდიდის რეგიონული  
ორგანიზაციის კონსულტანტად, აღმანას  
„ეგრისის“ მთავარ რედაქტორად (ზეგდიდა).  
ამჟამად შპს „პრესა-იალონის“  
დამფუძნებელი და დირექტორია.

**1991-94** წლებში ქალაქ ჯვარის საქრებულოს  
სპეციალ იყო არჩეული (1992 წელს  
გადადგა, მაგრამ აფხაზეთში  
დატრიალებული მოვლენების გამო პვლავ  
დაუბრუნდა თანამდებობას და  
პარალელურად, დატოლვილთა საერთო  
კრების თხოვნით, უშუალოდ  
ხელმძღვანელობდა ქალაქში საგანგებოდ  
შექმნილ დატოლვილთა საქმეების კომიტეტს.

**1992** წლიდან – საქართველოს მწერალთა  
კავშირის (ერთ პერიოდში – მისი  
გამგეობის), ხოლო 2013 წლიდან  
საქართველოს მწერალთა აკადემიის წევრია.

**არის** ქურნალ „ნიანგის“ შემოქმედებითი  
კონკურსის გამარჯვებული და პრემიის  
ლაურეატი (1981).

რამდენიმე წევნის გამომცემელ-რედაქტორია.

**1994** წელს გური ხოლიას ფსევდონიმით  
გამოიდა მისი იუმორისტული მოთხოვნების  
კრებული – „ვინ არის ყველაზე ლამაზი?“;

**2000** წელს – მოთხოვნების კრებული –  
„ოერთმეტ საათზე ქუჩაში“;

**2010** წელს გამოსცა მხატვრულ-დოკუმენტური  
ნოველების კრებული - „წერისოფლისა ანუ  
შებლით დანახული ამბები“, I ნაწილი;

„დათვი“ მისი მეოთხე წევნია.

## სარჩევი

დათვი .....	3
მეზობლის ძაღლი ჯეკა .....	33
მეგობრის დაკრძალვის დღეს .....	47